

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა – "განათლების მეცნიერებები"

ქეთევან ფანცულაია

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარგობრივი ენის
სწავლების პრაქტიკის კვლევა (გერმანული ენის მაგალითზე)

განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის (Ph.D)
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეთერ ღვინერია,
პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი, თსუ

თბილისი
2022 წელი

სარჩევი

აბსტრაქტი.....	III
შესავალი	1
თავი I. დარგობრივი ენის თეორიული საფუძვლები	9
1.1. დარგობრივი უცხოური ენის სწავლების ძირითადი პრინციპებისა და ცნებების მიმოხილვა	9
1.2. დარგობრივი უცხოური ენისა და ზოგადი უცხოური ენის ურთიერთკავშირი.....	16
1.3. დარგობრივი უცხოური ენის სწავლა- სწავლების წინაპირობები	20
თავი II. დარგობრივი უცხოური ენის სწავლების პრაქტიკის კვლევა.....	29
2.1. დარგობრივი უცხოური ენის სწავლების პრაქტიკა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (საბაკალავრო საფეხურზე)	29
2.2. დარგობრივი უცხოური ენის სწავლების პრაქტიკის კვლევები გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის უმაღლეს სასწავლებლებში (საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის) ..	36
2.3. გერმანული ენის სწავლების აღწერა სასწავლო მასალისა და სახელმძღვანელოების მაგალითზე (DaF-ის სახელმძღვანელოების მიხედვით).....	42
კვლევითი ნაწილი	53
მეთოდოლოგიური გადაწყვეტილებების დასაბუთება	53
მონაწილეთა შერჩევა.....	56
გამოკითხვის შედეგების შეფასება და წარმოდგენა.....	62
შედეგების ანალიზი, დასკვნა და რეკომენდაციები (მოდელის შემუშავება).....	97
დასკვნები.....	99
გამოყენებული და მითითებული ლიტერატურის სია:.....	104
დანართი 1.....	107

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენა) სწავლების საკითხები დარგობრივი უცხოური ენის ჭრილში. ტერმინი დარგობრივი უცხოური ენა გულისხმობს სპეციალიზირებულ, პროფესიულ უცხურ ენას.

ნაშრომი წარმოადგენილია უცხოური ენის სწავლების მეთოდის პირობებში დარგობრივი კომპონენტების საკითხები, საბაკალავრო საფეხურზე დარგობრივი უცხოური ენის სწავლისა და სწავლების მიმართ სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების დამოკიდებულება და აღქმა. კვლევის ფოკუსში ექცევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, როგორც გარემო და ინსტიტუცია, სტუდენტები და უცხოური ენის პედაგოგები, სოციალიზაციის პროცესში. გამოვლენილია მათი თავდაპირველი დამოკიდებულება საბაკალავრო საფეხურზე დარგობრივი უცხოური ენის სწავლების სტილზე და საჭიროებებზე. ნაშრომში განხილულია დარგობრივი უცხოური ენის სწავლების კომპონენტები, არსებული განსხვავებები და ენის სპეციფიკური მახასიათებლები. ნაშრომი ფოკუსირებას ახდენს იმაზე, თუ რა საშუალებებით და სტილით ხდება უცხოური ენის სწავლება უმაღლეს სკოლაში და რა მიმართებაშია ენის ცოდნა დარგობრივი ენის დაუფლების საკითხებთან.

ჩვენ დავინტერესდით საკითხით, თუ როგორ დავეხმაროთ საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტებს ისწავლონ უცხოური ენა უფრო დარგობრივად და მოახდინონ ადაპტაცია სასწავლო სიტუაციაში. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში არსებული უცხოური ენის პრაქტიკის მიმოხილვა. დეტალურად განხილულია და ინტერპრეტირებულია კვლევითი სამუშაო საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში. შედეგების საფუძველზე დადგენილია საქართველოში უცხოური ენის სწავლებისთვის დარგობრივი ენის ელემენტების ოპტიმიზაციის ასპექტები და ყველა შესაძლო მიდგომები, რომლებიც დარგობრივი უცხოური ენის სწავლებას უკავშირდება.

Abstract

This thesis evaluates the issues related to teaching of foreign language for specific purposes (faculty European language) in higher educational institutions of Georgia. The term - foreign language for specific purposes (LSP) implies specialized professional language for undergraduate students, who study the second language as a faculty discipline.

This thesis turns the proven paradigm upside down. Taking into consideration the existing situation, within the higher educational process, majority of undergraduate students already have the knowledge of basic foreign language and the saturation of the learning process with directly by LSP teaching is crucially important. Therefore, teaching of general foreign language will fail to be effective in terms of professional development and/or motivation of the students, as the approach proposed in this thesis. Within the frames of learning and teaching of a foreign language, the challenges for undergraduate students regarding the prerequisite of optional subjects (foreign language B1) have been identified, that explains the fact that for the purposes of evaluation of this work, research on the teaching practice of language for specific purposes at the undergraduate level was selected. Undergraduate students at universities who choose a compulsory foreign language discipline and complete the study component, are not able to choose field subjects in the next (III, IV) semester, since the prerequisite for various subjects is the B1 level for foreign language. The trend indicates that students are not able to use a foreign language in a real environment and as a result, interest in learning disappears, which in turn, affects the academic performance as well.

The thesis refers to the research on the teaching of language for specific purposes in higher educational institutions in Georgia and refers to the evaluation of the needs of specialized foreign language elements.

The issue is considered in three dimensions, on the one hand, foreign language teachers of higher education institutions, specialized subject teachers – who teach various subjects, and, in some cases, their subject prerequisite is B1 level of foreign language and the third undergraduate students, who study a foreign language as a faculty discipline. Two approaches have been taken into consideration, i.e., on the one hand, reliable representative data, which

were determined by a quantitative survey, and on the other hand, the qualitative (individual questions) interviews, that gave a more in-depth look at the mentioned issue.

Herewith, an overview of the important aspects of the language for specific purposes is presented, as well as the chronological development of German language teaching and the existing situation in terms of teaching of language for specific purposes.

Keywords: language for specific purposes (LSP), technical language, professional language.

შესავალი

საერთაშორისო დონეზე სამეცნიერო, ტექნიკური და კულტურული საკითხების მიმართ მზარდი სოციალური ცნობიერების გათვალისწინებით, თანდათან იზრდება ინტერესი დარგობრივი ენის სწავლისა და სწავლების მიმართ, “უცხოური ენის სწავლებისა და შესწავლისას მჭიდრო საერთაშორისო ურთიერთობები კულტურის, პოლიტიკის, მეცნიერების, ბიზნესისა და ტექნოლოგიების დონეზე განსაზღვრავს უცხოურ ენას კონკრეტული მიზნებისთვის აუცილებელ კომპონენტად.” (Koreik, U.,2014). საფუძვლიანია ვარაუდი, რომ სამუშაო ადგილებზე უცხოური ენის ცოდნა და მისი მნიშვნელობა კომუნიკაციის თვალსაზრისით თანდათან მნიშვნელოვან როლს იძენს.

საერთაშორისო კვლევებით დასტურდება, რომ უმაღლესი განათლების დონეზე უცხოური ენის სწავლება, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზანმიმართული განხორციელება, ხელს უწყობს უნივერსიტეტების და მათ მიერ გაცემული კვალიფიკაციების ხარისხისა და რელევანტურობის ზრდას. საქართველოში უცხოური ენის სწავლა-სწავლების მიმართულებით ჩატარებულია უამრავი საექსპერტო და აკადემიური კვლევა. მიუხედავად ამისა, საბაკალავრო საფეხურზე საფაკულტეტო დარგობრივი უცხოური ენის სწავლების საკითხებზე კვლევები ვერ აღმოვაჩინეთ. მნიშვნელოვანია შესწავლილ იქნას დარგობრივი უცხოური ენის საკითხი უნივერსიტეტების მენეჯმენტის დონეზე, რომელიც უზრუნველყოფს უცხოური ენის მიზანმიმართული სწავლების განხორციელებას საბაკალავრო საფეხურზე. უმაღლეს სასწავლებელში დარგობრივი უცხოური ენის სწავლების პრაქტიკის კვლევის პროცესში მოძიებული და თავმოყრილია მასალები, რომლებიც მოიცავს დარგობრივი უცხოური ენის სწავლების თავისებურებებსა და მახასიათებლებს. განხილული მასალის სისტემატიზაცია და დასახული სიახლეების დანერგვის საშუალებები ხელს შეუწყობს, დარგობრივი უცხოური ენის სწავლისა და სწავლების სტილის ინტერდისციპლინარული საკითხების შემუშავებას და დარგის სპეციალისტების კომპეტენციების გაუმჯობესებას.

გასათვალისწინებელია, რომ ნაშრომი წარმოადგენს საქართველოში დარგობრივი უცხოური ენის საბაკალავრო საფეხურზე სწავლების საკითხების დანერგვის, სასწავლო პროცესში ინტერდისციპლინარული საკითხების შემუშავების, ენის თვისებების კვლევის მეცნიერული შესწავლის პირველ ცდას. *(დარგობრივი უცხოური ენა, როგორც საფაკულტეტო დისციპლინა საბაკალავრო საფეხურზე).

დარგობრივი უცხოური ენის სწავლების განხილვა-ანალიზის საფუძველზე შესრულებული ნაშრომი, სასარგებლო იქნება დარგისა და უცხოური ენის სპეციალისტებისთვის საბაკალავრო საფეხურზე ენის დარგობრივი შინაარსითა და სტილით სწავლების თვალსაზრისით.

სპეციალისტთა კომუნიკაცია უნდა იყოს მორგებული კომუნიკაციის შეცვლილ მოთხოვნებზე, რაც ხელს შეუწყობს დარგისა და ენის სპეციალისტების ერთობლივ მუშაობას. ამიტომ ზოგადი უცხოური ენის სწავლებისგან განსხვავებით, ენის სპეციფიკური სწავლების პროცესში, უნდა მოიძებნოს სხვადასხვა დიდაქტიკური ფორმები. უცხოური ენის სწავლებისა და სწავლის ირგვლივ გამოიკვეთა გამოწვევები ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის არჩევითი საგნების (უცხოური ენა B1) წინაპირობის კუთხით, რაც ხსნის იმ ფაქტს, რომ წინამდებარე ნაშრომის მიზანი უცხოური ენის საბაკალავრო საფეხურზე სწავლების პრაქტიკის კვლევაა. შეირჩა უცხოური ენის (კონკრეტული მიზნებისთვის) სწავლების პრაქტიკის საკითხები საბაკალავრო საფეხურზე. დაინტერესება რამოდენიმე ფაქტორმა განაპირობა, მათ შორის: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის სამუშაო გამოცდილებამ და ასევე, იმ პრობლემებმა, როლებიც უკავშირდება სტუდენტთა აკადემიური მოსწრების საკითხებს. თვალსაჩინო გახდა სიმძნელები, რომლებიც განპირობებულია არჩევითი საგნების შესწავლისთვის, რაც აუცილებელ წინაპირობას უცხოური ენის B1 დონეზე ცოდნას გულისხმობს. საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიც უცხოურ ენას, როგორც სავალდებულო დისციპლინას ირჩევენ, მომდევნო (III, IV) სემესტრში დარგობრივ არჩევით საგნებს ვერ ირჩევენ, რადგან ზოგი საგნის წინაპირობად უცხოური ენის B1 დონეზე ცოდნა აუცილებელ კომპონენტად მიიჩნევა. ტენდენცია მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენტები ვერ ახერხებენ უცხოური ენის გამოყენებას

რეალურ გარემოში და შედეგად ქრება სწავლისადმი ინტერესი, რაც თავის მხრივ აისახება აკადემიურ მოსწრებაზე.

სადისერტაციო ნაშრომი საქართველოში უსდ - ებში დარგობრივი უცხოური ენის სწავლების კვლევას ეხება და უცხოური ენის სპეციალიზირებული ელემენტების საჭიროებების შესწავლას უკავშირდება.

დარგობრივი ენის სწავლების მოდელი სხვადასხვა ქვეყანაშია დანერგილი. ნაშრომში განხილულია გერმანულენოვანი უნივერსიტეტების გამოცდილება, თუ რა საშუალებებით ხდება დარგობრივი ენის სწავლება საბაკალავრო საფეხურზე უცხოენოვანი სტუდენტებისთვის. ასევე, წარმოდგენილია ამ დარგში შექმნილი დარგობრივი სახელმძღვანელოების ანალიზი.

ნაშრომი ფოკუსირებას ახდენს იმაზე, თუ რა საშუალებებით და სტილით ხდება უცხოური ენის სწავლება უმაღლეს სკოლაში და რა მიმართებაშია ენის ცოდნა დარგობრივი ენის დაუფლების საკითხებთან.

„უცხოური ენა უმაღლესი განათლების ფუნქციებსა და მიზნებში საერთაშორისო განზომილების ინტეგრირების მიზანმიმართული კომპონენტია, რათა გაძლიერდეს და განვითარდეს განათლებისა და კვლევის ხარისხი ყველა სტუდენტისა და პერსონალისთვის და ხელი შეეწყოს საზოგადოების განვითარებას.“

თემის აქტუალობა განპირობებულია უმაღლეს სასწავლებლებში არსებული მდგომარეობით, უსდ-ებში ერთ-ერთი ევროპული ენის ცოდნა სავალდებულო დისციპლინაა და 10 (ათი) კრედიტი აქვს მინიჭებული. გარდა ამისა ზოგიერთი ფაკულტეტი არჩევითი საგნების შესწავლის აუცილებელ პირობად, უცხოური ენის B 1 დონეზე ცოდნას მიიჩნევს. ამ მოთხოვნის პარალელურად გაჩნდა საჭიროება განისაზღვროს თუ რა ფორმით და რა დონეზე მოეთხოვება სტუდენტს მეორე უცხოური ენის ცოდნა. გასათვალისწინებელია, საზღვარგარეთ სწავლით დაინტერესებული სტუდენტები და აუცილებელია, დარგობრივი ენისა და ზოგადი უცხოური ენის სწავლისა და სწავლების კრიტერიუმების, გზების და საშუალებების გამიჯვნა. თემის აქტუალობას განსაზღვრავს უცხოური ენის სწავლების ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება.

- უსდ-ს დანიშნულება - სტუდენტის მომავალი პროფესიული წარმატებისთვის მომზადება.
- უცხოური ენის სწავლება პროფესიული მიზნებისთვის - დარგობრივი ენა
- უცხოური ენის ცოდნა და პროფესიული ენისთვის შესაბამისი უნარები.

კვლევის მიზანი იყო გამოგვეკვლია საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლების არსებული პრაქტიკა, რათა განგვესაზღვრა, თუ რომელი სტილი არის ოპტიმალური და წარმოგვეჩინა დარგობრივი ენის სწავლების მოდელის უპირატესობები საბაკალავრო საფეხურზე. ნაშრომი მიზნად ისახავს ენობრივი სიტუაციის ანალიზს და დარგობრივი ენის სწავლების პროცესთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრას საბაკალავრო საფეხურზე.

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის დაგეგმვისას უპირატესობა მიენიჭა სამაგიდე კვლევას. საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მარეგულირებელი და სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი უცხოური ენის სწავლების დაგეგმვის და განხორციელების მიმართულებით.

- საერთაშორისო დარგობრივი ენის საკითხებზე (გერმანულენოვანი) არსებული თანამედროვე ლიტერატურის და სახელმძღვანელოების ანალიზი.

თვისებრივი კვლევა ეფუძნება - უმაღლესი სასწავლებლების უცხოური ენის პედაგოგების და პროგრამის ხელმძღვანელების ინტერვიუს (შერჩევა - არაშემთხვევითი, მიზნობრივი). სტუდენტების გამოკითხვა- დესკრიპტული ინტერპრეტაციული ვალიდობის მიზნით. (შერჩევა - არაალბათური, მიზნობრივი) რაოდენობრივი კვლევაში ვალიდაცია (კოჰორტული) შერჩევითაა გათვალისწინებული.

კვლევის ამოცანებად დავისახეთ საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარგობრივი ენის სწავლების საკითხების შესწავლა, (მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნებისა და ამოცანების დაგეგმვა და განხორციელება). დარგობრივი უცხოური ენის მახასიათებლების დადგენა, უსდ - ებში უცხოური ენის სწავლების პრაქტიკის კვლევა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება წინასწარ განსაზღვრული მიზნებისთვის.

- უნდა დაგვედგინა უსდ-ებში საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლისა და სწავლების რომელი ტიპებია გავრცელებული;
- უცხოური ენის სწავლების პრაქტიკის დაგეგმვისა და განხორციელების შესწავლა;
- უცხოური ენის კურიკულუმის შედგენის პროცესში (საფაკულტეტო დონეზე) დარგობრივი უცხოური ენის არჩევითი ან სავალდებულო დისციპლინის ასპექტების გათვალისწინება.
- უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესში ჩართული მხარეების შეხედულებები/აღქმები.

რესურსები (ადამიანური, მატერიალური), მიმართულებები/ფუნქციები (სწავლა-სწავლების გარემო), არეალი (ჩართულობა, ხელმისაწვდომობა, უნარ-ჩვევები, ინტერესები). და ბოლოს, ენის სწავლების დინამიკა და შემდგომი განვითარება, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებიდან უმაღლეს სასწავლებლებში.

ნაშრომში განხილულია დარგობრივი უცხოური ენის სწავლების პრაქტიკული საკითხები, წარმოდგენილია სამი განზომილებით. ერთის მხრივ უსდ-ების უცხოური ენის პედაგოგები და დარგის სპეციალისტები - რომლებიც შესაბამის დარგობრივ დისციპლინებს ასწავლიან (ზოგიერთ შემთხვევაში ამ დისციპლინების წინაპირობა

უცხოური ენის B1 დონეზე ფლობა მიიჩნევა) და მესამე, სტუდენტები, რომლებიც უცხოურ ენას, როგორც საფაკულტეტო დისციპლინას შეისწავლიან.

კვლევისას გავითვალისწინეთ სანდო წარმომადგენლობითი მონაცემები, რომლებიც რაოდენობრივი გამოკითხვით და ინტერვიუების მონაცემების სიღრმისეულ შესწავლაზე ავაგეთ. შესაძლებელია თუ არა შევიმუშაოთ რეკომენდაციები, უცხოური ენის სწავლების პროცესში ცალკეული დარგების მოთხოვნების ურთიერთმიმართებების დადგენის გათვალისწინებით და მივუსადაგოთ საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების მოლოდინებს. რამდენად უწყობს ხელს დარგობრივი უცხოური ენის სწავლისა და სწავლების პროცესი სტუდენტების აკადემიურ მოსწრებას და მოტივაციას.

კვლევის საგანია - დარგობრივი უცხოური ენის სწავლა-სწავლების პროცესი სხვადასხვა დარგის საბაკალავრო საფეხურზე; საქართველოს უნივერსიტეტებში დარგობრივი უცხოური ენის სწავლების თავისებურებები და სპეციფიკა საფაკულტეტო/დარგობრივ დონეზე.

კვლევის ობიექტია - საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დარგობრივი უცხოური ენის სწავლების პრაქტიკის პროცესი (სტუდენტებისთვის, რომლებიც უცხოურ ენას, როგორც საფაკულტეტო დისციპლინას შეისწავლიან).

კვლევის თეორიული ღირებულება - საერთაშორისო დონეზე არსებული (გერმანულენოვანი კონტექსტი) კვლევებისა და თეორიული საფუძვლების გათვალისწინებით დარგობრივი უცხოური ენის სწავლების პრაქტიკის კვლევა საქართველოში;

საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლებისთვის შესაბამისი თეორიული ბაზის შექმნა შემდგომი ჩაღრმავებული კვლევებისათვის;

დარგობრივი უცხოური ენის სწავლების შესაძლო მოდელის შემუშავება საბაკალავრო საფეხურისთვის.

- ენის სწავლების პროცესის თანამედროვე ტენდენციების მიმოხილვა

- საქართველოში უსდ-ებში (სამი უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულება)
- უცხოური ენის სწავლისა და სწავლების მიმდინარე პროცესის ანალიზი.

კვლევითი ნაშრომის მეცნიერული სიახლე

- საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სავალდებულო დისციპლინის შინაარსობრივი ცვლილება - უსდ-ს პირველივე საფეხურზე უცხოური ენის სწავლების დარგობრივი ენის სწავლებით დაწყება.
- საბაკალავრო საფეხურზე დარგობრივი უცხოური ენის (გერმანული ენის) სწავლების პრაქტიკის კვლევა და ანალიზი არ ჩატარებულა.

კვლევის პრაქტიკული ღირებულება - კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია უსდ - ებში დარგობრივი უცხოური ენის სწავლების განვითარების დაგეგმვისთვის, სასწავლო პროგრამის შემუშავებისას;

შემოთავაზებული მოდელი საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო დავხვეწოთ საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლების სტილი და ჩავანაცვლოთ დარგზე ორიენტირებული უცხოური ენის დისციპლინით;

ენისა და დარგის სპეციალისტების თანამშრომლობა პოტენციურ გავლენას გამოკვეთს უცხოური ენის ტრანსფერული უნარების სწავლებისათვის. ემპირიული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით დარგობრივი ენის ელემენტების შერჩევა ზოგადი უცხოური ენის სწავლების პროცესში (საფაკულტეტო დონეზე). კვლევის შედეგების გამოყენება სასწავლო პროგრამის შემუშავების დროს (მაგალითად უცხოური ენის სწავლების მიმართულება და განვითარება).

ჰიპოთეზა - საქართველოს უსდ-ებში საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლების მიმართულებით მუდმივ ფორმატში, უცხოური ენის ათვისება განისაზღვრება ზოგადი უცხოური ენის სწავლების შედეგების მიხედვით. სტუდენტებს ნაკლები ინტერესი აქვთ უცხოური ენის კურსზე დასწრების, რაც

გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებასა და საფაკულტეტო განათლების ხარისხზე. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ უცხოური ენის სწავლებაში დარგობრივი ელემენტების გათვალისწინებასთან ერთად, გაძლიერდება სტუდენტების მოტივაციის კომპლექსური საკითხები. აღნიშნული ჰიპოთეზის შესამოწმებლად დასადგენია რა თავისებურებები ვლინდება უცხოური ენის სწავლებისა და სწავლის სტილში საბაკალავრო საფეხურზე და რომელი პრაქტიკულ-მეთოდური ამოცანებია უცხოური ენის სწავლის ასამაღლებლად გასათვალისწინებელი.

წინამდებარე ნაშრომი შესაძლოა გახდეს საქართველოში საბაკალავრო საფეხურზე დარგობრივი უცხოური ენის სწავლების გაფართოების საფუძველი. დარგობრივი ენის მნიშვნელოვანი ასპექტების მიმოხილვა მოიცავს გერმანული ენის სწავლების ქრონოლოგიურ განვითარებას 2000 წლიდან დღემდე. ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში არსებული უცხოური ენის პრაქტიკის მიმოხილვა. დეტალურად განხილულია და ინტერპრეტირებულია კვლევითი სამუშაო საქართველოს უმაღლესი განათლების დაწესებულებებში.

დაბოლოს, მიღებული შედეგების საფუძველზე დადგენილია საქართველოში უცხოური ენის სწავლებისთვის დარგობრივი ენის ელემენტების ოპტიმიზაციის ასპექტები და ყველა შესაძლო მიდგომები, რომლებიც დარგობრივი უცხოური ენის სწავლებას უკავშირდება.

თავი I. დარგობრივი ენის თეორიული საფუძვლები

1.1. დარგობრივი უცხოური ენის სწავლების ძირითადი პრინციპებისა და ცნებების მიმოხილვა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (უსდ) საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლის მოდელის ერთ-ერთ ამოსავალ წერტილს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა წარმოადგენს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების ერთობის ჩამოყალიბებას, სწავლის პროცესში აღმოჩენებს და მსჯელობას არჩეული პროფესიის არეალში. სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და საკუთარ ქვეყანაში არსებული ვითარების განხილვა. დღეისათვის უმაღლესი განათლების ძირითად მიზანს აღარ წარმოადგენს სტუდენტებისთვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნობრივი ინფორმაციის/ცოდნის გადაცემა, თანაბარმნიშვნელოვანი როლი ეკისრება იმ უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რომელთა გარეშე შეუძლებელი ხდება თეორიულად მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე მნიშვნელოვანია თეორიული ცოდნის გაღრმავება, სიტუაციისა და კონტექსტის მიხედვით ადაპტირება, დარგობრივი მიმართულებით ახალი ინფორმაციის მოძიება, წარმატებული თანამშრომლობა, კომუნიკაცია და სხვა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დღის წესრიგში დგას უცხოური ენების სწავლების განვითარებაზე ზრუნვა, რათა სტუდენტმა გააცნობიერონ ბაკალავრიატის სწავლის პერიოდში მიღებული ცოდნის სარგებლიანობა და მომავალში შეძლონ დამოუკიდებლად მუშაობა.

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი მეცნიერების მიერ დიდი მოცულობის სამეცნიერო კვლევითი სამუშაოებია ჩატარებული, სადაც ენის სწავლების საჭიროებები გახლავთ განხილული. სხვადასხვა სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულია სტატიები, მონოგრაფიები და სადოქტორო ნაშრომები, რამაც ხელი შეუწყო მეთოდოლოგიების შემუშავებასა და დანერგვას. თუმცა ამ ნაშრომებში ძალიან მწირია, როგორც მასალა ასევე ლიტერატურა, სადაც განხილული იქნებოდა დარგობრივი უცხოური ენის სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების წარმოეჩენა და მათი გადაჭრის გზები.

დარგობრივი ენა განიხილებოდა, როგორც ზოგადი ენის ტერმინოლოგიური ნაწილი. ენათმეცნიერების განსხვავებული პოზიციების გამო დარგობრივი ენის განმარტება დღემდე დავის საგანია და ამ ასპექტთან მიმართებაში შეთანხმება მიღწეული არ არის, თუმცა არსებობს ყველაზე ხშირად ციტირებული გერმანელი ენათმეცნიერი, ლუთერ ჰოფმანის განმარტება: “დარგობრივი ენა არის ყველა ენობრივი საშუალების მთლიანობა, რომელიც გამოიყენება დარგობრივად განსაზღვრულ სფეროში კომუნიკაციისთვის, რათა უზრუნველყოფილი იყოს ერთ სფეროში მომუშავე ადამიანებს შორის ურთიერთგაგება.”(Hoffmann,L. 1985).

დარგობრივი ენა 1950/60 წლებიდან გამოყენებითი ლინგვისტიკის ნაწილია, რომელიც ენის პრაქტიკული გამოყენების ფართო სპექტრს მოიცავს. ენათმეცნიერებმა არაერთხელ სცადეს ენის ორად დაყოფა: “ზოგად და დარგობრივ (პროფესიულ) ენად“ (Funk,H.1999). “დარგობრივი უცხოური ენა ჯერ კიდევ ახალი და დამოკიდებული დისციპლინაა.” (Rölcke, TH. 2010). რომელიც სპეციფიკური ენობრივი საშუალებებით, ტექსტების შინაარსით და მოცულობით მრავალფეროვანია.

უცხოური ენის კომუნიკაციური საშუალებების გამოყენების საჭიროება სწრაფად ცვალებად გარემოში და სამუშაოზე ორიენტირებული უცხოური ენის სწავლება თანაბარმნიშვნელოვანი საკითხებია. დარგობრივ ენასთან მიმართებაში ხშირად გამოიყენება ისეთი ტერმინები როგორც არის - „მრავალფეროვნება, ქვეენა, სტილი, რეგისტრი და ჟარგონი“. (Becke,M.1998) ზრდასრული ადამიანები ხშირად იყენებენ დამატებით რესურსებს ენის სპეციფიკური მიზნების შესასწავლად.

დაახლოებით 20 წლის წინ უცხოური ენის სწავლა-სწავლება გრამატიკული და ლექსიკური აქცენტებით მიმდინარეობდა და სრულად ორიენტირებული იყო მათ დასწავლაზე. დროთა განმავლობაში გაჩნდა ენის გამოყოფის აუცილებლობა: როგორცაა ეკონომიკური ენა, საქმიანი მიმოწერა, სამედიცინო ენა, ლიტერატურული ენა, ტექსტის რეფერირება, სასაუბრო ენა. ენის ამ შინაარსით დაყოფა რაციონალური და შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი აღმოჩნდა.

დარგობრივი ტექსტი - ტექნიკური ენა

ტექნიკური ტერმინოლოგია მოიცავს, უპირველეს ყოვლისა, ტექნიკურ ტერმინებს და უცხო სიტყვებს. ტექნიკური ენა ძირითადად ინდუსტრიებში ან აკადემიურ სფეროში გამოიყენება. გერმანული და ქართული ტექსტების ლინგვისტური თავისებურებების შეპირისპირებით კვლევებში – ეკონომიკური, იურიდიული, დიპლომატიური და სამედიცინო დარგობრივი ენებისა და ტექსტების სპეციფიკაა გათვალისწინებული. დარგობრივი ტექსტები განსაზღვრულია და როგორც წესი ეხება კონკრეტულ სფეროში არსებულ თემატიკას. "დარგობრივი ტექსტი წარმოადგენს სპეციალიზირებულ, სოციალურ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკომუნიკაციო სამუშაო ინსტრუმენტს. იგი შედგება თვალსაჩინო, ლოგიკური, სემანტიკური და სინტაქსურად თანმიმდევრული (satzwertiger) ერთეულების შესაბამისი კომპლექსური ენობრივი ნიშნებისგან." (Roelcke, Th. 1999.)

ლოთერ ჰოფმანის მიხედვით დარგობრივი ტექსტი განსხვავდება სხვა სახის ტექსტებისგან: „ძლიერი სტრუქტურული ქვედანაყოფებით, მნიშვნელოვანია სემანტიკური და სხვადასხვა სინტაქსური და პრაგმატული საშუალებების და ტექსტის შესაბამისობის აღქმა.“ ზემოაღნიშნულის შედეგად ტექსტის თანმიმდევრულობა და ლოგიკური სტრუქტურირება ასახავს საქმიანობის კონკრეტულ ფაქტებს, რომელიც გამოიყენება სიტუაციურად ადეკვატური ენობრივი და ვიზუალური საშუალებებით როგორცაა, მაგალითისთვის სიმბოლოები, ფორმულები, განტოლებები, გრაფიკული გამოსახულებები და ილუსტრაციები. ტექნიკური ენის გამოყენება შესაძლებელი ხდება დარგობრივი კომპეტენციების შესწავლის შემდეგ, რაც დაკავშირებულია ამავე დარგის პოფესიონალებთან, სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებთან კომუნიკაციის შემდეგ. ამ შემთხვევაში ენობრივი საშუალებები გამოიყენება დარგობრივი ენის სწავლების მაგალითზე, რაც ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხების დახვეწას, ადამიანურ რესურსს და სხვადასხვა ფორმის აქტივობებს მოითხოვს, როგორც სალექციო კურსის ფარგლებში, ასევე ტექნოლოგიების გამოყენების და ინფორმაციის შესწავლის

კუთხით. აღნიშნება სპეციალიზებული ენების საკმაოდ განსხვავებული ფუნქციონალური მახასიათებლები, რომლებიც ენის ფუნქციას უკავშირდება. ტექნიკური ენის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დარგობრივი ტერმინების დაკავშირებას ტექნიკურ ობიექტებთან და ფაქტებთან ასევე მიმდინარე პროცესებსა და პროცედურებთან.

უცხოური ენის ცოდნის უპირველს მოთხოვნად გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნა მიიჩნევა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ენობრივი პრაქტიკის წარმართვა. საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის პერიოდში გავლილი აქვთ უპირველს ცოდნად მოაზრებული უცხოური ენის საგაკვეთილო პორცესის ციკლი და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემდეგ უსდ-ებში მათი დაჯგუფება, სპეციალური ტესტის მიხედვით ხდება. სწავლებისას ლექსიკური მარაგისა და გრამატიკული ელემენტების ერთობლიობა ენის სტრუქტურირებაში უდაოდ ეხმარება შემსწავლელს, მაგრამ არსებობს საფრთხე ენის არაფუნქციური გამოყენებისა, რაც სიტუაციური კონტექსტიდან გამომდინარეობს. ზოგადი უცხოური ენის სწავლის დროს სტუდენტები ვერ იყენებენ შეძენილ ცოდნას კონტექსტური ინტეგრირებისთვის. დარგობრივი ენის ლექსიკური მარაგის ფლობა ზუსტი ენობრივი გამოხატვის უნარს უკავშირდება. სტუდენტებისთვის ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა ენის მიზნობრივად გამოყენების თვალსაზრისით. აღნიშნული ასპექტი სოციო-ლინგვისტურ ჭრილში, მოიცავს სიტუაციის ათვისების შესაძლებლობას კომუნიკაციისა და მიმოწერის დროს და ტექსტის გაცნობიერებას. დარგობრივი ენის საკომუნიკაციო სტრატეგიებში იგულისხმება ინფორმირებულობის დონე ამა თუ იმ დარგის სფეროში ასევე ინტერკულტურული ცნობიერების ისეთ ქვესფეროებში როგორცაა, ადაპტირება, ქვეყნის კულტურის შესწავლა და საკომუნიკაციო სტრატეგიები. დარგობრივი უცხოური ენის სწავლებისა და სწავლის პრაქტიკაში უნდა მოხდეს დარგისა და უცხოური ენის ფლობის ელემენტების ინტეგრირება. უცხოური ენის ცოდნა, როგორც წესი არ იკარგება, მაგრამ შესაძლოა ენის ცოდნის დონე დაქვეითდეს. ყოველი მომდევნო დონის მიღწევისთვის საჭიროა სასწავლო ძალისხმევა როგორც ზოგადი,

ისე დარგობრივი ენის დაუფლებისთვის, რასაც შესაძლოა რამდენიმე წელი დასჭირდეს.

ლოტერ ჰოფმანი თავს უყრის, ენის სწავლების საკომუნიკაციო კომპეტენციების გარშემო არსებულ არც ისე მდიდარ მასალას, გამოჰყოფს დარგობრივი ენის სწავლების პედაგოგიკას, როგორც მიდგომების ერთობლიობას, რომლებიც მიმართულია იმაზე, რომ დაეხმაროს სტუდენტს დაეუფლოს უცხოურ ენას საკუთარი დარგის საჭიროებისამებრ. ასევე დაძლიოს უცხოურ ენაზე დარგისთვის აუცილებელი კომუნიკაციის პრობლემები, რაც (მისთვის როგორც მომავალი დარგის სპეციალისტისთვის) უცხოური ენის შესწავლისას უმიშვნელოვანესი ნაწილია: საუბარი კოლეგებთან, ლექსიკის გამოყენების ხერხები, ენის სტილი, ფორმალური ან არაფორმალური მიმართვის ფორმები და ა.შ. უცხოური ენის სწავლების პედაგოგიკის მთავარი იდეა მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ენის განვითარებაზე საგანმანათლებლო პროცესის ყველა ფაქტორის ზემოქმედების გათვალისწინება იქნება ეს სასწავლო შინაარსი, სწავლების მეთოდები, ურთიერთობები თუ სხვა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამები ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რაც მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და განვითარებისთვის.

უსდ-ები ამზადებენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს, რომლებიც ენის დონის შესაბამის კომპეტენციებს ფლობენ. უსდ-ებში არსებული პროგრამები ამზადებს ბაკალავრს, როგორც დარგის სპეციალისტს, რომელიც დარგის მოთხოვნებს შეესაბამება. საბაკალავრო პროგრამის მიზანია, მისცეს სტუდენტს ღრმა და სისტემური ცოდნა.

*წარმოდგენილი პროფილთა ვეროპული ბადე (დანართი 1) სრულყოფილად ასახავს უცხოური ენის სწავლის პროცესის განვითარების გრძელვადიან დონეებს.

უცხოური ენის სწავლებასა და ენის სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენების შესახებ არსებობს მსხვადასხვა უცხოელი ენათმეცნიერისა და ენის პედაგოგების საავტორო ბლოგები, სადაც გაზიარებულია მათი გამოცდილება. „დარგის სპეციალისტების საჭიროებებიდან გამომდინარე, დარგობრივი ენის სწავლების გეგმა და სტრუქტურა, ზოგადი უცხოური ენის სალექციო კურსისგან ძირითადი მასალის გამოყენების მიხედვით განსხვავდება.“ (Fluck, H.R. 1998). პედაგოგის ამოცანა დარგის ცოდნასთან დაკავშირებული ინფორმაციის უცხო ენაზე მიწოდება და სალექციო კურსში ინტეგრირებაა. ამ მიზნით სამუშაო მასალა იცვლება შინაარსის და მოთხოვნის მიხედვით (ტექსტი, სახელმძღვანელო, ლექსიკონი). სალექციო და სასემინარო სტრუქტურა კი უცვლელი რჩება (Fluck, 1998). სააუდიტორიო მუშაობა მოქნილი და ინტერდისციპლინარული ხდება. უცხოენოვანი სტუდენტი ენას უმაღლეს სასწავლებელში სულ სხვა აქცენტებითა და გამოყენების პერსპექტივით სწავლობს, რაც საბოლოოდ მის აკადემიურ მოსწრებაზე და მოტივაციაზე აისახება. (Kramer, K. 2003.)

ენათმეცნიერი ლოთერ ჰოფმანის ნაშრომებში ყურადღება გამახვილებულია დარგობრივი ენის კონტექსტზე უცხოური ენის სწავლების პროცესში: დარგობრივი ტექსტებისა და შინაარსის მასალის გამოყენებაზე, სტრუქტურული ქვედანაყოფების თანმიმდევრულობაზე, ერთიანობაზე, შესასწავლი თემის შესახებ კომუნიკაციაზე. მისი აზრით დარგობრივი ენის სწავლების პროცესი ლინგვისტური რესურსების ჯამია, რომელიც უზრუნველყოფს ამ სფეროში მომუშავე ადამიანებს შორის კონსტრუქციულ კომუნიკაციას. (Hoffmann, L. 1996) დარგობრივი ენის სწავლების საჭიროებისთვის ლ. ჰოფმანი გვთავაზობს ამ სფეროსათვის განსაზღვრულ, შესაბამის თემატიკას: „დარგობრივი ენის სწავლებისას მნიშვნელოვანია შესაბამისი ტერმინებისა და უცხო სიტყვების დამუშევა რაც ძალიან იშვიათია ენის შესწავლის სტანდარტული (ზოგადი) სალექციო კურსის ფარგლებში. დარგობრივი ენა განსხვავდება ზოგადი ენისგან აკადემიური და მიზნობრივი სფეროს ტერმინოლოგიით.“ (Hoffmann, L. 1996).

გერმანული ენის ტექსტის შედგენისასა (დაფ 1) ენის სასწავლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ტექსტის შესაბამისობის აღქმის უნარი, სიტუაციურად ადეკვატური და ენობრივი ვიზუალური საშუალებების გამოყენება, როგორც არის სიმბოლოები, ფორმულები, განტოლებები, გრაფიკული გამოსახულებები და მინიშნებები, რაც სახელმძღვანელოს ტესტებისა და სავარჯიშოების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. სემანტიკური და სინტაქსური განმარტებების ნაცვლად, გამოყოფილია კონკრეტული ფაქტები, ლოგიკური სტრუქტურები და თანმიმდევრობა.

უცხოური ენის სწავლებისას დარგობრივი ენა დამატებითი ელემენტია, რომელიც სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს ენის შესწავლის პროცესში ეხმარება (Koreik,U. 2014). დარგისთვის საჭირო ენის სწავლებისა და სწავლისას პროფესიული ენა დამატებითი რესურსია მომავალი სპეციალისტებისთვის, რაც სამომავლოდ მათი წარმატების საწინდარია. (Koreik,U. 2014). DaF-ის პრაქტიკული სახელმძღვანელო ენის პედაგოგებს სთავაზობს სალექციო კურსის სხვადასხვა ეტაპებად დაყოფას ენის სახელმძღვანელოების, წიგნებისა და გაზეთების, აუდიო-რესურსებისა და ტექნიკური ინფორმაციის დარგისთვის საჭირო მასალის გამოყენების გზით.

სოციო-კულტურული ელემენტის ნაწილს უცხოური ენის ინტერდისციპლინარული კომპეტენციის ჭრილში განხილვა წარმოადგენს, რაც უცხოური ენის შემსწავლელის მიერ საერთაშორისო პრაქტიკის გაცნობას და ცოდნის გაფართოებას გულისხმობს. დარგობრივი სალექციო ელემენტის გამოყენებით და მასალის რაოდენობის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დარგობრივ ენაზე ორიენტირებული მიზანშეწონილობა სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ითამაშებს ენის შესწავლაში. ამ მხრივ ენის შესწავლის ინტერდისციპლინარ ინტეგრაციაზე შესაძლებელია ენისა და დარგის ყოვლისმომცველი კონტექსტის ურთიერთკავშირი.

კონტექსტის სრულყოფილება ლექსიკისა და სტრუქტურის ურთიერთმიმართების შეფერხების თავიდან აცილებას გულისხმობს. ზემოაღნიშნული შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ლექსიკური მარაგი და გრამატიკული ელემენტები გარკვეულ

დონეზე მეხსიერებით მუშაობს და სხვა დამატებითი გარემოება უცხოურ ენაზე გამოხატვის შეფერხებას არ იწვევს. შეფერხების კონტექსტის გვერდის ავლის საშუალებას საჭირო სიტყვის სწრაფი პერიფრაზირება და ჩანაცვლება წარმოადგენს, რაც მეტყველების ნაკადის შესანარჩუნებლად საჭირო. ამ მხრივ მნიშვნელოვანია სპეციალიზირებული ტექსტების წერისას ან კითხვისას მკაფიო სტრუქტურის გამოყენება, რაც შესმსწავლელის მიერ კონტექსტის გაგების სასურველი შედეგის მიღწევის საშუალებაა. (Fluck,H-R.1996) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში დარგობრივი ენის შესწავლას დრო თითქმის არ ეთმობა. გარკვეული ამოცანები შეიძლება შესრულდეს მცირე ენობრივი რესურსებითაც. „რაც უფრო ფართოა ზოგადი ენობრივი უნარები, მით უფრო ფართოა დარგობრივ ენაში ლინგვისტური შესაძლებლობები“ (Koreik,U. 2014).

1.2. დარგობრივი უცხოური ენისა და ზოგადი უცხოური ენის ურთიერთკავშირი

„დარგობრივი ენა ადვილად შეიძლება განვასხვავოთ სტანდარტული (ზოგადი) ენის ფორმისგან ლექსიკით, იდიომებით და სტრუქტურით, მაგრამ არა გრამატიკული

ელემენტებით, დარგობრივი ენა ასევე ეყრდნობა გრამატიკის სტანდარტულ ნორმებს.” (Roelcke, Th. 1999). დარგობრივ ენას თორსთენ როლკე სამ დონედ ჰყოფს: ექსპერტის ენა, პრაქტიკოსის ენა და სამეცნიერო ენა. სამივე დონეზე ხდება ზოგადი ენის ცოდნისა კომუნიკაციის საშუალებით სპეციალიზირებული ენის ასპექტების შერწყმა. თორსთენ როლკეს თეორიის მიხედვით უცხოური ენის სინტაქსის, ლექსიკის და ტექსტის ელემენტების გარდა დარგობრივ ენას ახასიათებს ფუნქციონალური ასპექტი, რომელშიც მთავარი მახასიათებლები სიზუსტე და შესაბამისობაა. (Roelcke, Th. 1999)

ზოგადი ენისა და დარგობრივი ენის ურთიერთკავშირის საკითხები დღემდე განხილვის საგანია: „როდის შეიძლება ჩაითვალოს სიტყვა საერთო ენის ნაწილად ან როდის დარგობრივი ენის ნაწილად, დარგობრივ ენას გააჩნია საერთო გლობალური თვისებები, რომელიც ზოგადი ენის სწავლებასთან პროფილის/სფეროს განსაზღვრასთან არის კავშირში.“ (Fluck, H.-R. 1996)

ენას შეუძლია ინტეგრირდეს სპეციალობასთან ინტერაქტიური ფონითა მულტიდისციპლინური კავშირებით. (Baumann K-D, 2004) როგორც კლაუს დიტერ ბაუმანი წერს: „სალექციო პროცესში თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ დარგის წინასწარ შერჩეული და მომზადებული მასალა, რომელსაც ლექსიკონით და დისკუსიის საშუალებებით განვავრცობთ, დავურთავთ აუდიო მასალას, რაც სალექციო პროცესში სტუდენტების ჩართულობას განაპირობებს.“ (Baumann K-D, 2004.).

ბაუმანის წარმოდგენით დარგობრივი ენის პროცესი სააუდიტორიო კავშირია, „სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის დამყარებული ემოციური კავშირი გავლენას ახდენს აკადემიურ მოსწრებაზე“. აუდიტორიაში წარმართული სალექციო პროცესში შესაძლებელია ტექსტების და შიდა არსებული ქსელების გამოყენება. (Baumann K-D, 2004.).

უცხოური ენის სწავლების პროცესში დარგობრივი ენის სწავლების კომპონენტს “ტექნიკური ენის” სწავლებასაც უწოდებენ (Roelcke, Th. 2016.), თანამედროვე ენის სწავლების დიდაქტიკაში კი საგანზე ორიენტირებულ უცხოური ენა, პროფესიული

ენისა და ტექნიკური ენის სწავლებად მოიხსენიება. ეს გახლავთ ისეთი დარგები როგორცაა: ეკონომიკა, მედიცინა, ფიზიკა, ინჟინერია, სამართალმცოდნეობა, ქიმია, ფსიქოლოგია და ა.შ.

დარგობრივი ენის განხილვისას, ენობრივ ნიშანს ტექნიკურ ენასთან პირდაპირ კავშირში განიხილავენ, რა დროსაც ტექნიკური ენა ეხება საგნებისა და ფაქტების წარმოდგენას და ერთიანდება დარგის ენასთან. ენობრივი ნიშანი დარგობრივ ტექსტში თავისი სასიგნალო ფუნქციით ორიენტირებულია მიმღების/შემსწავლელის შიდა და გარე ქცევაზე, საკითხი ეხება კონკრეტული დისციპლინის ფაქტებს, დარგის ობიექტებს, არამშობლიური ენის ცოდნის გამოყენებით. (Koreik.U. 2000)

ფრიც კლემენს ვერნერი დარგობრივი ენის სწავლების ელემენტების ფაზებს განმარტავს სიტუაციისა და სალექციო კურსის ამოცანების მიხედვით. ენის სწავლების დროს ტერმინების და სამუშაო მასალის მიწოდება სხვადასხვა დარგის დისციპლინების ტექსტების განხილვითა და აქტივობებით ხორციელდება. კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები როგორცაა: ვერბალური/ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დარგობრივ ტექსტზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური მუშაობის მეთოდი, (Case study) შემთხვევის ანალიზის მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი და სხვა. (Werner, F.C.1997).

როლკეს ნაშრომი „დარგობრივი ენა - „Fachsprache“, ერთგვარი იმპულსია ენის სწავლების საჭიროებებისა და მოთხოვნების გასააზრებლად, სადაც დარგობრივი ენის სწავლების საჭიროება დროის მოთხოვნას შეესაბამება. ნაშრომში „დარგობრივი ენა - „Fachsprache“ როლკემ უცხოური ენის სწავლების სალექციო კურსის თავისებური მოდელი შემოგვთავაზა. იგი მოიცავს აქტივობებს, რომელიც დარგის სპციალისტისთვისაა საჭირო. მან უცხოური ენის სწავლების პრობლემები გამოყო ორი კითხვის საფუძველზე: რამდენად პრობლემურია დარგობრივი ენის სწავლება? და რამდენად აქტუალურია დარგობრივი ენა სტუდენტებისთვის? (Roelcke, TH.1997).

დარგობრივი ენის თემები უნდა მოიცავდეს დარგის ტერმინების გამოყენების ტექნიკას და ხელს უწყობდეს მუშაობას პრაქტიკული ქმედებების ინტეგრირებით. დარგობრივი ენის სწავლის პროცესი უნდა შეიცავდეს ზოგადი ენის მსგავს ფაზებს: მიზნის განსაზღვრას, დაგეგმვასა და შედეგების ანალიზს (თუმცა) დარგის საჭიროებებიდან გამომდინარე. (Roelcke,Th. 2004).

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტებს, რომლებიც უცხოურ ენას როგორც საფაკულტეტო დისციპლინას შეისწავლიან, დარგობრივი ენის სწავლებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრა და მოტივაციის ამაღლება სჭირდებათ. როლკე დარგობრივი ენის კლასიფიცირებაზე ამახვილებს ყურადღებას, სადაც დარგობრივი ენის მნიშვნელობას და მის საჭიროებებს აღწერს. ენათმეცნიერი ყურადღებას უთმობს სალექციო პროცესში დარგობრივი ენის სწავლების საშუალებებს, რომელიც ზრდის სტუდენტების ინტერესსა და მოტივაციას. ენის სწავლა ურთიერთკავშირშია გამოყენების ტაქტიკასთან, რის საფუძველზეც უმჯობესდება მეხსიერება და შესაბამისად ენის პრაქტიკაში გამოყენება.

პედაგოგს კურსის დაწყებამდე შეუძლია მოამზადოს როგორც ვიზუალური სასწავლო საშუალებები, ასევე აუდიო და აუდიო-ვიზუალური რესურსები. დარგობრივი ენის სწავლება გულისხმობს რესურსს, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, ტექსტებსა და მასალას, რაც მომავალ სპეციალისტებს შესაბამის დარგში ენობრივად მუშაობის და განვითარების საშუალებას მისცემს. (Roelcke,Th.2002.)

გერმანული ენათმეცნიერი უვე კორაიკის სამეცნიერო ნაშრომში (Wirtschaftssprache) განხილულია უცხოური ენის სალექციო პროცესში გამოყენებული საშუალებები. ნაშრომში გაანალიზებულია გერმანულენოვანი უნივერსიტეტების (ჰანოვერი, ბილფელდი) დარგობრივი ენის სახელმძღვანელოები, წასაკითხი მასალა, ელექტრონული ლექსიკონები, როგორც დარგის შესახებ არსებული ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელოვანი საშუალება და ხელშემწყობი ფაქტორი. იგი უცხოურ ენას (გერმანული) წარმოგვიდგენს ბიზნესის, განათლების, ინჟინერიისა და მედიცინის სფეროების პერსპექტივით. აღსანიშნავია დარგობრივი ენის ერთ-ერთი მთავარი

დანიშნულება: „უცხოური ენა, როგორც კვლევის მნიშვნელოვანი წყარო და სხვადასხვა ქვეყნის - ერთი დარგის სპეციალისტებისთვის კომუნიკაციისა და კავშირების საშუალება.“ (Koreik, 2014)

1.3. დარგობრივი უცხოური ენის სწავლა- სწავლების წინაპირობები

დარგობრივი უცხოური ენის და ზოგადი ენის ურთიერთმიმართება მორფოლოგიურ და სინტაქსურ მსგავსებებში ხსნის პარალელებს ინტერდისციპლინარული ტექსტის ნიმუშებთან, მის ტიპებთან და ენობრივი აქტივობის სფეროებთან. წინარე ცოდნა, სპეციალიზებული ლექსიკა, რთული სიტყვების სწავლა, წინადადების აგების ცოდნა, დარგობრივი ტექსტების ტიპების გამორჩევა, მათ შორის ილუსტრაციები დარგობრივი უცხოური ენის სწავლის წინაპირობაა. თუ უცხოური ენების სწავლების მეთოდოლოგია განიხილება, როგორც ყოვლისმომცველი ენის დისციპლინა, მაშინ დარგობრივი უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგია უნდა გავიგოთ, როგორც გამოყენებითი მეცნიერება, სპეციფიკური მიდგომებით რომელიც ეხება უცხოური ენის, როგორც საგნის სწავლების პროცესის კონცეფციას (Fluck, H.R, 1998).

კომუნიკაციის ოპტიმიზაციისთვის, სტუდენტების მოქნილობა და მობილურობა უაღრესად მნიშვნელოვანია. ბოლო წლებში გაიზარდა მოთხოვნა პროფესიული (დარგობრივი) ენის სწავლებაზე (გოეთეს ინსტიტუტი 2018). მოსწავლეები მუშაობენ კონკრეტულ ტექსტებზე, იძენენ საჭირო ლექსიკას და ეს, თავის მხრივ, ამარტივებს სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის გაგების პროცესს, ასტიმულირებს მათ პროფესიულ სფეროში ალტერნატიული გამოცდილებით მუშაობას. ზოგადი ენა შეუცვლელია საკუთარი კომპეტენციის მოთხოვნებისთვის; ხოლო რაც შეეხება დარგობრივ უცხოურ ენას ის რეალიზდება გარკვეულ სფეროებში კონკრეტული სიტუაციების კონტექსტში. დარგობრივი უცხოური ენის ფარგლებში, ზოგადი ენის

ელემენტები დაკავშირებულია კონკრეტული სფეროს სპეციფიკასთან. საბოლოო ჯამში, შეუძლებელია ზოგადი ენის გამოყოფა დარგობრივი უცხოური ენისგან. ითვლებოდა, რომ „უნდა არსებობდეს სამუშაო მასალა - ენის წმინდა აღწერილობითი ვერსია, სადაც ენის განვითარების ეტაპები და ცვლილებები ბუნებრივ თანდაყოლილ თვისებად გვევლინება“ (Knapp, K. 2011).

უცხოური ლიტერატურის, გრამატიკის და ფონეტიკის პარალელურად, ზოგად დარგობრივ უცხოურ ენას, საკითხებისა და დარგების ქვედისციპლინების ტერმინოლოგიის გამოყენების სინთეზში, უფრო მოქნილს და გამოყენებითი ხასიათის ფუნქციას სძენს. კონკრეტული დარგის სამუშაო პროექტები ქმნის კომუნიკაციის სპეციფიკურ ფორმებს: ერთის მხრივ თეორიებს და მეთოდებს, მეორეს მხრივ კი ტექსტებისა და კონტექსტების გარკვეულ სამეტყველო აქტებს, რაც სტუდენტების პერსპექტივაზე ორიენტირებულია. სტუდენტების ჯგუფში იქმნება საერთო ენა, რომელშიც სოციოლინგვისტიკის გათვალისწინებით ფუნქციურად გამართული სასწავლო გარემო იქმნება. ამგვარი პროცესი სრულად შეუქმნის სტუდენტებს უცხოური ენის შესწავლის პრაქტიკული მიზნებისთვის გამოყენების გააზრებას. ეს პროცესი მათ აკადემიურ მოსწრებას და სამომავლოდ მოტივაციას წინასწარვე მეტად დადებითად განსაზღვრავს.

სპეციალიზირებულ სფეროებში მუდმივად ჩნდება, ახალი დისციპლინები და ქვედისციპლინები, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ენის სწავლისა და სწავლების მოთხოვნებზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში არსებული უცხოური ენის სწავლებისას წერა, წაკითხვის გააზრება, საუბარი, მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარების პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სასწავლო პროცესი სხვა რაკურსით წარვმართოთ. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განვლილი სასწავლო კურსის შემდეგ უსდ-ებში სტუდენტებს შეუძლიათ მიიღონ უცხოური ენის ის ცოდნა, რომლის მეშვეობითაც არ გაუჭირდებათ დარგობრივი საქმიანი და პარტნიორული ურთიერთობების დამყარება.

კომუნიკაციის ოპტიმიზაციისთვის სტუდენტების მობილურობა და მობილობა ძალიან მნიშვნელოვანია, ბოლო წლებში გაიზარდა მოთხოვნილება პროფესიული (დარგობრივი) ენის სწავლების მიმართ (Goethe-Institut 2018). სტუდენტები ამუშავებენ დარგობრივ ტექსტებს, იძენენ საჭირო ლექსიკურ მარაგს, ეს კი ამარტივებს დარგისთვის საჭირო ინფორმაციის გაგებას და ხელს უწყობს შესაბამის დარგში ალტერნატიული გამოცდილების მიღებას.

2000 წლიდან უცხოური ენის სწავლების კვლევები დიალექტის, გრამატიკის, წერის მიმართულებებთან ერთად საქმიანი საუბრის, რეკლამის ენის, ტექნიკური და პროფესიული თემებით არის წარმოდგენილი. სოციოლინგვისტიკაში დარგობრივი ენა არ გახლავთ ცენტრალურ ადგილზე, ზემოაღნიშნულ მიმართულებაში მუდმივი ადგილი თარჯიმანთა მომზადებას, მათი კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებს უკავშირდება. თარჯიმანთა ჯგუფი წარმოადგენს პროფესიულ ჯგუფს, რომელიც ახორციელებს კომუნიკაციურ პრაქტიკას ყველა შესაძლო სფეროში. აქედან გამომდინარე ჩნდება აუცილებლობა ცალკეული დისციპლინების ენობრივად ცოდნის დინის გაღრმავების საკითხისა. ერთის მხრივ ენა მუშავდება განსაკუთრებულად სპეციფიკური ჯგუფებისთვის, მეორეს მხრივ კი მხოლოდ ენის ელემენტარული ცოდნის საფუძველზე. (Roelke,Th. 2010.)

უცხოური ენის სწავლებისას დარგობრივი ენის ელემენტების გამოყენებით სწავლებასა და სწავლას დადებითი გავლენა აქვს სხვადასხვა დარგის სტუდენტების აკადემიურ მოსწრებაზე. დარგობრივი ენის სწავლა ნაწილობრივ ინდივიდუალიზებული სასწავლო პროცესია, სადაც გათვალისწინებულია სტუდენტების გარკვეული ჯგუფის ინტერესები და თავისებურებები. (Hofmann, L.1986)

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესში სხვადასხვა ფაქტორი იჩენს თავს: ახალი ინფორმაციის მიწოდება და გამოყენება ენის სწავლის მიზნების გათვალისწინებით, უცხოურ ენაზე სხვა ქვეყნების გამოცდილების გაზიარების დროს და იმ დარგზე ფოკუსირება, რომელსაც სტუდენტი ეუფლება.

დარგობრივ ენაზე კომუნიკაციის კომპეტენციების განვითარება, ასევე უკავშირდება ენის სწავლების დროს ჯგუფურ მეცადინეობებს და შესაბამის დარგზე ყურადღების ფოკუსირებას. საბაკალავრო საფეხურზე აუცილებელი არ არის რომ უცხო ენის სწავლების სხვადასხვა პროგრამა ცალკე საგნად ჩამოყალიბდეს, თუმცა შინაარსის და სამუშაო პროცესის აქცენტების ცვლილება მიზანშეწონილია.

დარგობრივი შინაარსის ტექსტების გააზრების მიზანი არის პროფესიისა და ზოგადი ენის ცოდნის შერწყმის განვითარების, კომუნიკაციის ოპტიმიზაცია და ცოდნის გაფართოება. დარგობრივი მასალა ტექსტის ფორმით მთელი საკომუნიკაციო პროცესის ნაწილია, სამეცნიერო ტექსტების წარმოება, გაგება და აღქმა წარმოადგენს კომუნიკაციის მნიშვნელოვან ნაწილს. პროფესიული მითითებების ინტეგრირება დარგობრივ კლასიფიკაციაში რთულად მოსაძებნია. დარგებთან დაკავშირებული ტექსტები, სტატიები, სავარჯიშოები არსებულ სახელმძღვანელოებში ფარგლებში ხელმისაწვდომია, სფეროზე ორიენტირებული უცხოური ენის სწავლება აღიარებულია, როგორც თანაბარი მნიშვნელობის საკითხი უცხოური ენის როგორც საგნის სისტემის ნაწილი, სახელმძღვანელოებში სტრუქტურირებულად არის შედგენილი მომავალი იურისტების, ეკონომისტებისა, ქიმიკოსების, სამედიცინო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით დაინტერესებული შემსწავლელისთვის ყველა საკითხი. DaF, MINT -ის სახელმძღვანელოები დაგობრივი ენის დიდაქტიკის საკითხების მიმოხილვის საშუალებას იძლევა თითოეული არსებული გაკვეთილებიდან. დარგობრივი ენის თემები მოიცავს დაგრის ტერმინების გამოყენების პრობლემებს და ხელს უწყობს ინტერდისციპლინარულ მუშაობას პრაქტიკული ქმედებების ინტეგრირებით.

თორსთენ როლკე დარგობრივი ენის კონცეფციას გამოყოფს, ლინგვისტური სპეციალიზებული ენის კვლევის ფაზების შესაბამისობით: ენა როგორც ნიშნები და სისტემები პრაგმალინგვისტური კონტექსტით, დარგობრივი ენის ცვლილებები სისტემურ ლინგვისტიკასთან შერწყმით და სოციალურ-პრაქტიკული მოთხოვნებთან შესაბამისობა. აქედან გამომდინარე ლინგვისტიკის თეორიისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის (განსაზღვრული) გამიჯვნაა საჭირო. ცნება გამოყენებითი ლინგვისტიკა 1960 წლიდან ენათმეცნიერების ნაწილია (Hoffmann,L.1986).

გამოყენებითი ლინგვისტიკის საკითხებში შედის ყველა პრაქტიკული უცხოურ ენასთან დაკავშირებული ნაშრომი, სადაც თავმოყრილია სისტემური ლინგვისტიკის კონცეფციები. მაგალითისთვის: ენის სწავლება და თარგმნა წარმოადგენს გამოყენებითი ლინგვისტიკის ძირითად სფეროს, მას უპირველესად აქვს პრაქტიკული და მოლოდინების შესაბამისი ფუნქცია. ის უნდა დაეხმაროს შემსწავლელს ენის სწორად გამოყენების სწავლაში. „იმდენი დარგობრივი ენაა, რამდენიც სამუშაო სფეროა, დარგობრივი ენა ისეთივე ძველია როგორც თავად ენა.“ (Hoffmann, L. 1986)

მას შემდეგ, რაც ადამიანებმა დაიწყეს ერთმანეთთან ურთიერთობა კომუნიკაციისთვის კონკრეტული ენის გამოყენება უხდებოდათ. აქედან გამომდინარე, ინდივიდუალური ტექნიკური ენების საწყისი ეტაპი შეესაბამება სპეციალობისა და საგნების საწყისებს. (Roelcke, Th. 1990). ავტორის ციტირებიდან გამომდინარე დარგობრივი ენების დაყოფა დაკავშირებულია შრომის დაყოფასთან და კომუნიკაციასთან ადამიანების საქმიანობის სფეროებიდან გამომდინარე. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში ტელეფონის, რადიო, ტელევიზიის და კომპიუტერული ტექნოლოგიების დამკვიდრებამ, ახალი მედია საშუალებების სწარაფი განვითარება გამოიწვია. ამ პროცესში სხვადასხვა დარგობრივი ენა გაჩნდა. შეიქმნა ახალი გამონათქვამები, სხვადასხვა დისციპლინების ცალკეული ლექსიკა, რომელიც დღემდე ვითარდება და ფართოვდება. ბევრი პროფესიული ტექსტი რთულად გასაგებია მათთვის, ვისაც უცხოური ენის არასაკმარისი ცოდნა აქვს. „დარგობრივი ენა ცალკე სტანდარტიზაციის საკითხია, რომელიც ამცირებს საკომუნიკაციო შესაძლო რისკებს“ (Roelcke, Th. 1999). პროფესიულ საქმიანობაში არ შეიძლება ურთიერთობების უზუსტობა და ინტერპრეტაცია. „ენის პროფესიულად გამოყენება არის დაგეგმილი ფუნქციონირების წინაპირობა და ხშირად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანიც შეიძლება იყოს მაგალითად მედიცინის დარგში, რამდენადაც არაზუსტმა კომუნიკაციამ შეიძლება გაანადგუროს საარსებო წყარო.“ (Koreik, U. 2014). პრაგმა-ლინგვისტურ ნაწილში ტექნიკურ ენაში იგულისხმება, გამონათქვამების ფორმები, რომლებიც ქმნიან ტექსტებს, კონკრეტულ დარგში უცხოურ ენაზე სპეციფიკური ტერმინების გამოყენებით. დარგობრივი ენა მოიაზრებოდა როგორც ნიშნების სისტემები, შემდგარი ტერმინებისგან, მე-20 საუკუნის 50-70-იან წლებში დარგობრივი ენა

სისტემური ინვენტარიზაციის ლინგვისტურ მოდელად იყო მიჩნეული. (Fluck, H.R. 1998) ცალკეული დარგობრივი ენა საკუთარ ენობრივ ფორმებს ქმნის. ლოთერ ჰოფმანი წარმოადგენს ლინგვისტური ელემენტების ჯგუფს და სტილისტურ კონსტრუქციებს: 1. სამეცნიერო ენა, დარგობრივი ენის ფორმაა, რომელშიც შედის კვლევა, სახელმძღვანელოები, ლექციები და მოხსენებები; 2. დარგობრივი სასაუბრო ენა არის სპეციალისტების პირდაპირი კომუნიკაცია, რომელიც მოიცავს ტექნიკურ ენას, ტერმინებს, ჟარგონებს და ინსტრუქციებს. (Hoffmann, L. 1986). წარმოდგენილი ელემენტები ზუსტად ხსნის დარგობრივი ენის ზოგადი ენისადმი დაქვემდებარებას, რომელიც მოიცავს, არა მხოლოდ ტერმინებს, არამედ ფონეტიკურ და მორფოლოგიურ საშუალებებსაც თავისი ლექსიკური და სინტაქსური ელემენტებით.

გერმანულენოვანი სამეცნიერო ჟურნალების მიხედვით (FaDaF, 2019) დარგობრივი კვლევები გერმანული ენის ტექნიკური მახასიათებლების შესახებ დღემდე აქტუალურია. გერმანიაში ჰანოვერის უნივერსიტეტში ენების ცენტრის მეცნიერთანამშრომლების მიერ შემუშავებული ენის სწავლების გეგმა მიზანმიმართული სამუშაო პროცესის ნაწილია, რაც ახალი კურიკულუმის შემუშავების საფუძველი გახდა. ოთხმოცდაათიანი წლების ბოლოს უნივერსიტეტის ენების ცენტრის თანამშრომლების მიერ ჩატარდა სამუშაო კატეგორიების დაჯგუფებით: კონტექსტი, პედაგოგის როლი, მეთოდიკა, რესურსები და შეფასება. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ არ იყო შესაძლებელი დარგობრივი ენის ცალკეულ დისციპლინად დანერგვა. 1998 წელს ამავე უნივერსიტეტის ხელშეწყობით კიდევ ერთი მცდელობა შედგა, შეიცვალა სწავლების მეთოდები, საკითხის სირთულიდან გამომდინარე დაუშვებელი გახდა ერთი მეთოდიდან გამომდინარე შედეგების სხვა ჯგუფზე განზოგადება და წარმოჩინდა სხვადასხვა ფაქტორი, როგორცაა ადრესატი და მათი საჭიროებები, სასწავლო მიზნები, მასწავლებლის კომპეტენცია და მოქნილობა. შედეგად დარგობრივი ენა ცალკეულ დისციპლინებად დარგის მიხედვით ჩამოყალიბდა და ხელმისაწვდომი გახდა უცხოენოვანი სტუდენტებისთვის, ამ კონტექსტში უნდა აღინიშნოს უცხოური ენის სპეციფიკური ჩამონათვალი (ეკონომიკური გერმანული, იურიდიული გერმანული და ა.შ), მხედველობაში იქნა მიღებული მეთოდებისა და კრიტერიუმების ადეკვატური შეფასება. (Koeik, U., 2014)

უცხოური ენის სწავლებისას პედაგოგებს მოქმედებისთვის სჭირდებათ მეცნიერულად დაფუძნებული რეკომენდაციები, ამოტომ უცხოური ენის დიდაქტიკა და ენის სწავლების კვლევა პრაქტიკაზე ორიენტირებულ მეცნიერებად შეიძლება მოვიაზროთ, რომლის მიზანია სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესება. მნიშვნელოვანია ასპექტები, რომლებიც ქმნიან საგნებთან დაკავშირებული უცხოური ენის სწავლების დიდაქტიკას და მეთოდოლოგიას: ადრესატზე ორიენტაცია, ტექსტისა და კომუნიკაციის არეალი, ინტერდისციპლინურობა და ინტერკულტურულობა. ამ ასპექტების მიხედვით მიზნების მისაღწევად აუცილებელია დარგებთან და ენასთან დაკავშირებული მეთოდურ-დიდაქტიკური გადაწყვეტილებების მიღება იმ პრობლემებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას დარგობრივი ენის სწავლა-სწავლებისას. (LUH, 2010)

დარგობრივი ენის შესახებ დიდაქტიკის მთავარი საკითხია, თუ რამდენად შესაძლებელია ორი დისციპლინის უცხოური ენისა და დარგის ურთიერთკავშირი. განხილვის საგანია, როგორ ვასწავლოთ დარგობრივი ენა, რის საფუძველზეც აქტუალური ხდება ცოდნის გადაცემის მეთოდოლოგია, დარგობრივი ლექსიკური ტერმინოლოგიის არეალში. მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტთა მომავალი პროფესიები და მათი საჭიროებები უცხოური ენის შესწავლისას. როგორ უნდა ისწავლებოდეს დარგობრივი ენა და რა უნდა ისწავლებოდეს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ამ შეკითხვებიდან გამომდინარე არ შეიძლება არსებობდეს ერთი მეთოდოლოგია, რომელიც მოქმედებს ყველასთვის (Fluck, H.R., 1992.) სალექციო პროცესში დარგობრივი ენის შესწავლის ამოცანები მოიცავს დარგების სპეციფიკური ენის სწავლებასთან დაკავშირებულ შესაბამისობას. ხშირ შემთხვევაში ენის სპეციალისტებს ამოცანის შესრულებისთვის სჭირდებათ საგნის სპეციალისტთან ერთად მუშაობა და კონსულტაცია. Daf-ის ფარგლებში განხილული სახელმძღვანელოების მიხედვით დარგობრივი ენის სწავლება ეყრდნობა უცხოური ენის ზოგად დიდაქტიკას და მეთოდოლოგიას, თუმცა საჭიროებებზე დაფუძნებული ორიენტირებით. ენათმეცნიერი ფლუკი ტერმინ „საჭიროებას“ აღწერს, როგორც მოლოდინს, რომლის მიხედვითაც ინდივიდს სჭირდება განსაზღვრული ენის შესწავლა, რომელიც კონკრეტული სფეროს შესახებ

მოთხოვნებს უცხოურ ენაზე შეესაბამება, „ინდივიდუალური საგნების ფარგლებში სპეციფიკური ენობრივი პირობებით.“ (Fluck,H.R.2011)

მეთოდური ცნებები, რომელზეც დაფუძნებულია სასწავლო მასალა, გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე, სწავლებისა და სწავლის ინდივიდუალურ პირობებზე. ეს ნიშნავს, რომ აქტივობების დაგეგმვა დამოკიდებულია სასწავლო მიზნებსა და შინაარსზე. უცხოური ენის სწავლების პროცესში პედაგოგმა უნდა განისაზღვროს: რამდენად შეუძლია მის ჯგუფს მასალის გამოყენების საფუძველზე მიღებული ცოდნით მიზნების მიღწევა. სტუდენტების უკუკავშირი და კომენტარები მომავალი ლექციების დაგეგმვისას დაეხმარება პედაგოგებს, რათა გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა, კითხვების დასმის ტექნიკით, შეირჩევა ახალი თემები და საკითხები. დარგობრივი ენის ფენომენი ბუნებრივი ენის სისტემის ფენომენია და ამიტომ იგი უცხოური ენის ყველა პედაგოგისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი. მთავარი ამოცანა ასევე გახლავთ პედაგოგისა და მოსწავლის ურთიერთობისას სიცხადე, სტუდენტებმა თავიდანვე უნდა იცოდნენ, რომ ძირეულად განსხვავებული სწავლება არ მიმდინარეობს. „ენის სწავლის მიზნები, შინაარსი და სავარჯიშო ფორმები უფრო ადრესატზე და პრაქტიკაზეა ორიენტირებული.“ (Fluck,H.R. 2011) ფლუკის მიხედვით უცხოური ენის სწავლების ორი დონეა გასათვალისწინებელი: პირველ დონეზე ენის სწავლება დარგობრივი ენის საკომუნიკაციო უნივერსალური საშუალებებით ხორციელდება, ხოლო მეორე დონეზე ტექნიკური ენის სწავლების მეთოდოლოგია ცალკეული საგნების საკომუნიკაციო საშუალებების დანერგვით ხორციელდება. (Fluck,H.R. 2011)

უცხოურ ენაზე გაგების/სწავლის პრობლემას წარმოადგენს მასალის ტექნიკური შინაარსი, რომელიც საგნის წარმოდგენის დროს გვხვდება: ცხრილები, ჩანახატები, ფორმულები, გრაფიკული დიაგრამები, რუკები, სურათები და ა.შ. ცნობილია რომ, ენის სტრუქტურა და დარგთან დაკავშირებული ენა შესაბამისი საგნობრივი კულტურისა და თავისებურების პროდუქტია, ამიტომ სტუდენტები უნდა გაეცნონ სალექციო კურსის შინაარსისა და სტრუქტურის ფორმას. სტუდენტები ძნელად ან ვერ იგებენ ტექსტებს, რადგან შინაარსის შეკუმშვის მაღალი ხარისხის გამო თავს იჩენს გარკვეული სირთულეები. ხშირად ჩნდება კითხვები, განსაკუთრებით,

საბუნებისმეტყველო და ეკონომიკურ სფეროებთან მიმართებაში. სამუშაო მასალა ფოკუსირებულია პროფესიული ტექსტებისა და კომუნიკაციის სიმპტომებზე და მის ფუნქციურ ასპექტებზე. დარგობრივი ენის მნიშვნელობიდან გამომდინარე გერმანიაში თუბინგენის უნივერსიტეტში (2011 წ.) ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოავლინდა უცხოენოვანი სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორი სასაუბრო ენასთან დაკავშირებით. (Projektgruppe, Sch. Dr, Sprachbedingungen 2011). ამავე კვლევაში აღწერილია დარგობრივი ტერმინები, რომელთა რაოდენობა აღემატება „ნორმალური“ ენის (ზოგადი ენის) ფარგლებს. სხვადასხვა დარგში მუდამ იქმნება ახალი სიტყვები, რომ არაფერი ვთქვათ მართლწერაზე, აბრევიატურასა და ომონიმებზე. „ჩვეულებრივ /ზოგად ენაში თუ 300 000 და 500 000 სიტყვა გვხვდება, დარგისა და ტექნიკური ენისთვის ეს დაახლოებით მილიონ სიტყვად იქცევა“. (Römer /Matzke 2011)

ზოგადი ენა საკუთარი კომპეტენციის სფეროში შეუცვლელია, ხოლო დარგობრივი ენის რეალიზება ხდება გარკვეულ სფეროებში კონკრეტული სიტუაციების კონტექსტში. ზოგადი ენის ელემენტები დაკავშირებულია კონკრეტული სფეროს სპეციფიკასთან. საბოლოოდ ზოგადი ენისა და დარგობრივი ენების გამიჯვნა შეუძლებელია. მოგვიანებით გაჩნდა აზრი რომ უნდა არსებობდეს ენის აღწერილობითი ვარიანტის სამუშაო მასალა , სადაც ენის განვითარების ეტაპები და ცვლილებები ენის თანდაყოლილ მახასიათებლებად გვევლინება.(Knapp,K. 2011).

თავი II. დარგობრივი უცხოური ენის სწავლების პრაქტიკის კვლევა

2.1. დარგობრივი უცხოური ენის სწავლების პრაქტიკა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში (საბაკალავრო საფეხურზე)

2003/2004 წლებში ყოვლისმომცველი რეფორმების შემდეგ საქართველოში დასავლეთთან თანამშრომლობის (ევროპის ქვეყნები, აშშ) მრავალი პროექტი განხორციელდა. გაიზარდა კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მოთხოვნა სხვადასხვა ენისა და კულტურის ქვეყნებს შორის. ბოლონის პროცესის შედეგად (2006 წლიდან) უცხოური ენების პროგრამების შემუშავების საკითხი განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა. ევროპული ფენომენი უფრო ძლიერი და პროფესიული კომპეტენციების ორიენტაციით გამოირჩევა, განსაკუთრებით, საბაკალავრო საფეხურზე. საქართველოში საგანმანათლებლო მიზნების განსაზღვრის დროს დიდი ყურადღება დაეთმო საბაკალავრო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესებას. ახალი შესაძლებლობების აღმოჩენამ გავლენა იქონია უცხოური ენის სწავლების სფეროში საგანმანათლებლო მიზნების ცვლილებებზე. ზემოდნიშნულიდან გამომდინარე ეტაპობრივად შეიცვალა უცხოური ენის სწავლების მეთოდიკა. პარადიგმის ცვლილება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006 წლიდან დაიწყო. რეფორმა ევროპის საუნივერსიტეტო სისტემასთან მჭიდრო კავშირების დასამყარებლად იყო გამიზნული, სფეროებისა და დარგების ინტეგრირებისთვის.

გერმანულ-ქართული კვლევები არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობას და ლინგვისტიკის თეორიულ მასალებს უკავშირდება, არსებობს დარგობრივი გერმანული და ქართული ტექსტების ლინგვისტური თავისებურებების შეპირისპირებითი კვლევები – ეკონომიკური, იურიდიული, დიპლომატიური და სამედიცინო დარგობრივი ენებისა და ტექსტების სპეციფიკის გათვალისწინებით. ახალი სასწავლო გეგმის მიხედვით (2006 წ.), სტუდენტს საშუალება აქვს გაიფართოვოს და გაიღრმავოს საკუთარი ინტერესები საბაკალავრო საფეხურზე, დარგის მიმართულებებით, თანამშრომლობის, კავშირების დამყარების და სასწავლო

ასპექტების თვალსაზრისით. უსდ-ებში პროგრამაში შემოთავაზებული უცხოური ენის დისციპლინები არ შემოიფარგლება მხოლოდ თეორიული მასალით, სემინარების საშუალებით ხდება სხვადასხვა აქტივობების ტექსტებზე მუშაობის, ჯგუფური დავალებების აქტიური შესრულება. საფაკულტეტო კურსების ძველ კატალოგებში უცხოური ენის კურსები განზოგადებული სახლეწოდებით იყო წარმოდგენილი, რომელთა შინაარსი ეხებოდა წაკითხული ტექსტის თხრობას, ბიოგრაფიებს, გრამატიკის ელემენტებსა და ფონეტიკის საფუძვლებს. ახალი მეთოდების დანერგვა რთული განსახორციელებელი იყო, რადგან ადგილი ჰქონდა პრაქტიკის ნაკლებობას და არსებობდა კონსტრუქციული დარღვევები, რაც სტუდენტებისა და პედაგოგებისთვის რთულ სამუშაო გარემოს ქმნიდა.

გერმანული ფილოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომლებმა უდიდესი შრომა გაწიეს სალექციო კურსების ცვლილებისთვის, სადაც მრავალი გადასინჯვის შედეგად კურიკულუმში ისეთი საკითხები შეიტანეს, რაც 90-იან წლებში წარმოუდგენელი იქნებოდა; მაგალითად ყურადღება გამახვილებულია ინტერაქციაზე, კომუნიკაციასა და მსჯელობაზე და სრულიად შეიცვალა სახელმძღვანელოებში მოყვანილი ლიტერატურის განხილვის შინაარსი. სალექციო მოდულების ფარგლებში უცხოური ენის კურსი მიზნად ისახავს - სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ლიტერატურული ტექსტების გაცნობას, ტექსტის ანალიზს, დარგობრივი და ლიტერატურული ფიქციონალური ტექსტის გაგებას.

განსხვავებულმა ფორმატმა და კურიკულუმის ცვლილებამ სტუდენტებს საგნების არჩევისას მეტი შესაძლებლობა მისცა, გაფართოვდა მათი ინტერესები და ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტების ვიწრო სპეციფიკური ინტერესების გათვალისწინებაც მოხდა. საბაკალავრო საფეხურზე შესრულებული საკურსო ნაშრომები სტუდენტებს საშუალებას აძლევს მეტი წვდომა ჰქონდეთ სფეროში დარგობრივად საინტერესო საკითხებზე. უსდ-ების კურიკულუმებში უცხოური ენის დისციპლინა წარმოდგენილია სასწავლო გეგმებსა და პროგრამებში. დეტალურად არის აღწერილი სწავლების მიზნებისთვის განსაზღვრული მეთოდები, ინსტრუქციები, სწავლებისა და სწავლის პროგნოზები. არსებულ მეთოდოლოგიურ მონახაზებს, გარკვეული

როლი უკავია სწავლისა და სწავლების დონისა და ხარისხის შენარჩუნებისთვის, რაც სასწავლო პროცესის საბოლოო შედეგების შემოწმების საშუალებას იძლევა. აღსანიშნავია, რომ ყველა საგანმანათლებლო დაწესებულება ცდილობს გააუმჯობესოს სწავლებისა და სწავლის საკუთარი პრაქტიკა, ასევე მიმდინარე პროცესის ორგანიზაციული სტრუქტურა, რისთვისაც სხვადასხვა გზებს იყენებს. პირველ რიგში შეგვიძლია გავიხსენოთ საკუთარი გამოცდილება, თუ როგორ ვსწავლობდით და გვასწავლიდნენ და გადავდგათ შემდგომი ნაბიჯები სისტემის გაუმჯობესებისთვის. და მეორე, შეგვიძლია გავეცნოთ სხვის პრაქტიკასა და გამოცდილებას რის საფუძველზეც მივიღოთ სათანადო გადაწყვეტილებები, მაგრამ როდესაც ვეყრდნობით სხვა ქვეყნების გამოცდილების დანერგვას ალბათობა დიდია, რომ მიღებული გადაწყვეტილებები არსებულ რეალობას არ მოერგოს (მიუხედავად იმისა, რომ მოცემული რეალობის გაუმჯობესების საჭიროებას ნათლად ვხედავთ). პრაქტიკის კვლევა გვეხმარება შევისწავლოთ არსებული მდგომარეობა და პროცესი, მოვახდინოთ მონაცემთა სისტემატიზაცია და ანალიზი, შედეგ კი, მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები.

დღესდღეობით გერმანული სამეცნიერო ენა, სულ უფრო ვითარდება პროფესიული დაწესებულებების მიერ, ამ მიმართულებით განსკუთრებულ როლს ასრულებს გოეთეს ინსტიტუტი. ტენდენციის მიხედვით გერმანული ენა უფრო და უფრო საინტერესო ხდება ინჟინერიის, ეკონომიკის, იურისპრუდენციის, მედიცინის სფეროს წარმომადგენლებისთვის. „კვლევები გვიჩვენებს, რომ ბევრ ქვეყანაში უნივერსიტეტების ენების ცენტრების კონცეფციის მიხედვითაც „უცხოური ენა“ ერწყმის დარგებსა და სფეროებს“. (Funk, H.2005)

უცხოური ენის სწავლების სოციალური ფენომენი დაკავშირებულია უსდ-ებთან და კონკრეტულ ინსტიტუტებთან, დღესდღეობით უცხოური ენის სწავლება ორიენტირებულია ინგლისური ენის, როგორც პირველი უცხოური ენის სწავლებაზე. ინგლისური ენა მსოფლიო მაშტაბით ისწავლება და საერთაშორისო კონტაქტების დამყარების საშუალებაა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურის სწავლებისა და სწავლის ტრადიცია საქართველოში მოგვიანებით გაჩნდა (1830 წ.) ვიდრე გერმანული ენისა (1801 წ.). (ალხაზიშვილი, ა.(ვ.), 2009).

გერმანული ენის სამეცნიერო როლი პრობლემატურია, იკვეთება ინგლისური ენის მიმართ დიდი ინტერესი და სამეცნიერო საზოგადოების მხრიდან სხვა ენების იგნორირების ტენდენცია. აკადემიური კომუნიკაციის არსებული პრობლემები შესაძლოა, აგრეთვე დარგობრივი ენის სპეციფიკით იყოს განპირობებული. სოციალური ქსელები და მედია საშუალებები ძირითადად ინგლისურ ენას უკავშირდება და აუცილებელია მრავალენოვანი მიდგომების დანერგვა, რამაც შეიძლება გაამარტივოს სხვადასხვა ენის გამოყენების პერსპექტივა და შესაძლებლობა. ზემოაღნიშნულმა საკითხმა ბოლო ათწლეულების განმავლობაში დიდი ინტერესი გამოიწვია, ხშირად შესრულებული ფართო აკადემიური და არაკადემიური საჯარო მასალები, სათამაშო თუ ტრადიციული საკითხები განზოგადებულად დომინანტურ ენად ინგლისურ ენას გვთავაზობს. განვითარებული მოვლენები და ტენდენციები ენის დაუფლებასთან დაკავშირებით სოციოლინგვისტიკაში სინქრონულ და დიაქრონულ სფეროში კვლევის საკითხად განიხილება. ნაწილობრივ ინგლისური ენის დიფუზური გამოყენება საერთაშორისო არენაზე აღარ განიხილება, როგორც ერთადერთი გამოხატულება სამეცნიერო კულტურაში, მაგრამ მთლიანობაში ენის ნეიტრალური განვითარება, რომელიც შემდეგ სხვადასხვა საჭიროებების მიხედვით განიხილება კვლავაც აქტუალურია.

გავეცანით უცხოური ენების სწავლების თანამედროვე მეთოდური კონცეფციების დანერგვისა და განხორციელების პრაქტიკას საბაკალავრო საფეხურის პირველ და მეორე სემესტრში. სასწავლო მოთხოვნებს, რომელშიც ობიექტური და სუბიექტური ხასიათის სხვადასხვა ფაქტორი გამოიკვეთა, როგორც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე კავკასიის უნივერსიტეტსა და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. (იხ. კვლევითი ნაწილი III თავი)

კავკასიის უნივერსიტეტის (კერძო სასწავლებლის) მიზანმიმართული პოლიტიკა სამეწარმეო საქმიანობისთვის აუცილებელი საკომუნიკაციო უნარების განვითარებაა, რაც აუცილებელია მარკეტინგული და სარეკლამო ასპექტების განვითარებისთვის. უცხოური ენა, როგორც ეკონომიკური ფაქტორი ყურადღების ცენტრშია და სწორედ

ამიტომ სასწავლო პროცესი მიზანზე ორიენტირებულია. უცხოური ენის სილაბუსში აქტივობების ნაწილი საქმიანი წერილების, ანგარიშების, ოქმების, სამუშაო ინსტრუქციების განხილვით არის წარმოდგენილი. სტრუქტურირებულ პროგრამაში უცხოური ენის სწავლების პროცესი ორიენტირებულია დარგისთვის საჭირო ელემენტებზე, ჯგუფურად მუშაობით, როდესაც ზეპირი კომუნიკაცია პერიოდულად ნაცვლდება წერილობითი კომუნიკაციით: ელექტრონული ფოსტა, ვებ-გვერდები, საკომუნიკაციო არხები. ეს გარემოება ავტომატურად გულისხმობს იმ ფაქტს, რომ უსდ-ში საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები ფლობენ ზოგადი უცხოური ენის გარკვეულ უნარებს და გააჩნიათ ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურზე სწავლის პერიოდში შეძენილი საბაზისო ცოდნა.

სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის უცხოური ენების განყოფილების პრიორიტეტია კურსის სტრუქტურის შემუშავებისას სასწავლო პროცესისთვის აუცილებელი ატრიბუტები, შინაარსი და კურსის საკვალიფიკაციო მიზნის გათვალისწინება. გერმანული ენის სასწავლო პროცესის მიმოხილვის შემდეგ, შეგვიძლია სამედიცინო უნივერსიტეტის კურიკულუმი შევადაროთ სპეციალიზებულ მოდულს, რომელიც შემუშავებულია ჰანოვერის უნივერსიტეტის ენების ცენტრის მიხედვით და ორიენტირებულია დაინტერესებულ მხარეებზე, რომელიც უკავშირდება ამა თუ იმ დარგის მიმდინარე კვლევებს. ლექცია/სემინარიების, არსებული პრაქტიკა ინტერდისციპლინარული სამეცნიერო მუშაობის და თეორიული სასწავლო პრაქტიკის დანერგვის მეტ შესაძლებლობას იძლევა, რაც თავისთავად მოიცავს პრაგმატულ ტექსტურ-ლინგვისტურ და სემიოტიკურ სპექტრს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის უცხოური ენის კურიკულუმი სტუდენტებს ენის დაუფლების ახალ გზას, დარგში ახალი კვლევებისა და აკადემიური პერსპექტივების გაფართოვებას სთავაზობს. ცვლილებების შედეგად სწავლების პრაქტიკულმა ასპექტებმა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს შესაძლებლობა მისცა „იურიდიული გემანული ენა“ ისწავლონ, თუმცა მხოლოდ მეოთხე სემესტრში, როგორც არჩევითი დისციპლინა. სწავლისა და სწავლების ფორმების შეცვლამ

განაპირობა, არა მხოლოდ უცხოურ ენაში, არამედ დარგის თეორიულ და პრაქტიკულ საგნებშიც ცვლილებების შეტანის აუცილებლობა. თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ დასავლეთ ევროპის საგანმანათლებლო სისტემის ღირებულებების ნაწილი გახადნენ.

უსდ-ების წარმოდგენილი უცხოური (გერმანული) ენის სილაბუსების გაცნობისას ცხადი გახდა, რომ უცხოური ენის სალექციო კურსი მოიცავს დარგობრივ შინაარსობრივად მდიდარ ტექსტებს და აუდიო-ვიზუალურ მასალებს. სამუშაო პროცესი საინტერესო და მრავალფეროვანია, პედაგოგსა და სტუდენტს შორის არსებული კავშირი ხელს უწყობს ჯგუფის ჩართულობას, რაც სტუდენტს ენის დაუფლებაში ეხმარება.

საბაკალავრო საფეხურის უცხოური ენის სილაბუსით მოსალოდნელი შედეგია – „კითხვისა და მოსმენის, ზეპირი და წერიტი მეტყველებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავება და უცხოური ენის კულტურის თავისებურებების აღქმის უნარის განვითარება.“ „უცხო ენაზე ელემენტარული ინფორმაციის გაგება და ინტერპრეტაცია, ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, ასევე დამოუკიდებლად და ჯგუფურად მუშაობისა და საკუთარი ცოდნის მუდმივად და თანმიმდევრულად შემოწმების უნარი, რაც სტუდენტს შემდეგი, ბ1 დონისთვის მოამზადებს.“ (უცხოური ენის (გერმანული) სილაბუსი 2018.წ)

უსდ-ებში უცხოური ენის (გერმანული ენა) საბაკალავრო საფეხურზე სწავლების გამოცდილების აღწერა, კურსი „გერმანული ენა“:

I თემა - მისალმება, ანბანი, კითხვის წესი, არსებითი სახელი – სქესი და რიცხვი, არტიკლი, პირის ნაცვალსახელები, წინდებულები და კითხვითი სიტყვები;

II თემა - საკუთარი თავის წარდგენა, ზმნები ყოფნა, ქონა/ყოლა, რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ზედსართავი სახელი;

III თემა - ოჯახი, ადამიანის სხეული, გარეგნობა და ხასიათი, წესიერი და არაწესიერი ზმნების უღლება;

IV თემა - არაწესიერი და უკუქცევითი ზმნები, მომავალი დრო, ნაცვალსახელი;

V თემა - სახლის ნივთები, კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ზედსართავის სახელის შედარებითი ხარისხები;

VI თემა - საკვები, წარსული დრო – წესიერი ზმნების უღლება, ირიბი დამატება;

VII თემა - ქალაქი, წარსული დასრულებული დრო – არაწესიერი ზმნების უღლება, ბრძანებითი კილო, უკუქცევითი ზმნები, პირდაპირი დამატება;

VIII თემა - სამოსი, წარსული დაუსრულებელი დრო, პირდაპირი და ირიბი დამატება;

IX თემა - ჯანმრთელობა, ამინდი, ემოციები, უარყოფითი ფორმა;

X თემა - თავისუფალი დრო და მოგზაურობა, თხრობითი წინადადებები.

უსდ-ებში უცხოური ენის (გერმანული ენა) საბაკალავრო საფეხურზე სწავლების გამოცდილების აღწერა, კურსი „გემანული ენა“:

I თემა - ანბანი, კითხვის წესი, არსებითი სახელი - სქესი და რიცხვი, არტიკლი, პირის ნაცვალსახელი, წინდებულები და კითხვითი სიტყვები;

II თემა - რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ზმნა ქონა-ყოლა, კითხვის წესი, არსებითი სახელი, არტიკლი, პირის ნაცვალსახელები, წინდებულები და კითხვითი სიტყვები, ყოველდღიური კომუნიკაციისთვის საჭირო ფრაზები ;

III თემა - მასალა – წესიერი ზმნების უღლება, არაწესიერი ზმნები, ზედსართავი სახელი, საათი, ლექსიკური მასალა – სასწავლო გარემო, ოჯახი, ადამიანის სხეული, გარეგნობა და ხასიათი;

IV თემა - წესიერი ზმნების უღლება, დღის რუტინა, მომავალი დრო, ჩვენებითი ნაცვალსახელი, არაწესიერი ზმნების უღლება;

V თემა - ზედსართავი სახელი, უკუქცევითი ზმნები;

VI თემა - კუთვნილებითი ნაცვალსახელი, ლექსიკური მასალა (სახლი, გარემო);

VII თემა - წარსული დრო (წესიერი ზმნების უღლება), ირიბი დამატება, მოდალური ზმნები, ჰობი, საკვები;

VIII თემა - ბრძანებითი კილო, უარყოფითი ფორმა, ჯანმრთელობა, ამინდი, ემოციები;

IX თემა - მომავალი დრო, თავისუფალი დრო და მოგზაურობა .

კურსის ბოლოს, სტუდენტი ფლობს გერმანული ენის, როგორც უცხოური ენის, ენობრივ კომპეტენციას და A 2 დონისათვის აუცილებელ შემდეგ უნარებს:

მოსმენა – სტუდენტს შეუძლია გაიგოს ნაცნობი და ხშირად გამოყენებადი ლექსიკა ყოველდღიურ თემებზე ;

კითხვა – სტუდენტს შეუძლია საწყისი დონის ტექსტების კითხვა გაცნობის, შესწავლისა და ძიების მიზნით, შეუძლია იპოვოს პროგნოზირებადი ინფორმაცია ისეთ ავთენტურ მასალაში, როგორცაა განცხადება, რეკლამა, მენიუ, განრიგი და ა.შ.; საუბარი/ზეპირმეტყველება – სტუდენტი თავს ართმევს ყოფით საკომუნიკაციო სიტუაციებს, ახერხებს ინფორმაციის მარტივ და პირდაპირ ურთიერთგაცვლას და საკუთარი აზრის გამოთქმას.

წერა – სტუდენტს შეუძლია შესაბამისი სირთულის ბარათის ან შეტყობინების დაწერა, კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე (მადლობის წერილი, ინფორმაციის მოთხოვნა, განცხადება, გარემოს, ადამიანების ან ქმედებების აღწერა, მარტივი ამბის მოყოლა, ფილმისა თუ ნაწარმოების მოკლე შინაარსის გადმოცემა და ა.შ.).

- პირველი ეტაპია სტუდენტთა შემზადება: ენა, რომელიც გვესმის და ვკითხულობთ, გულისხმობს ფონეტიკური, გრამატიკული და ლექსიკური მაგალითების მოშველიებას, რაც ხელს უწყობს მათი კავშირების გააზრებას.
- მეორე ეტაპი – შეტრიალებული სასწავლო პროცესის გამოყენება გრამატიკული ფორმებისა და სტრუქტურების ინდუქციური მეთოდით აღმოჩენისთვის, ჰიპოთეზები გამოყვანილი ერთი შემთხვევის განზოგადებიდან;
- მესამე ეტაპია წესების გაცნობა და გრამატიკული ფორმებისა და სტრუქტურების ექსპლიციტური სწავლება;
- კურსზე განთავსებულ გრამატიკულ მასალას საჭიროა ახლდეს მაგალითები, თვალსაჩინოება, სავარჯიშოები, რომელთა დამუშავება უმეტესად პედაგოგის გარეშე, დამოუკიდებლად (ხშირად ჯგუფურად) ხდება.
- მეოთხე ეტაპია წესების განმტკიცება – გრამატიკული ფორმებისა და სტრუქტურების გავარჯიშება ნებისმიერ საკომუნიკაციო კონტექსტში.

2.2. დარგობრივი უცხოური ენის სწავლების პრაქტიკის კვლევები გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის უმაღლეს სასწავლებლებში (საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის)

2017 წელს გერმანულენოვანი ენათმეცნიერული კვლევები გვიჩვენებს, რომ სამეცნიერო ტექსტის ტიპებზე დიდ გავლენას ახდენს სოციალურ-კულტურული

დისკურსის ფაქტორები. თომას ლინდაუერის კვლევითი ნაშრომის საფუძველზე გავაანალიზეთ დარგობრივი ენების სახელმძღვანელოს სამუშაო ტექსტები, ტექსტურ-ლინგვისტური მეთოდები. დარგობრივი ტექსტის ტიპებისა და კრიტერიუმების მაგალითები. გერმანულ ენაზე სამედიცინო, იურიდიულ, ქიმიის, ბიოლოგიის სახელმძღვანელოებში სადაც დარგობრივი ენა ტექსტების სახით არის წარმოდგენილი, საკომუნიკაციო სიტუაციის სტრუქტურირებულად წარმოდგენის საფუძველს ქმნის. (Daf)¹ დარგობრივი ტექსტების შინაარსი და ფორმალური სტრუქტურა, სამედიცინო, საბუნებისმეტყველო ტექსტებში პროექტებისა და პროცესის წარმოჩენას ემსახურება. თვალსაჩინოდ ჩანს სახელმძღვანელოში აქცენტირებული ტექნიკური ტერმინები და სტრუქტურა. გერმანული ენისა და დარგობრივი ელემენტების შერწყმა შინაარსის მნიშვნელოვანი კომპონენტები, სასწავლო მასალის დიდი ნაწილი განმარტებებს ეთმობა, ხოლო კითხვები დართულია ტექსტების ბოლოს. ტექსტების კითხვის დროს შესავალი ნაწილის ფუნქციაა კონკრეტული საგნის გაცნობა და მთავარი საკითხის წარმოჩენა გერმანულ ენაზე. შესავალი ნაწილი ფუნქციონირებს, როგორც ინფორმაციული ნაწილი და მჭიდროდაა დაკავშირებული დასკვნით ნაწილთან შინაარსის კომპონენტებთან და ტექსტის დასრულების ნაწილთან. სავარჯიშოების ფორმებიდან გამომდინარე აღსანიშნავია ტექსტების სტრუქტურა დარგობრივი და ზოგადი ენის დისკურსით, რომელიც დისკუსიასა და აქტიურ სამუშაოს ახალისებს. (Derdiedaf, Kletten Dass, DaF, Pons, Hueber) სახელმძღვანელოების სტრუქტურის მიხედვით სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ჯგუფურად შექმნან პრეზენტაციები, კოლაჟები, იმიტაციები და სახალისო სამუშაო გარემო შესაბამისი დარგისათვის. ამ პროცესში ისინი სწავლობენ თემის შესახებ ძირითადი ინფორმაციის მოგროვებას და სტრუქტურირებას.

შვეიცარიის ქალაქ ციურიხის ტექნიკურ უნივერსიტეტში შეიქმნა სამეცნიერო ჯგუფი სხვადასხვა დისციპლინების წარმომადგენლებით, თითოეული სფეროსათვის დაგეგმილი იყო სამეცნიერო კვლევები: სოციოლოგიის, ბიზნესის, პოლიტოლოგიის, სამართლის, ეკონომიკის, განათლების, ფსიქოლოგიის, ინფორმატიკისა და ფზიკის

¹ DaF Deutsch als Fremdsprache - გერმანული უცხოური ენა

დარგებში. „ინტერდისციპლინარული სასწავლო მასალა გერმანული ენის კონტექსტში.“ (ETZ, 2006)

კვლევის პირველ ეტაპზე, უცხოენოვან სტუდენტებთან კითხვარების მეშვეობით ჩატარებული სამუშაოს შედეგად დადგინდა გერმანული ენის, როგორც მეორე უცხოური ენის მიმართ სტუდენტთა დამოკიდებულება. კვლევის მეორე ეტაპი მიემდვნა გარე ფაქტორების შესწავლას, აქედან გამომდინარე დარგობრივი უცხოური ენის სწავლების სათანადო ფაზა და მიზანშეწონილობა დადგინდა. საუნივერსიტეტო მაშტაბით ჩატარდა ენის სწავლების პრაქტიკის კვლევა. შედეგების გათვალისწინებით ენის სწავლების ანალიზისას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა კულტურულ დიდაქტიკურ / მეთოდურ, ლინგვისტურ მახასიათებლებს და მათ შორის არსებულ განსხვავებებს. “უცხოური ენის საშუალებით შესაძლებელია შესაბამისი ელემენტების გამოყენება და სხვადასხვა დარგის შესწავლა.“ (გერმანული უცხო ენის კვლევა, ენის სწავლება, შვეიცარია). ჩატარებულმა კვლევამ და ანალიზმა ხელი შეუწყო გერმანული ენის, როგორც უცხოური ენის სწავლების საკითხის შემდგომ დახვეწას უმაღლეს სასწავლებელში ინტერდისციპლინარული დიდაქტიკის, კვლევის სხვადასხვა მეთოდის განოყენებით. უნივერსიტეტმა სისტემურად შეიმუშავა ინტეგრირებული მეთოდის დანერგვა სწავლების ახალი ფორმით, რეკომენდაციისა და ალტერნატიული კურსის სახით.“ (ETZ 2006).

უცხოური ენის დაუფლებასთან დაკავშირებით ენობრივი კომუნიკაციის დიფერენციაციამ (ზოგადი ენა, პროფესიული ენა, ტექნიკური ენა) სამუშაო გარემოში ახალი მოთხოვნები და მოლოდინები გააჩინა. დარგობრივი ენის დახმარებით საჭირო გახდა საგნების, ფაქტებისა და პროცესების მკაფიო აღწერა და დასახელება. (DaF) პროფესიულ გარემოში უცხოურ ენაზე კომუნიკაციისას ხშირად ადგილი აქვს არაეფექტურ კომუნიკაციას. „დარგობრივ ტერმინებს განსხვავებული მნიშვნელობები აქვთ, რომელიც ხშირ შემთხვევაში მხოლოდ დარგის სპეციალიტებისთვისაა გასაგები.“ (Roelcke , Th.,2013)

დარგობრივ უცხოურ ენაზე უკუკავშირისთვის აუცილებელ ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ ფაქტორთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ ჰანოვერის (გერმანია) ენების ცენტრის მიერ შემოთავაზებულ ტერმინოლოგიურ მოდელს. (FSZ) მოდელი მოიცავს ლექსიკოგრაფიას, ტერმინოლოგიურ მონაცემთა ბაზებს, რომელიც

დარგობრივი ენის ათვისების მიზნითაა შემუშავებული. უცხოური ენის სწავლებისა და სწავლის პროცესში სპეციალიზებული ცოდნის მიღებაში საქმიანი კომუნიკაციის ელემენტები მნიშვნელოვან როლს თამაშობს. მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება მეტ სტუდენტს ჰქონდეს სპეციალიზებულ ტექსტებთან წვდომა და უზრუნველყოფილი იყოს მეტი ჩართულობა, რაც ზოგადი ენისა და დარგობრივი ენის მუდმივად ცვალებად პროცესს განაპირობებს. 2000 წელს ჰანოვერის ენების ცენტრი მიერ შემუშავდა გერმანულენოვანი ეკონომიკური და იურიდიული ენის მოდელი, ასევე გაუმჯობესდა და გაიზარდა დარგის სპეციალისტის მონაწილეობის ფაქტორი. („ტექნიკური ენა პრაქტიკაში და კვლევებში“; FSZ,Hannover)

ენების ცენტრის გამოცდილებამ გამოავლინა, რომ უცხოენოვანი სტუდენტებისთვის, არა მხოლოდ ენა, როგორც კომუნიკაციის საშუალებაა, არსებითი არამედ მნიშვნელოვანია საკომუნიკაციო სიტუაცია, შესაბამისი დარგობრივი შინაარსით. კვლევის თანახმად დარგობრივი კომუნიკაცია მოიცავს გადამცემსა და მიმღებს შორის კომუნიკაციას. როდესაც საქმე ხელშეკრულებას ეხება, სადაზღვეო საკითხებს ან ფსიქონალიზს, ცალკეული პუნქტების შინაარსი გაუგებარია, საგნობრივი ბარიერი მატულობს, არა მხოლოდ ტექნიკური ტერმინები ართულებს გაგებას, არამედ თავისი გამონათქვამებით და ლექსიკური ერთეულებით ზოგადი გემრანული ენაც იწვევს სირთულეებს. (Sandrini. P. ,2008).

ლოთერ ჰოფმანი ხაზს უსვავს დარგობრივი ენის კონტექსტში კომუნიკაციის ფუნქციებს: ძლიერი სტრუქტურული ქვედანაყოფების, თანმიმდევრულობასა და ერთიანობას, პარტნიორებს შორის კონკრეტული თემის შესახებ ურთიერთობის არსებობას. მისი ნაშრომები აღწერს დარგობრივი ენის სწავლების ძირითად მიზნებს, პრინციპებსა და კრიტერიუმებს, უცხოური ენის სწავლების სახეობებს და სხვადასხვა ენათმეცნიერულ კონცეფციებს. (Hoffmann, L., 1986)

დარგობრივი ენის სწავლების მსჯელობისას ლუთერ ჰოფმანი მიმოიხილავს ენის განსაზღვრულ და შესაბამის თემატიკას. ენის სწავლებისას დარგობრივი ტერმინოლოგია, უპირველეს ყოვლისა მოიცავს, ტერმინებს და უცხო სიტყვებს, რომლებიც იშვიათად გვხვდება ზოგადი უცხოური ენის კურსის ფარგლებში. ტექსტზე და ტექსტის შინაარსზე მნიშვნელოვანია სემანტიკური და სინტაქსური

საშუალებების გამოყენება და ტექსტის მოთხოვნის შესაბამისობის აღქმა. ზემოაღნიშნულის შედეგად ტექსტის თანმიმდევრულობა და ლოგიკური სრუქტურირება ასახავს საქმიანობის კონკრეტულ ფაქტებს, რომელიც გამოიყენება სიტუაციურად ადეკვატური ენობრივი და ვიზუალური საშუალებებით როგორცაა: სიმბოლოები, ფორმულები, განტოლებები, გრაფიკული გამოსახულებები და ილუსტრაციები.

გერმანულენოვანი დარგობრივი ენის სწავლების ფორმა, რომლის საშუალებითაც უმაღლესი სასწავლებლის პირობებში ხორციელდება სწავლის მეთოდების ცალკეული პრინციპები (იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც შესაძლოა ჯგუფს არ გააჩნდეს საკმარისი გამოცდილება) არის კომუნიკაციის ოპტიმიზაციისა და ცოდნის გაფართოების ხერხი.

დარგობრივი შინაარსის ტექსტების გააზრების მიზანით პროფესიისა და ზოგადი ენის ცოდნის შერწყმა და მისი ამგვარი ფორმით წარმოდგენა ერთიანი საკომუნიკაციო პროცესის ნაწილია. დარგთან დაკავშირებული ტექსტები, სტატიები, სავარჯიშოები DaF-ის ფარგლებში არსებულ სახელმძღვანელოებში ხელმისაწვდომია. დარგზე ორიენტირებული უცხოური ენის სწავლა-სწავლება გერმანიაში, ავსტრიაში და შვეიცარიაში აღიარებულია, როგორც საგნის სისტემის ნაწილი.

გერმანული ენის სახელმძღვანელოები სტრუქტურირებულადაა შედგენილი და გათვალისწინებულია მომავალი იურისტების, ეკონომისტების, მათემატიკოსების, ქიმიკოსების, სამედიცინო, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით დაინტერესებული შემსწავლელებისთვის. სამეცნიერო ტექსტების შედგენა, გაგება და აღქმა წარმოადგენს ენის სწავლებისას მნიშვნელოვან ნაწილს. სახელმძღვანელოებში დარგობრივი თემატიკის საკითხები და სავარჯიშოები ზოგადი ენის ელემენტებთანაა შერწყმული და განკუთვნილია ამ სფეროების უცხოენოვანი შემსწავლელებისთვის. DaF, MINT -ის სახელმძღვანელოები დარგობრივი ენის დიდაქტიკის საკითხების მიმოხილვის საშუალებას იძლევა. წარმოდგენილი საკითხები მოიცავს დარგის ტერმინების პრაქტიკული ქმედებების ინტეგრირებით მუშაობის სათანადო მიმართულებით წარმართვას. ინტეგრირებულ სახელმძღვანელოებში წარმოდგენილია სპეციალობასთან დაკავშირებული

გერმანული ენის გაკვეთილები - „გერმანული როგორც უცხო ენა და მეორე სამუშაო ენა“. (Roelcke, Th. 2005).

დარგობრივი ენის სწავლების საჭიროების საკითხზე თორსთენ როლკემ ენის სწავლების სალექციო კურსის თავისებური მოდელი შემოგვთავაზა, რომელიც იმ აქტივობებს მოიცავს, რაც დარგის სპეციალისტისთვისაა საჭირო და ეხება ენაში არსებულ პრობლემებს. მან ენის სწავლების ორი ძირითადი პრობლემა გამოყო: რამდენად არსებითია დარგობრივი ენის პრობლემა და რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა. (Roelcke, Th. 2005) გამოყოფილია კრიტერიუმები და ამოცანები: სტუდენტების ინტერესები, სპეციალობები და მოლოდინები. ამოცანების დადგენის შემდეგ დარგობრივი ენის სწავლებას რეალიზაციის ეტაპი მოსდევს, დარგობრივი ენის სწავლის სალექციო კურსის ფარგლებში სტუდენტები უნდა გაეცნონ მათთვის მნიშვნელოვან საკვანძო საკითხებს, სალექციო გეგმის განხორციელებისას შესაძლებელია პატარა ჯგუფებში ინტერაქტიური პროექტების განხორციელება, რაც დარგობრივი თემატიკით უნდა განხორციელდეს. საჭიროა გაანალიზდეს შესრულდა თუ არა დასახული მიზანი; რამდენად ეფექტურია ჯგუფებში მუშაობა და რამდენად კმაყოფილი არიან როგორც სტუდენტები, ასევე პედაგოგები. ლოთერ ჰოფმანისგან განსხვავებით, რომელიც დარგობრივ ენას ზოგადი ენის სწავლების ნაწილად განიხილავს, როლკესთან დარგობრივი ენის სწავლების საკითხი უფრო კონკრეტულია და დარგობრივ ტექსტებსა და ტერმინოლოგიაზეა აგებული.

ფრიც კლემენს ვერნერი დარგობრივი ენის სწავლების ფაზებს, სიტუაციისა და სალექციო კურსის ამოცანების მიხედვით განმარტავს. „ტერმინების და სამუშაო მასალის მიწოდება სხვადასხვა ტექსტებით და აქტივობებით ხორციელდება. სწავლის პროცესი მოიცავს სხვადასხვა ფაზებს: მიზანს, დაგეგმვასა და შედეგებს.“ (Zeitschriften Datdenbnk 2004). (Fritz Clemen Werner Woerterelemente Fachausdruecke 1997)

1998 წელს ჰანოვერის უნივერსიტეტის ენების ცენტრის მიერ შემუშავებული იქნა კითხვარი უცხოენოვანი სტუდენტებისთვის და ცენტრის თანამშრომლებისთვის (დარგობრივი ენის სწავლების პრაქტიკული მხარის გასაცნობად). ყურადღება დაეთმო დარგობრივ უცხოურ ენასთან დაკავშირებულ სირთულეებს და ლექსიკას. (Koreik, U. 2000). კვლევის ავტორებს სტუდენტების კითხვარმა შედარებითი ანალიზის

საშუალება მისცა. შედეგების გაანალიზების შემდეგ, საჭირო გახდა ენების ცენტრის მხრიდან ცალკეული დარგების ენასთან შერწყმა და ცალკეულ საგნებად გამოყოფა, მაგალითად: გერმანული იურისტებისათვის, ქიმიკოსებისათვის, მედიცინის მუშაკებისთვის და ასე შემდეგ. შემუშავდა ლექციისა და სემინარის გეგმა: ფოკუსირება მოხდა კონკრეტულ სასწავლო მიზანზე, ხოლო სასწავლო მასალის არჩევა დარგის გათვალისწინებით განხორციელდა. უვე კორაიკის კვლევის აღწერით სამუშაო ჯგუფმა განიხილა უცხოელი სტუდენტების ენის ფლობის დონეების შესაბამისობა, შემდეგ ეტაპზე მოძებნა კავშირები ენასა და დარგს შორის, მესმე ეტაპზე მასალის მზარდი ტენდენციის გამო მოხდა პედაგოგების შერჩევა, რამაც განაპირობა დარგებთან თანამშრომლობის ახალი გზების მოძებნის საჭიროება. ყოველივე ზემოაღნიშნულის საშუალებით ენების ცენტრის ბაზაზე შეიქმნა საერთო კონცეპტუალური ქსელი. საბოლოოდ კი ამ კურსებმა მოამზადეს ახალგაზრდა სპეციალისტები, რომლებმაც შექმნეს მაღალი დონის აკადემიური საკვალიფიკაციო ნაშრომები და დაიკავეს წამყვანი პოზიციები შესაბამის სპეციალობებში. (Koreik,U.2000) .

2.3. გერმანული ენის სწავლების აღწერა სასწავლო მასალისა და სახელმძღვანელოების მაგალითზე (DaF-ის სახელმძღვანელოების მიხედვით)


უცხოური ენის სახელმძღვანელო ენობრივი უნარების განვითარებისთვის ენის სწავლების ხელშეწყობის მიზნით მთავარი დამხმარე საშუალებაა, გერმანულენოვან სახელმძღვანელოებში წარმოდგენილია მთელი რიგი აქტივობები, რომელიც ავითარებს მსჯელობისა და გამოხატვის უნარებს სოციალურ კონტექსტში. გერმანული უცხოური ენის სახელმძღვანელოების მაგალითზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ვითარდება პროფესიული ენის ამოცანების ფუნქციური ოსტატობა. ამ კონტექსტში, ზემოაღნიშნული ინსტრუმენტები ხელს უწყობს გერმანულენოვან გარემოს პროფესიული ენის პოპულარიზაციაში. კონცეფციის შინაარსი მოიცავს დარგობრივი მასალის ჩართვას უცხოური ენის სალექციო პროცესში.

პრაქტიკული მაგალითებით წარმოგიდგენთ, თუ როგორ იკვეთება დარგობრივი ენის სწავლების უპირატესობა უცხოური ენის სწავლებისას გერმანულენოვან სახელმძღვანელოებში. სასწავლო მოდელში, დარგობრივი ელემენტებიდან გამომდინარე, შერჩეულია შემეცნებითი თემატიკა სხვადასხვა სფეროებიდან. გათვალისწინებულია წინაპირობა ზოგადი ენის ცოდნა, რომელიც ეხმარება სტუდენტს ყველა იმ აუცილებელი ამოცანის გადალახვაში, რაც ენის შესწავლისას შეიძლება წარმოიშვას. სასწავლო მასალა შერჩეულია სტუდენტების განსხვავებული სასწავლო უნარების მიხედვით. თითოეულ სტუდენტს სწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები გააჩნია, ამიტომ ერთი და იმავე მასალის დამუშავებისას შესაძლებელია სტუდენტებს სხვადასხვა სირთულის დავალების არჩევის საშუალება ჰქონდეთ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტები, გარკვეულწილად უცხოურ ენას უკვე ფლობენ. სახელმძღვანელოებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია შემდგომი საკითხების განხილვას: უცხოური ენის განვითარება საკუთრივ ენის განვითარების პერსპექტივიდან; უცხოურ ენაზე დარგობრივი ლოგიკის თანმიმდევრულობა; მოტივაცია და სხვადასხვა პერსპექტივიდან პოტენციალის ამოცნობა (კომპლემენტარულობა).

სახელმძღვანელოების კონცეფცია მდგომარეობს დარგის და უცხოური ენის წარმომადგენლების თანამშრომლობის გზების დასახვაში პოტენციური შედეგების მისაღწევად. გათვალისწინებულია უცხოური ენის სწავლებისა და სწავლის პროცესში მოსმენის, დაკვირვების, ინტერპრეტაციის, ანალიზის ფონზე შესაძლო შინაგანი ეფექტები, მაგ. პერსპექტივის შეცვლა, ადაპტაცია და მოქნილობა, რომლებიც შესაბამისი კომუნიკაციის ახალი ცოდნის დარგობრივი თეორიული და პრაქტიკული საკითხების გამოყენების მეშვეობით გარე ეფექტებად გარდაიქმნება. წარმოდგენილია მაგალითები, რომელიც არა მხოლოდ ლექსიკით განსხვავდება ზოგადი ენის კურსის მასალისგან: ტექნიკური სიტყვის აგება და სიტყვაში საჭირო ასოს მოძებნა, ტექნიკური ტერმინების მარცვლებად დაყოფა, განმარტებების და ტერმინების კავშირი. სტუდენტების ჩართულობის გაზრდის მიზნით, მოცემულია ტერმინების განმარტებები, თემატური კროსვორდები, ტექსტებში თავსატეხი სიტყვები და უწყესრიგო წინადადებების ნაწილები, მოცემული პატარა ტექსტების და წინადადებების დასრულება, რაც თავისთავად ამდიდრებს უცხოური ენის საგნობრივ

ცოდნას. ტექსტში ცარიელი ადგილების შევსება ხელს უწყობს, როგორც ლექსიკის, ისე გრამატიკის შესწავლას, ხოლო მოცემული სიტყვებით დარგობრივი ტექსტების შექმნა და სპეციალიზირებული ლექსიკის გამოყენება ავითარებს დარგობრივი ენის დაუფლების უნარ-ჩვევებს. სახელმძღვანელოებში სხვადასხვა ტექნიკა და სავარჯიშო შეიძლება იქნას გამოყენებული აზრის ან გამოთქმის უკეთ გასაგებად. სხვადასხვა ვიდეო და აუდიო ჩანაწერების, ფილმების და ვიდეო-რგოლების ჩართვას, ხატვის წერის პრაქტიკას შეუძლია ილუსტრირებული სალექციო ფონის შექმნით გააუმჯობესოს სალექციო პროცესი. კითხვა-პასუხის აქტივობა, რომელშიც მთელი ჯგუფი მონაწილეობს, დარგობრივი თემატიკის ინსტრუმენტია, სტუდენტებს ურიგდებათ კითხვებისა და პასუხების ბარათები, დასმული შეკითხვის პასუხად მეორე სტუდენტი, რომელსაც პასუხი აქვს კითხულობს პასუხს და ახალ კითხვას სვავს. აქტივობების გათამაშების ტექნიკა აუმჯობესებს, როგორც აზრის გამოთქმის უნარს ასევე, მოსმენას და გააზრებას. ასევე წარმატებული ტექნიკაა სასწავლო პოსტერების მომზადების აქტივობა. სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ შექმნან სასწავლო პოსტერები ინდივიდუალურად ან ჯგუფურად თითოეული თემისთვის, სამუშაოს მომზადების დროს სტუდენტები სწავლობენ თემის შესახებ ძირითად ინფორმაციას, აღქმის არხების გასააქტიურებლად გამოიყენება დარგის ტერმინების დაჯგუფება. პოსტერები, რეზუსებით ან ომონიმებით არის გამდიდრებული, რაც სიტყვის მყისიერ ასოციაციასთან და დამახსოვრებასთანაა კავშირში.

მოდელი 1:



- სალექციო და სასემინარო პროცესი ორ ნაწილად იყოფა რაც სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტის გამორჩევის საშუალებას იძლევა.

მოდელი 2:




*ლექციის აღწერაში დარგობრივი თემების საჭიროებებისა და აქტუალობის საკითხები სტუდენტებს მკაფიოდ და გასაგებად მიეწოდება, შემდგომ ეტაპზე ყალიბდება მიზნები და იქმნება ტექნიკურად სამუშაო გეგმა.


საილუსტრაციო მეთოდი სალექციო პროცესისთვის:

- მიზანი - სტუდენტები გაეცნონ და გამოიკვილონ დარგობრივი თემატიკის ტექნიკური ტერმინები.

დიაგრამა 1:




დიაგრამა 2:




- მიზანი - სტუდენტების მოტივაცია და სათანადო ატმოსფეროს შექმნა.

დიაგრამა 3:



- სალექციო პროცესის დროს შესაძლებელია დარგის შეცვლა უცხოურ ენასთან კომბინაციაში.


დიაგრამა 4:



- სასემინარო აქტივობები: შეკითხვები სიტყვებისა და ტექსტებისთვის გამეორებისა და პრაქტიკისთვის; მოკლე ტექსტებისა და სიმბოლოების პოსტერები სასწავლო შინაარსის ვიზუალიზაციისათვის; პრეზენტაციები.

დიაგრამა 5:

დარგობრივი ენა



▪

- კითხვითი დავალებები ლექსიკონების გამოყენებით; დარგთან დაკავშირებული ტექსტები; ილუსტრირებული თემატიკა.
- ზოგადი უცხოური ენა - მონოგრაფიები, კვლევის ანგარიშები, სახელმძღვანელოების გაცნობა;
- პროფესიული უცხოური ენა - სპეციალური ჟურნალებისა და სტატიების, საქმიანი წერილებისა და რეკლამების გაცნობა.

სახელმძღვანელოებში ტექსტები გერმანულ ენაზე არსებული ტერმინოლოგიით, აბრივიატურებით და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით არის წარმოდგენილი, თუმცა ვხვდებით ინგლისურ ენასთან, როგორც საერთაშორისო ენასთან, დაკავშირებულ ნეოლოგიზმებს (თანამედროვეობასთან, ახალ პროდუქტებთან, სამუშაოსთან და სერვისებთან კავშირში, უცხო სიტყვებს ანგლო-ამერიკული დაჯგუფებებით). ასევე საყურადღებოა, რომ აღნიშნულ ტექსტებში დიდი რაოდენობით გვხვდება სიტყვები, რომლებიც ლათინური ენიდან იღებს სათავეს.

გერმანიის ქალაქ შტუტგარტის უნივერსიტეტის (Mint, Orientierung. 2020) მაგალითი გვიჩვენებს, რომ ყურადღება ექცევა, უცხოენოვანი სტუდენტების დარგობრივ ენაში ჩართვასა და ამ პროცესში ენობრივი, სოციალური ფაქტორების გათვალისწინებას.

2012-13 წლის ზამთრის სემესტრის მონაცემებით შტუტგარტის (გერმანია) უნივერსიტეტში საზღვარგარეთიდან 3725 ჩამოსული სტუდენტი სწავლობდა საბაკალავრო საფეხურზე. უნივერსიტეტის ენების ცენტრში, ამოქმედდა პროექტი გერმანული ენის, როგორც უცხოური ენის, სწავლების პროგრამა ტექნიკური ენის სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისთვის. გერმანული ენის (როგორც უცხო ენის სასწავლო გეგმის ჩარჩოს ეფუძნება კომუნიკაციის პრინციპს, სამიზნე ჯგუფზე ორიენტაციას, სტუდენტის ავტონომიურობისა და ინტერკულტურულობის თანაბრად გათვალისწინებით. (DFS, MINT. 2013)

კომუნიკაციის პრინციპი ზოგადი ენისა და ტექნიკური ენის მოტავიაციის გამოყენებით მიმდინარეობს, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამონათქვამების კონტექსტი გააცნობიერონ ზოგად და დარგობრივ ენაზე.. (DFS, MINT. 2013)

გერმანული ენის, როგორც უცხოური ენის სწავლების კონცეფცია, რომელიც დაკავშირებულია ფუნქციონალურ სტილთან და ეხება დიაფაზურ სიტუაციურ კონტექსტს, რეგულარულად ცვალებადია და კავშირშია სიტუაციურ კომუნიკაციასთან.

დარგობრივი ენა ყოველთვის გამოიყენება შესაბამისი სფეროს პირობებში, აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პროფესიული ენის ამოცანები მის ფუნქციურ დაუფლებაში მდგომარეობს ამ კონტექსტში გერმანულენოვან სახელმძღვანელოებში მოცემულია მთელი რიგი სავარჯიშოები, რომლებიც საშუალებას იძლევა გამოთქმისა და გამოხატვის უნარები სოციალურ კონტექსტში განვითარდეს.

სწავლისა და სწავლების სიტუაცია განსაზღვრავს, თუ რომელი სემანტიკური ვარიანტები და კომბინაციები შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციებს და პირობებს. სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი დავალებები მოიცავს დარგობრივი ენის ტექნიკურ ელემენტებს, სპეციფიკური მოსაზრებების გაცნობიერების საშუალებით ისეთი დისციპლინების კონტექსტში, როგორც არის მათემატიკა ბიოლოგია ჟურნალისტიკა, იურისპრუდენცია და ა.შ. განხილულ სახელმძღვანელოებში სავარჯიშოები წარმოდგენილია ენის დონეებისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით. სწავლების კონცეფციები და პროგრამული სახელმძღვანელოები მოიაზრება დამხმარე საშუალებად, გერმანულენოვანი ორგანიზაციების, ენის სკოლებისა და ინსტიტუტების მიერ. „დარგობრივი ტექსტები შეიცავს უცხოური ენის ლექსიკურ-გრამატიკული საფუძველების შერწყმას, რაშიც ენობრივი საფუძველის საჭიროება იგულისხმება“.(Funk, H. 2003)

გერმანულენოვან პრაქტიკაში არსებული ვებ-გვერდებზე აგებული დარგობრივი ენის სწავლების მაგალითი:

დარგობრივი უცხოური ენის სწავლებისთვის ენის პედაგოგები მომხმარებლის ელ.ფოსტის საფუძველზე ქმნიან ვებ-გვერდს.

შერჩეული თემის მიხედვით მაგალითად - ახალი ეკონომიური საწვავის წვის ტექნოლოგია რომელიმე მწარმოებლის მანქანებში. პედაგოგები მოპოვებულ ინფორმაციას უზიარებენ სტუდენტებს, სადაც ინფორმაცია ჟურნალის, გაზეთისა და

რეკლამის ენაზეა წარმოდგენილი. სტუდენტები დავალებას წერილობით ასრულებენ. პროცესში თავს იჩენს ცვალებადი ფაქტორები: უცხოური ენა - როგორც გამოხატვის ფართო სპექტრი, რომელშიც ლინგვისტურ კომპონენტებს მთავარი ადგილი უკავიათ; უცხოური ენა - როგორც სპეციფიკური ენობრივი საშუალება განსაზღვრულ ჯგუფში დარგის ფარგლებში კომუნიკაციისთვის და მნიშვნელოვანი ინფორმაციის ინტერაქციისთვის.

უკუკავშირით ნათელი ხდება პედაგოგისთვის რა ინფორმაცია მიიღო სტუდენტმა ლექციაზე, როგორ აღიქვა და რა დამოკიდებულება შეექმნა, როდესაც მან ტექნიკური ტექსტი არამშობლიურ ენაზე წაიკითხა.

დარგობრივი ენისთვის საჭირო მასალის მოძიება შესაძლებელია მთელი რიგი ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებით. უცხოური ენის პედაგოგს საშუალება აქვს კონკრეტულ საკითხზე მოამზადოს აუდიო, წასაკითხი და სავარჯიშო მასალა, სალექციო პროცესი სტუდენტებს თავის მხრივ აძლევს საკუთარი ინტერესების, ინფორმაციის მოძიებისა და კვლევის საშუალებას. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული ცოდნა (თუნდაც ა1 დონეზე) სტუდენტს საფუძველს უქმნის დარგობრივი ენის დაუფლებაში, თვალსაწიერის გაფართოებაში, მოტივაციის ამაღლებაში და სპეციალიზირებული ენის ადვილი გზით შესწავლაში.“ (Roelcke, Th .2010)

უნდა აღინიშნოს, რომ დარგობრივი ენის სწავლება არ გულსიხმობს უცხოური ენის სალექციო კურსის სრულად შეცვლას. დარგობრივი ელემენტების შემოტანა უცხოურ ენაში აახლოვებს უცხოენოვან სტუდენტს პროფესიულ გარემოსთან. გერმანული ენის სწავლებასთან დაკავშირებით, გერმანიის რამდენიმე ფედერაციულ ერთეულში გამოთქვამდნენ საყვედურს რომ დარგობრივი ენის სწავლებას არ გააჩნია თეორიული საფუძველი, ზოგადი ენის კურსისგან განსხვავებით. საპირისპიროდ იგივე ქვეყანაში შეიქმნა დარგობრივი ენის სწავლების ელემენტები სალექციო პროცესში. სტუდენტებს შესაძლებლობას მიეცათ თეორიული ცოდნა პრაქტიკაში მიზნობრივად გამოიყენებინათ. სარეფორმო პედაგოგიკის ფონმა აქტუალური გახადა კონსტრუქციული აზროვნება და პრაქტიკული ქმედება. გემანიასა და ავსტრიაში დარგობრივი ენის საკითხებთან დაკავშირებით სხვადასხვა მეთოდების ბევრი მომხრე

გამოჩნდა, რომლებმაც პრაქტიკულ სწავლებაზე ორიენტირებული ელემენტები და პრინციპები შეიმუშავეს. ენის პედაგოგებისთვის, დარგობრივი ენის სწავლება თავის მხრივ ახალი გამოწვევა გახდა დამატებითი კომპეტენციის შექმნის კუთხით - ენის პარალელურად უცხოური ენის პედაგოგი ახალ სფეროს ეცნობა. უცხოენოვანი სტუდენტებისთვის კი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის შემდეგ ენის ახლებურად სწავლის შესაძლებლობაა, ისინი საკუთარ ინტერესებს ენის ცოდნის პარალელურად მართავენ. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტს უცხოური ენის ისეთი ფორმის ინფორმაციის და ცოდნის მიღება უწევს, რომელიც დარგისთვის საჭირო მონაცემების და ინფორმაციის გაღრმავებას შეუწყობს ხელს. (Hoffmann, L.1984) ლოთერ ჰოფმანის აზრით დარგობრივი ენა მომავალი სპეციალისტის მთავარი მონაპოვარია რაც მუდმივი განვითარების შესაძლებლობას იძლევა.

კვლევითი ნაწილი

მეთოდოლოგიური გადაწყვეტილებების დასაბუთება

უცხოური ენის დარგობრივი საკითხების კვლევის საფუძველში სტრუქტურული სწავლების მიდგომაა გათვალისწინებული, რომლის მიხედვითაც დარგობრივი ენის სალექციო კურსის მიმდინარე პროცესი ყალიბდება და ითვალისწინებს ინდივიდუალურ მიდგომებს. კვლევის კითხვარის ბლოკების ჩამოყალიბების დროს აქტიურად გამოვიყენეთ სასწავლო გეგმა, რომელშიც მონიშნულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ენის სწავლების ტრანსლიაციის ძირითადი ასპექტები. გავითვალისწინეთ უცხოური ენის სწავლების თეორიული საფუძვლების სტადიები და შესაბამისად დავამუშავეთ კითხვარების ანკეტა; მონაცემების დაგროვების პროცესში ვისარგებლეთ სხვადასხვა კვლევის სქემებით. გამოვიყენეთ, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის მეთოდები.

დარგობრივი უცხოური ენის სწავლების ასპექტებისა და მასწავლებელთა განწყობებისა და სტრატეგიების საკვლევად დავამუშავეთ ორი კითხვარი. ორივე კითხვარის შემუშავებას წინ უსწრებდა ფოკუს ჯგუფები, პირველ შემთხვევაში სტუდენტებთან, ხოლო მეორე შემთხვევაში უმაღლესი სასწავლებლის ენების ცენტრის პედაგოგებთან.

თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებამ მოგვცა, უცხოური ენის სწავლების განსხვავებული ასპექტით დანახვის შესაძლებლობა. პედაგოგიური კვლევის მეთოდების გამოყენება და, ამავე დროს, უცხოური ენის სალექციო კურსის სწავლა-სწავლებისას სხვადასხვა მიდგომის განხილვა მართებულად მივიჩნიეთ განსაკუთრებით ისეთი კვლევისას, როგორცაა დარგობრივი ენის სწავლებისადმი დამოკიდებულებების და აღქმების კვლევა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამები ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებასა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას. უნივერსიტეტი ამზადებს ბაკალავრს, როგორც

დარგის სპეციალისტს, რომელიც დარგისთვის წაყენებული გამოყენებითი სფეროებისთვის ორიენტირებულ მოთხოვნებს შეესაბამება, და ასევე, აქვს ენის დონის შესაბამისი კომპეტენციები.

2017 წლიდან ჩვენი ამოცანა იყო უცხოური ენის სწავლისა და სწავლების საგნობრივი შინაარსის შემდგომი განვითარება და უცხოური ენის სალექციო პროცესში დარგობრივი ელემენტების დანერგვა საბაკალავრო საფეხურზე. გავეცანით საქართველოში არსებული სამი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სასწავლო გეგმებსა და პროგრამებს, რომელიც ბოლონის პროცესის გათვალისწინებით არის შედგენილი. კონცეფციის სწორი საფუძვლის შესაქმნელად აღვწერეთ ის მიზეზები, რომლებიც უშუალოდ უცხოური ენის სწავლებისა და სწავლის შინაარსსა და მიზნებს უკავშირდება.

- საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლების პრაქტიკის კვლევის საკითხები: დარგობრივი ენის სწავლება საბაკალავრო საფეხურზე,;
- სტუდენტებისა და პედაგოგების თანამშრომლობა;
- დროის ეფექტურად დაგეგმვა;
- ახალი რესურსების შექმნა ან არსებული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის და კავკასიის უნივერსიტეტის თანამშრომლების დახმარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ამ საკითხების კვლევა და შესწავლა.

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტში სამსახურეობრივი მოვალეობისას სტუდენტებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფონზე დავინტერესდით უცხოური ენის სწავლების ვითარებით საბაკალავრო საფეხურზე. უცხოური ენის სწავლების მიდგომები დარგობრივი უცხოური ენის კუთხით აქტუალური საკითხი აღმოჩნდა. დავამუშავეთ დარგობრივ უცხოურ ენასთან (გერმანული ენა) დაკავშირებით მეორადი ინფორმაცია, რის საფუძველზეც შევიმუშავეთ კვლევის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტი. გამოკითხვის მიზნით შედგენილ კითხვარში, გათვალისწინებული იყო დარგობრივი უცხოური ენის ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე

ფორმულირებული საკითხები, რომელიც სტუდენტების, პედაგოგებისა და პროგრამის ხელმძღვანელების საკითხის მიმართ დამოკიდებულებას გვიჩვენებს.

2017-2021 წლებში ჩატარებული კვლევის/ების დაგეგმვა და მომზადება

დაწვრილებით აღვწერთ 2017-2021 წლებში ჩატარებული კვლევის მიზნებს, ამოცანებს, მეთოდოლოგიასა და შედეგებს. წარმოგიდგინებთ კითხვარს და ინტერვიუებს, რომელიც საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებთან, უცხოური ენის პედაგოგებთან (საფაკულტეტო ევროპული ენა) და ფაკულტეტის პროგრამის ხელმძღვანელებთან ჩავატარეთ. წარმოდგენილი კვლევის მიზანი საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლების პროცესში, დარგობრივი ენის პრაქტიკისა და მისი ელემენტების შემუშავებაა. მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების, უცხოური ენის პედაგოგებისა და უსდ-ების ფაკულტეტების პროგრამის ხელმძღვანელების აზრის გაგება დარგობრივი ენის სწავლებასთან დაკავშირებით. გადავწყვიტეთ გამოგვეკითხა სტუდენტები კითხვარის მეშვეობით, ხოლო პროგრამის ხელმძღვანელებთან და უცხოური ენის პედაგოგებთან ჩავატარეთ ინტერვიუები. გამოკითხვა ჩატარდა არალაბათური შერჩევის და თოვლის გუნდის მეთოდის გამოყენებით.

- 1) 2017-2012 წ. უცხოური ენის საჭიროების და დარგის საგნების წინაპირობების (წინაპირობა უცხოური ენა ბ1 დონე) შესახებ დამუშავებული ინფორმაცია.

საფაკულტეტო ევროპული ენა, სტუდენტების ბარიერი, სხვადასხვა ტიპის ნაკლოვანებები, აკადემიური მოსწრების შედეგები და ხარვეზები; სამიზნე ჯგუფი საბაკალავრო საფეხურის სტუდენტები, რაოდენობა - 60 სტუდენტი, თვისებრივი კვლევა - კითხვარის მეშვეობით სტუდენტების გამოკითხვა;

- 2) სამაგიდე კვლევა - გერმანიის, ავსტრიის და შვეიცარიის უნივერსიტეტებში ენების ცენტრის მიერ შემუშავებული დარგობრივი შინაარსის სილაბუსების გაცნობა, გერმანულის როგორც უცხოური ენის მიზნებისა და შედეგების განხილვა. უცხოური ენის სწავლების შინაარსის, მეთოდები, კრიტერიუმები, სამუშაო მასალისა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობა;

- 3) 2018-2019 წ.წ. დარგობრივი ენის სწავლების საჭიროება

იურიდიული, მედიცინის, ეკონომიკის და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების სტუდენტების გამოკითხვა კითხვარების მეშვეობით;

პროგრამებში სავალდებულო საგანის (უცხოური ენის) პედაგოგები, ენების ცენტრის ხელმძღვანელებისა და პედაგოგების ჩაღრმავებული ინტერვიუ.

4) 2017- 2021 წ.წ. უცხოური ენის სწავლების მოდელის შემუშავება დარგობრივი ენის ელემენტების ჩართვით. სამაგიდე კვლევის საფუძველზე და გამოკითხული სტუდენტების ტენდენციიდან გამომდინარე, დარგობრივი ენის სალექციო კურსის მოდელის შემუშავება, რეკომენდაციები.

- კვლევის მეთოდები: სამაგიდე კვლევა, გამოკითხვა/კითხვარი, ინტერვიუ.

მონაწილეთა შერჩევა

ემპირიული კვლევის პირველ ეტაპზე 2017 -2021 წ.წ. გამოვკითხეთ სამი უნივერსიტეტის მხოლოდ II და III სამესტრის სტუდენტები, თსუ - 35, თსსუ- 11, კავკასიის უნივერსიტეტი - 14; სულ (60 სტუდენტი); რესპოდენტების ასაკი - 19-21;. დემოგრაფიული მონაცემები - 37 მდედრობითი სქესის სტუდენტი, 23 მამრობითი სქესის სტუდენტი. II, III,-IV სემესტრის სტუდენტების გამოკითხვა: თსუ - 32, თსსუ - 19, კავკასიის უნივერსიტეტი -21 სულ (72 სტუდენტი). ჯამში გამოიკითხა 132 სტუდენტი. რესპოდენტების ასაკი - 20-24; დემოგრაფიული მონაცემები - 43 მდედრობითი სქესის სტუდენტი, 29 მამრობითი სქესის სტუდენტი. თსუ - 35, თსსუ- 11, კავკასიის უნივერსიტეტი - 14; სულ (60 სტუდენტი); რესპოდენტების ასაკი - 19-23. დემოგრაფიული მონაცემები - 37 მდედრობითი სქესის სტუდენტი, 23 მამრობითი სქესის სტუდენტი.

თსუ - 32 სტუდენტი, თსსუ - 19 სტუდენტი, კავკასიის უნივერსიტეტი - 21 სტუდენტი, სულ (72 სტუდენტი). რესპოდენტების ასაკი - 20-24. დემოგრაფიული მონაცემები - 43 მდედრობითი სქესის სტუდენტი, 29 მამრობითი სქესის სტუდენტი.

კვლევის პროცედურა

უცხოური ენის სწავლისა და სწავლების უპირატესობებისა და არსებული პრაქტიკის შესასწავლად ჩავატარეთ სტუდენტების გამოკითხვა, ჩავთვალეთ, რომ სტუდენტებისგან მიღებული მონაცემები, უკეთესად ასახავდა საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტში არსებულ სიტუაციას. კითხვარი გამიზნული იყო, იმის გამოსაკვლევად, თუ რამდენად კმაყოფილი არიან სტუდენტები უცხოური ენის საგნის სწავლებით და სასწავლო მასალით; სტუდენტების გამოკითხვა ნებაყოფლობითი და ანონიმური გახლდათ. კითხვარს ვურიგებდით ხელით ან ვუგზავნიდით ელექტრონული ფოსტით.

*კითხვარი შედეგად მიღებული მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილებში:

უსდ-ების ფაკულტეტისა და უცხოური ენის პედაგოგებთან ჩავატარეთ ინტერვიუები, სამი უნივერსიტეტში. გამოკითხეთ უსდ-ების კერძოდ: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სამედიცინო სახელმწიფო უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელები და უცხოური ენის პედაგოგები, რათა გაგვეჩვენა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში უცხოური ენის სწავლებისა და პრაქტიკის არსებული ვითარება. ინტერვიუს პროცედურა შეთანხმებით პირისპირ შეხვედრის ფორმით ჩატარდა. რესპოდენტების რაოდენობა - 3 პროგრამის ხელმძღვანელი და 5 უცხოური ენის პედაგოგი, რესპოდენტების ასაკი - 35-62 წელი.

კვლევაში ჩართული პირების ანონიმურობა კვლევის ეთიკის მიხედვით გავითვალისწინეთ, მათი ჩართულობა ნებაყოფლობით იყო. მონაწილეებს გავაცანით ინფორმაცია კვლევის შესახებ, რომ ის შეისწავლიდა საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის (დარგობრივი ენის) სწავლების პრაქტიკის კვლევას.

ყველა რესპოდენტს მივაწოდეთ ინფორმაცია, რომ მათ ნებისმიერ დროს შეეძლოთ შეეწყვიტათ მონაწილეობა, თუმცა მსგავსი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. რესპოდენტებთან კვლევის ჰიპოთეზის საფუძველზე არსებული დებულებები და მიზანი არ გახლდათ გასაჯაროებული.

ფაკულტეტები: იურიდიული ფაკულტეტი, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტი, სამკურნალო ფაკულტეტი, პედაგოგიური ფაკულტეტი.

კვლევის ინსტრუმენტი:

2017-2021 წლებში ჩვენ მიერ დამუშავებულმა საპილოტე კითხვარმა, რომელმაც განიცადა ცვლილება, შემდგომ კვლევის ინსტრუმენტად გამოვიყენეთ. გამოყვავით შემდეგი ბლოკები:

I ბლოკი - დემოგრაფიული ინფორმაცია

II ბლოკი - საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სახელმძღვანელოები (სტუდენტებს და პედაგოგებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე იყენებენ თუ არა დამხმარე სახელმძღვანელოებს და თუ იყენებდნენ, დაესახელებინათ ისინი თემატიკის მიხედვით)

III ბლოკი - სწავლების მეთოდოლოგია, რომლებზეც რესპოდენტებს უნდა გამეოხატათ თავიანთი მოსაზრებები.

კითხვარის ბოლოს სტუდენტებს ვთხოვდით, გაეზიარებინათ საკუთარი მოსაზრებები და სურვილები დარგობრივი უცხოური ენების სწავლებასთან დაკავშირებით. მიღებული ჩანაწერები დავაჯგუფეთ ორ ქვეთავებად:

I კომენტარები უცხოური ენის სწავლა-სწავლების შესახებ;

II კომენტარები საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების მოლოდინების შესახებ უცხოური ენის სწავლებასთან დაკავშირებით.

მეთოდების შერჩევა:

ნაშრომში კვლევის დაგეგმვისას უპირატესობა მივანიჭეთ თვისებრივ კვლევას რაოდენობრივ კვლევაში კი (კოჰორტული) შერჩევით გავითვალისწინეთ ვალიდაცია. სამაგიდე კვლევამ კი განაპირობა საკვლევი თემის თეორიული ნაწილი.

ინსტრუმენტები:

- სამაგიდე კვლევა - საქართველოში აკრედიტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მარეგულირებელი და სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზი უცხოური ენის სწავლების დაგეგმვის და განხორციელების მიმართულებით;

- საერთაშორისო დარგობრივი ენის საკითხებზე (გერმანულენოვანი) თანამედროვე ლიტერატურის და სახელმძღვანელოების ანალიზი;
- უცხოური (გერმანულენოვანი) უნივერსიტეტების გამოცდილება საერთაშორისო გამოცდილების გაცნობის მიზნით, გავეცანით და დავამუშავებთ გერმანიის, ავსტრიისა და შვეიცარიის უნივერსიტეტების ასევე უცხოური ენის „გერმანული ენა როგორც უცხო ენა“ დარგობრივი ენის სახელმძღვანელოები (Leibniz Universität Hannover, Medizinische Universität Wien, Universität Zürich, Universität Bielefeld, Georg-August-Universität Göttingen, Universität Hamburg, Deutsch als Fremdsprache (DaF)). სასწავლო პროგრამები და სილაბუსები უცხოელი სტუდენტებისთვის.
- ტრიანგულაცია - სტუდენტების გამოკითხვა, უცხოური ენის პედაგოგების ნახევრად სტრუქტურირებული ჩაღრმავებული ინტერვიუ, უსდ-ების ადგილობრივ წარმომადგენლებთან, ჩაღრმავებული ინტერვიუ (ემპირიული კვლევის მიზნით);

თვისებრივი კვლევა ეფუძნება - უმაღლესი სასწავლებლების უცხოური ენის პედაგოგების და პროგრამის ხელმძღვანელების ინტერვიუს (შერჩევა - არაალბათური, მიზნობრივი)

რაოდენობრივი კვლევა ეფუძნება - სტუდენტების გამოკითხვას დესკრიპტული ინტერპრეტაციული ვალიდობის მიზნით. (შერჩევა - არაალბათური, მიზნობრივი)

საველე სამუშაოები:

- მუშაობის შედეგად ჩანაწერების წარმოება და მონაცემთა ანალიზის პროცესი;
- კითხვარების შედგენა, პილოტირება და დებულებების დახვეწა;
- კითხვარების დარიგება;
- ელექტრონული კითხვარების ბმულების რესპონდენტებისთვის გაზიარება;
- შევსებული კითხვარების ანალიზი და საკითხების მიხედვით დაჯგუფება.
-

მონაცემთა ბაზის შექმნა და ანალიზი მოხდა სტატისტიკური ანალიზით, კითხვარის მეშვეობით მიღებული თვისებრივი მონაცემები, დამუშავდა თემატური ანალიზის მეთოდით.

გამოკითხვის შედეგების შეფასება და წარმოდგენა

132 სტუდენტის მიერ შევსებული კითხვარის შედეგები ასე გადანაწილდა:
ცხრილი 3.3. 1 დარგობრივი უცხოური ენის სწავლა საბაკალავრო საფეხურზე
უცხოური ენის შესასწავლად თსუ-ის სტუდენტების აზრი:

აზრი / შეფასება	სრულია დ არ საფასობს	თითქმის არ	არ მაქვს მკაფიო	მეტ- ნაკლება	სრულად ვიზიარებ	საშუალო ქულა
დარგობრივი უცხოური ენა საერთოდ არ ისწავლება ჩემ უნივერსიტეტში	7,9%	26,5%	26%	26%	13,6%	3,1
დარგობრივი უცხოური ენა ისწავლება ჩემ უნივერსიტეტში	-	39,1%	26,4%	26,9%	7,6%	3,0

თსუ სტუდენტების პასუხები პირველ და მეორე საკითხზე თითქმის საპირისპიროა, რაც მათ მაღალ საიმედოობაზე მეტყველებს. გამოკითხულ სტუდენტთა დიდი ნაწილი 39% მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში უცხოური ენის სწავლებისას დარგობრივი ენა საერთოდ არ გამოიყენება, 26%-ს არ აქვს მკაფიო შეხედულება, რესპოდენტთა მესამედი 33% თვლის, რომ დარგობრივი უცხოური ენა ისწავლება. პასუხები მიუთითებს, რომ დარგობრივი უცხოური ენა საბაკალავრო საფეხურზე მეტად სტრუქტურირებულად უნდა ისწავლებოდეს, ვიდრე ამჟამად.

ცხრილი 3.3.2 დარგობრივი უცხოური ენის სწავლა საბაკალავრო საფეხურზე
უცხოური ენის შესასწავლად თსუ სტუდენტების აზრი:

აზრი/შეფასება	სრულიად არ ვიზიარებ	თითქმის არ ვიზიარებ	არ მაქვს მკაფიო	მეტ- ნაკლებად	სრულად ვიზიარებ	საშუალო ქულა
დარგობრივი უცხოური ენა საერთოდ არ ისწავლება ჩემ უნივერსიტეტში	7,5%	13%	20%	13,5%	46%	3,8
დარგობრივი უცხოური ენა ისწავლება ჩემ უნივერსიტეტში	46%	7%	27%	13%	7%	2,7

მეორე (საჯარო) უნივერსიტეტში თსსუ პირველ და მეორე საკითხზე პასუხები თითქმის საპირისპიროა, რაც მათ მაღალ საიმედოობაზე მეტყველებს. გამოკითხული სტუდენტების ნახევარზე მეტი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში უცხოური ენის სწავლისას დარგობრივი ენა საერთოდ არ ისწავლება, 20%-ს არ აქვს მკაფიო შეხედულება, რესპოდენტების 20% თვლის, რომ დარგობრივი უცხოური ენა ისწავლება. პასუხების მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ დარგობრივი უცხოური ენა მეტად უნდა ისწავლებოდეს, ვიდრე ამჟამად.

ცხრილი 3.3.3 დარგობრივი უცხოური ენის სწავლა საბაკალავრო საფეხურზე უცხო ენის შესასწავლად კავკასიის უნივერსიტეტში სტუდენტების აზრი:

აზრი/შეფასება	სრულიად არ ვიზიარებ	თითქმის არ ვიზიარებ	არ მაქვს მკაფიო აზრი	მეტ-ნაკლებად	სრულიად ვიზიარებ	საშუალო
დარგობრივი უცხოური ენა საერთოდ არ ისწავლება ჩემ უნივერსიტეტში	20%	15%	-	30%	35%	3,5
დარგობრივი უცხოური ენა ისწავლება ჩემ უნივერსიტეტში	35%	30%	-	20%	15%	2,5

კავკასიის უნივერსიტეტში პირველ და მეორე საკითხზე პასუხები თითქმის საპირისპიროა, რაც მაღალ საიმედოობაზე მეტყველებს. ნახევარზე მეტი (65%) გამოკითხული სტუდენტი მიიჩნევს, რომ უნივერსიტეტში უცხოური ენის სასწავლებლად დარგობრივი ენა საერთოდ არ გამოიყენება, და მესამედზე ცოტა მეტი (35%) რესპოდენტი თვლის, რომ დარგობრივი უცხოური ენა ისწავლება. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დარგობრივი ენა საბაკალავრო საფეხურზე მეტად უნდა ისწავლებოდეს, ვიდრე ამჟამად.

სამივე სასწავლებელში სტუდენტ-რესპოდენტებისგან მიღებული შედეგები მსგავსია, რაც ასევე ადასტურებს მათ დამაჯერებლობას.

ცხრილი 3.3.5. სტუდენტების მიერ დარგობრივი უცხოური ენის გამოყენება ენის შესასწავლად თსუ სტუდენტების აზრი:

აზრი/შეფასება	სრულიად არ ვიზიარებ	თითქმის არ ვიზიარებ	არ მაქვს მკაფიო აზრი	მეტ-ნაკლებად ვიზიარებ	სრულად ვიზიარებ	საშუალო ქულა
მე ვიყენებ დარგობრივ უცხოურ ენას უცხო ენის უკეთ სწავლის მიზნით	0%	7%	20%	33%	40%	4,1
მე სიამოვნებით ვისწავლიდი დარგობრივ ენას, მაგრამ არ მაქვს სათანადო უნარ-ჩვევები	0%	0%	0%	7%	20%	1,3

თსუ სტუდენტების უმრავლესობა (73%) იყენებს დარგობრივ უცხოურ ენას ენის სწავლის პროცესში, 20%-ს მკაფიო აზრი არა აქვს ამ საკითხზე და 7% არ იყენებს მდარგობრივ უცხოურ ენას სასწავლო მიზნით. ყველა დარჩენილი სტუდენტი (27%) ადასტუდებს, რომ სიამოვნებით ისწავლიდა დარგობრივ ენას, მაგრამ არა აქვს სათანადო უნარ-ჩვევები.

ცხრილი 3.3.6 სტუდენტების მიერ დარგობრივი უცხოური ენის გამოყენება ენის შესასწავლად თსუ სტუდენტების აზრი:

აზრი/შეფასება	სრულიად არ ვიზიარებ	თითქმის არ ვიზიარებ	არ მაქვს მკაფიო აზრი	მეტ-ნაკლებად ვიზიარებ	სრულად ვიზიარებ	საშუალო ქულა
მე ვიყენებ დარგობრივ უცხო ენას უცხო ენის უკეთ სწავლის მიზნით	0%	20%	7%	33%	40%	3,9
მე სიამოვნებით ვისწავლიდი დარგობრივ ენას, მაგრამ არ მაქვს სათანადო უნარ-ჩვევები	0%	0%	0%	0%	20%	2,0

თსსუ უნივერსიტეტის სტუდენტების უმრავლესობა (73%) იყენებს დარგობრივ უცხოურ ენას ენის სწავლის პროცესში, 7%-ს მკაფიო აზრი არა აქვს ამ საკითხზე და 20% არ იყენებს დარგობრივ ენას სასწავლო მიზნით. სტუდენტების (20%) ადასტურებს, რომ სიამოვნებით ისწავლიდა დარგობრივ უცხოურ ენას, მაგრამ არ აქვს სათანადო ტექნიკური უნარ-ჩვევები.

ცხრილი 3.3.7 სტუდენტების მიერ დარგობრივი უცხოური ენის გამოყენება ენის შესასწავლად კავკასიის უნივერსიტეტი სტუდენტების აზრი :

აზრი/შეფასება	სრული დარ ვიზიარებ	თითქმის არ ვიზიარებ	არ მაქვს მკაფიო	მეტ- ნაკლება დ	სრულად ვიზიარებ	საშუალო ქულა
მე ვიყენებ დარგობრივ უცხო ენას უცხო ენის უკეთ სწავლის მიზნით	10%	20%	0%	45%	25%	4,0
მე სიამოვნებით ვისწავლიდი დარგობრივ ენას, მაგრამ არ მაქვს სათანადო უნარ-ჩვევები	0%	5%	0%	15%	10%	1,2

კავკასიის უნივერსიტეტში გამოკითხული საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების 70% იყენებს დარგობრივ ენას სწავლის პროცესში და 30% არ იყენებს დარგობრივ ენას სასწავლო მიზნით. სტუდენტების 25% ადასტურებს, რომ სიამოვნებით ისწავლიდა დარგობრივ ენას, მაგრამ არა აქვს სათანადო ტექნიკური უნარ-ჩვევები.

სამივე სასწავლებელში სტუდენტთა აზრი დაახლოებით ერთნაირია, რაც ადასტურებს გამოკითხვის შედეგების ვალიდურობას.

ცხრილი 3.3.8 დარგობრივი უცხოური ენის აუდიტორიაში/საშინაო დავალების სახით და ენობრივ ასპექტებთან დაკავშირებით გამოყენება უცხოური ენის შესწავლისას თსუ სტუდენტების აზრი:

აზრი/შეფასება	სრულია დ არ ვიზიარებ	თითქმის არ ვიზიარებ	არ მკაცრ მკაფიო აზრი	მეტ- ნაკლება დ საშუალო	სრულად ვიზიარებ	საშუალო ქულა
ჩემი აზრით დარგობრივი უცხოური ენა უნდა ისწავლებოდეს საბაკალავრო საფეხურზე სააუდიტორიო და საშინაო დავლებების დამუშავების დროს უცხოური ენის სწავლებისას	0%	0%	7%	20%	73%	4,7
ჩემი აზრით დარგობრივი ენა უნდა ისწავლებოდეს საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლების ყველა ასპექტთან ფონოლოგია გრამატიკა და ლექსიკასთან შერწყმით	0%	7%	7%	13%	73%	4,5

თსუ - ის სტუდენტების უმრავლესობა 93% თვლის, რომ უცხოური ენის სწავლის პროცესში უნდა გამოიყენებოდეს დარგობრივი ენის ელემენტები აუდიტორიაშიც და საშინაო დავლებების შესრულებებსაც, 7%-ს მკაფიო აზრი არ აქვს ამ საკითხზე. სტუდენტების უმრავლესობა (86%) თვლის, რომ დარგობრივი ენა უნდა გამოიყენებოდეს უცხოური ენის სწავლების ყველა ასპექტთან (ფონოლოგია, გრამატიკა, ლექსიკა) და უნარ-ჩვევასთან (მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა) დაკავშირებით, 7%-ს მკაფიო აზრი არა აქვს ამ საკითხზე და 7%-ს უარყოფითი შეხედულება აქვს.

ცხრილი 3.3.9 დარგობრივი უცხოური ენის აუდიტორიაში/საშინაო დავალების სახით და ენობრივ ასპექტებთან დაკავშირებით გამოყენება ენის შესწავლისას თსსუ სტუდენტების აზრი:

აზრი/შეფასება	სრულიად არ ვიზიარებ	თითქმის არ ვიზიარებ	არ მაქვს მკაფიო აზრი	მეტ-ნაკლებად ვიზიარებ	სრულიად ვიზიარებ	საშუალო ქულა
ჩემი აზრით დარგობრივი უცხოური ენა უნდა ისწავლებოდეს საბაკალავრო საფეხურზე სააუდიტორიო და საშინაო დავლებების დამუშავების დროს უცხოური ენის სწავლებისას	0%	0%	20%	33%	47%	4,3
ჩემი აზრით დარგობრივი ენა უნდა ისწავლებოდეს საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლების ყველა ასპექტთან ფონოლოგია გრამატიკა და ლექსიკასთან შერწყმით	0%	7%	7%	46%	40%	4,2

თსსუ-ის სტუდენტების უმრავლესობა 80% თვლის, რომ დარგობრივი ენა უცხოური ენის სწავლის პროცესში უნდა გამოიყენებოდეს აუდიტორიაშიც და საშინაო დავალებების შესრულებებსაც, ხოლო 20%-ს მკაფიო აზრი არ აქვს ამ საკითხზე. სტუდენტების უმრავლესობას 87% მიაჩნია, რომ დარგობრივი ენა უნდა

გამოიყენებოდეს უცხოური ენის სწავლების ყველა ასპექტთან (ფონოლოგია, გრამატიკა, ლექსიკა) და უნარ-ჩვევასთან (მოსმენა, საუბარი, კითხვა, წერა) დაკავშირებით, 7%-ს მკაფიო აზრი არა აქვს ამ საკითხზე და 7%-ს უარყოფითი შეხედულება აქვს.

ცხრილი 3.3.10 დარგობრივი უცხოური ენის აუდიტორიაში/საშინაო დავალების სახით და ენობრივ ასპექტებთან დაკავშირებით გამოყენება ენის შესწავლისას კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების აზრი:

აზრი/შეფასება	სრულიად არ ვიზიარებ	თითქმის არ ვიზიარებ	არ მაქვს მკაფიო აზრი	მეტ-ნაკლებად ვიზიარებ	სრულიად ვიზიარებ	საშუალო ქულა
ჩემი აზრით დარგობრივი უცხოური ენა უნდა ისწავლებოდეს საბაკალავრო საფეხურზე სააუდიტორიო და საშინაო დავლაბებების დამუშავების დროს უცხოური ენის სწავლებისას	0%	0%	10%	25%	65%	4,3
ჩემი აზრით დარგობრივი ენა უნდა ისწავლებოდეს საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლების ყველა ასპექტთან ფონოლოგია გრამატიკა და ლექსიკასთან შერწყმით	0%	5%	20%	25%	50%	4,2

სამივე სასწავლებლის სტუდენტებს ერთმანეთის მსგავსი აზრი აქვთ, რაც ადასტურებს მიღებული შედეგების მართებულობას.

ცხრილი 3.3.11 დარგობრივი უცხოური ენის გამოყენება მეცადინეობის საფეხურის და უცხოური ენის სწავლის სხვადასვა უნარ-ჩვევასთან დაკავშირებით თსუ-ის უნივერსიტეტის სტუდენტების აზრი:

აზრი/შეფასება	სრულიად არ ვიზიარებ	თითქმის არ ვიზიარებ	არ მაქვს მკაფიო აზრი	მეტ-ნაკლებად ვიზიარებ	სრულიად ვიზიარებ	საშუალო ქულა
ახალი სასწავლო მასალის პრეზენტაციისას	0%	0%	0%	20%	80%	4,8
ენობრივი მასალის მიზნობრიობისთვის	0%	0%	7%	13%	80%	4,7
საუბრის უნარ-ჩვევების განვითარებისას	0%	0%	0%	27%	73%	4,7
მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებისას	0%	0%	0%	27%	73%	4,7
წერის უნარ-ჩვევების განვითარებისას	0%	0%	7%	7%	86%	4,8
კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებისას	0%	0%	0%	7%	93%	4,9
მიზნობრიობის უნარ-ჩვევების შეფასებისას	0%	0%	0%	13%	87%	4,9

თსუ ყველა სტუდენტი 100% თვლის, რომ დარგობრივი ენა ენის სწავლის პროცესში უნდა ისწავლებოდეს ენობრივი მასალის განვითარებისთვის. უმრავლესობა 93% თვლის, რომ დარგობრივი ენა უნდა ისწავლებოდეს უცხოური ენის სწავლების

ენობრივი მასალის განვითარებისთვის, 7%-ს არა აქვს გარკვეული აზრი ამ საკითხზე. რაც შეეხება კონკრეტულ უნარ-ჩვევებს, მხოლოდ წერის უნარ-ჩვევასთან დაკავშირებით გამოკითხულთა 7%-ს არა აქვს გარკვეული აზრი მისი სწავლებისას დარგობრივი უცხოური ენის გამოყენებასთან დაკავშირებით, ყველა დანარჩენ უნარ-ჩვევასთან დაკავშირებით სტუდენტების 100% დარწმუნებულია, რომ დარგობრივი ენა უნდა ისწავლებოდეს მათ გასავითარებლად საბაკალავრო საფეხურზე. ასევე სტუდენტები 100% დარწმუნებულები არიან, რომ ენობრივი უნარ-ჩვევების შესაფასებლად საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის დარგობრივად სწავლება უნდა განხორციელდეს.

ცხრილი 3.3.12. დარგობრივი უცხოური ენის გამოყენება მეცადინეობის საფეხურის და უცხოური ენის სწავლის სხვადასვა უნარ-ჩვევასთან დაკავშირებით თსსუ სტუდენტების აზრი:

აზრი/შეფასება	სრულიად არ ვიზიარებ	თითქმის არ ვიზიარებ	არ მაქვს მკაფიო აზრი	მეტ-ნაკლებად ვიზიარებ	სრულიად ვიზიარებ	საშუალო ქულა
ახალი სასწავლო მასალის პრეზენტაციისას	0%	0%	33%	34%	33%	4,5
ენობრივი მასალის მიზნობრიობისთვის	0%	0%	40%	33%	27%	3,9
საუბრის უნარ-ჩვევების განვითარებისას	0%	0%	40%	27%	33%	4,1
მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებისას	0%	0%	27%	40%	33%	4,4
წერის უნარ-ჩვევების განვითარებისას	0%	0%	60%	13%	27%	3,7
კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებისას	0%	0%	47%	20%	33%	3,9
მიზნობრიობის უნარ-ჩვევების შეფასებისას	0%	0%	27%	40%	33%	4,1

თსსუ სტუდენტების უმრავლესობა 67% თვლის, რომ დარგობრივი ენა უცხოური ენის სწავლის პროცესში უნდა გამოიყენებოდეს, ენობრივი მასალის განვითარებისა და განმტკიცებისთვის, ხოლო მესამედს (33%) არა აქვს გარკვეული აზრი ამ საკითხზე. სტუდენტების ნახევარზე მეტი (60%) თვლის, რომ დარგობრივი ენა უნდა ისწავლებოდეს ენის სწავლების ენობრივი მასალის განმტკიცებისთვის, ხოლო 40%-ს არა აქვს გარკვეული აზრი ამ საკითხზე. რაც შეეხება კონკრეტულ უნარ-ჩვევებს, გამოკითხულთა უმეტესობას არა აქვს გარკვეული აზრი დარგობრივ ენასთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებით (განსაკუთრებით, წერასთან დაკავშირებით - 60%-ს), ყველა დანარჩენ უნარ-ჩვევასთან დაკავშირებით ნახევარზე მეტი (53%-73%) სტუდენტი დარწმუნებულია, რომ დარგობრივი ენა უნდა ისწავლებოდეს მათ გასავითარებლად. ასევე სტუდენტების უმრავლესობა (73%) დარწმუნებულია, რომ ენობრივი უნარ-ჩვევების შესაფასებლად საბაკალავრო საფეხურზე სწორედ დარგობრივი უცხოური ენა უნდა ისწავლებოდეს.

ორი (საჯარო) უნივერსიტეტის სტუდენტთა აზრი ამ საკითხზე მკვეთრად განსხვავდება. იმის გამო, რომ საჯარო უნივერსიტეტებში დარგობრივი ენა შედარებით ნაკლებად ისწავლება უცხოური ენის სწავლებისას, სტუდენტები ნაკლებად გათვინობიერებული არიან მის დანიშნულებაზე, რადგან საგანი ან არ არის წარმოდგენილი ან მხოლოდ არჩევითი საგნების სიაშია გარკვეული წინაპირობებით (ბ2). (მონაწილეთა უმრავლესობამ აირჩია ყველა საკითხზე პასუხი :„არ მაქვს მკაფიო აზრი.“). მთლიანობაში დამოკიდებულება მაინც პოზიტიურია და ყველაზე მაღალი შეფასება მიიღო აზრებმა „ახალი სასწავლო მასალის პრეზენტაციისას“ და „მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებისას.“

ცხრილი 3.3.13 დარგობრივი უცხოური ენის გამოყენება მეცადინეობის საფეხურის და უცხოური ენის სწავლის სხვადასვა უნარ-ჩვევასთან დაკავშირებით კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების აზრი:

აზრი/შეფასება	სრულიად არ ვიზიარებ	თითქმის არ ვიზიარებ	არ მაქვს მკაფიო აზრი	მეტ-ნაკლებად ვიზიარებ	სრულიად ვიზიარებ	საშუალო ქულა
ახალი სასწავლო მასალის პრეზენტაციისას	0%	0%	20%	33%	47%	4,3
ენობრივი მასალის მიზნობრიობისთვის	0%	0%	20%	40%	40%	4,2
საუბრის უნარ-ჩვევების განვითარებისას	0%	0%	25%	20%	55%	4,3
მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებისას	0%	0%	15%	10%	75%	4,6
წერის უნარ-ჩვევების განვითარებისას	0%	0%	35%	35%	30%	4,0
კითხვის უნარ-ჩვევების განვითარებისას	0%	0%	25%	50%	25%	4,0
მიზნობრიობის უნარ-ჩვევების შეფასებისას	0%	0%	25%	25%	50%	4,3

კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტთა უმრავლესობას (80%) მიაჩნია, რომ დარგობრივი ენა უცხოური ენის სწავლის პროცესში უნდა გამოიყენებოდეს ენობრივი მასალის განმტკიცებისას, ხოლო მესამედს (20%) არა აქვს გარკვეული აზრი ამ საკითხზე. სტუდენტების უმრავლესობა (80%) თვლის, რომ დარგობრივი ენა უნდა ისწავლებოდეს ენობრივი მასალის განვითარებისთვის, ხოლო 20% არა აქვს

გარკვეული აზრი ამ საკითხზე. რაც შეეხება კონკრეტულ უნარ-ჩვევებს, ბევრ გამოკითხულს არა აქვს გარკვეული აზრი უცხოური ენის სწავლებისას დარგობრივი ელემენტების გამოყენებასთან დაკავშირებით (განსაკუთრებით, წერასთან დაკავშირებით - 35%-ს), ყველა დანარჩენ უნარ-ჩვევასთან დაკავშირებით სტუდენტთა უმრავლესობა (75%-85%) დარწმუნებულია, რომ დარგობრივი ენა უნდა ისწავებოდეს საბაკალავრო საფეხურზე. ასევე სტუდენტების უმრავლესობა (75%) დარწმუნებულია, რომ ენობრივი უნარ-ჩვევების შესაფასებლად დარგობრივი ენა უნდა ისწავლებოდეს. გამოთქმული აზრები უფრო პოზიტიურია, ვიდრე თსუ სტუდენტებისა, მაგრამ ნაკლებად გათვიცნობიერებული, ვიდრე თსსუ სტუდენტებისა. ეს გასაგებიც არის, რადგან კავკასიის უნივერსიტეტში როგორც თსუ, ისე თსსუ ინსტიტუციებში სწავლობენ დარგობრივ უცხოურ ენას, როგორც არჩევით საგანს ან საერთოდ არ აქვთ პროგრამის ჩამონათვალში დარგობრივი უცხოური ენის საგანი.

3.3.14 დარგობრივი უცხოური ენის უპირატესობები და პროფესიისთვის ახალი შესაძლებლობები, სამი უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტების შეხედულებების შეჯამება:

უპირატესობები	თსუ	თსსუ	კავკასიის უნივერსიტეტი	საშუალო არითმეტიკული
დარგობრივი უცხოური ენა საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებისთვის საინტერესოა და ზრდის მათთვის ენის სწავლის მოტივაციას	4,5%	4,6%	4,9%	4,7%
სტუდენტებს სჭირდებათ დარგობრივი უცხოური ენა	4,6%	4,6%	4,8%	4,7%
მეტი ინტერესი აქვს სტუდენტს ვიდრე ზოგადი უცხოური ენის მიმართ	4,5%	4,8%	4,8%	4,7%
ხელს უწყობს პროფესიულად სწავლას	4,5%	4,6%	4,8%	4,6%
ზოგადი უცხოური ენისა და დარგობრივი ენის	4,5%	4,5%	4,7%	4,6%

სხვაობის ჩვენების შესაძლებლობა				
ავტენტური მასალის გამოყენება	4,7%	5,0%	4,9%	4,9%
კომუნიკაციის შესაძლებლობა საერთაშორისო მიმართულებით	4,3%	4,8%	5%	4,7%
სირთულეები	თსუ	თსსუ	კავკასიის უნივერსიტეტი	საშუალო არითმეტიკული
საბაკალავრო საფეხურზე პირველი სემესტრიდან დარგობრივი უცხოური ენის პროგრამაში ჩართვის უზრუნველყოფა	3,1,%	4,6%	2,7%	3,5%
პროგრამებში უცხოური ენის დარგობრივად გამოყენება ამ კუთხით ხარვეზები	1,4%	2,5%	2,6%	2,2%
სტუდენტების უცხოური ენის დარგობრივად სწავლის სურვილის არქონა	1,9%	1,8%	2,6%	2,1%

ცხრილიდან ჩანს, რომ სტუდენტებმა მნიშვნელოვნად ჩათვალეს მოტიაცია ერთმა გამოკითხულმა სტუდენტმა გამოთქვა აზრი, რომ დარგობრივი ენა სასარგებლო იქნება მისი მომავალი პროფესიული აქტივობებისთვის, ერთმა სტუდენტმა კი აღნიშნა, რომ დარგობრივი უცხოური ენა საუკეთესოა ლექსიკის გამდიდრებისთვის.

I კითხვარი:

ზოგადი ინფორმაცია

უნივერსიტეტი

სპეციალობა

სემესტრი - ა) I ბ) II გ) III

რომელ კლასში დაიწყეთ უცხოური ენის სწავლა?

ა) I კლასში ბ) IV კლასში გ) VII კლასში ან უფრო მაღალ კლასში

თქვენი აზრით საჭიროა თუ არა დარგობრივი უცხოური ენის სწავლება საბაკლავარო საფეხურზე?

ა) დიახ ბ) არა გ) მიჭირს პასუხის გაცემა

უცხოური ენის ლექცია/სემინარზე ვიღებ ჩემი დარგისთვის საჭირო ინფორმაციას საერთაშორისო გამოცდილებას?

ა) კი ბ) არა გ) იშვიათად 4) ხშირად

დარგობრივი ენის მასალა მეტად საინტერესო იქნება, ვიდრე ზოგადი უცხოური ენის მასალა?

ა) კი ბ) არა გ) მიჭირს პასუხის გაცემა

დარგობრივი ენა ავითარებს სწავლის დამოუკიდებლობას, ფოქრობთ რომ ხელს უწყობს მომავალში სწავლის განხორციელებას დარგობრივი კუთხით?

ა) კი ბ) არა გ) მიჭირს პასუხის გაცემა

დარგობრივი ენის ელემენტები უცხოურ ენაზე ძირითადი მიზნებისთვის სასარგებლოა?

ა) კი ბ)არა გ)მიჭირს პასუხის გაცემა

გვითხარით უცხოური ენისა და დარგის ერთობლიობის თქვენეული აზრი:

.....
.....
.....
.....

საჭიროა თუ არა უცხოური ენის გაკვეთილზე დარგობრივი უცხოენოვანი ავთენტური ენისა და მასალების გამოყენება?

ა) კი ბ)არა გ)მიჭირს პასუხის გაცემა

დარგობრივი ენა სასარგებლო იქნება მომავალ პროფესიულ აქტივებებში ლექსიკის გამდიდრებისთვის ?

ა) კი ბ)არა გ)მიჭირს პასუხის გაცემა

რა შეიძლება იყოს თქვენთვის უცხოური ენის ლექციაზე დარგობრივი ენის გამოყენებისთვის სირთულე? თქვენი აზრი, ამ თემასთან დაკავშირებით:

.....
.....
.....
.....

გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები და სურვილები

საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლებასთან დაკავშირებით:

.....

.....

.....

.....

გმადლობთ !

II კითხვარი:

1. რომელ ენას ფლობთ?
2. დღეში რამდენი საათი ეცნობით საკუთარი დარგის შესახებ ინფორმაციას?
3. არის თუ არა თქვენთვის საჭირო ინფორმაცია უცხოურ ენაზე ხელმისაწვდომი?
4. თქვენი აზრით უცხოური ენა რა მიზნებისთვის არის საბაკალავრო საფეხურზე სავალდებულო საგანი?
5. არის თუ არა უნივერსიტეტში უცხოურ ენაზე სწავლისას დარგობრივი ენაზე გამახვილებული ყურადღება?
6. ფიქრობთ თუ არა უნივერსიტეტში საწყის ეტაპზე დარგობრივი უცხოური ენა უკეთ სწავლაში დაგეხმარებათ?
7. რა სახის სირთულეებთან არის დაკავშირებული თქვენთვის უცხოური ენის სწავლა?

8. როგორ ფიქრობთ ახალი სასწავლო მასალა დარგობრივი ენის ელემენტებით ხელს შეუწყობს თქვენთვის ენობრივი უნარ-ჩვევების განვითარებას?
9. უნდა გამოიყენებოდეს თუ არა დარგობრივი ენის ელემენტები უცხოური ენის სწავლებისას საბაკალავრო საფეხრუზე?
10. საკმარისია ორი სემესტრი უცხოური ენა თქვენი ენის განვითარებისთვის?
11. თქვენი აზრით დარგობრივი უცხოური ენა სამაგისტრო თუ საბაკალავრო საფეხურის საგანია?
12. გაქვთ თუ არა უცხოურ ენაზე დარგობრივ საკითხებზე ინფორმაცია?
13. საქართველოში თუ სხვა ქვეყანაში აპირებთ სწავლის გაგრძელებას?
14. რას ისურვებდით რომ ისწავლოთ უცხოურ ენაზე?
15. რამდენად ხშირად აცდენთ ლექციებს?
16. გაცდენის მიზეზი ?
17. რომელი უნარ-ჩვევების განვითარება გასურთ უცხოური ენის სწავლისას (მოსმენა საუბარი, კითხვა,წერა)?
18. არის თუ არა საკმარისი რესურსი თქვენი დარგისთვის უცხოურ ენაზე.

მესამე და მეთხე სემესტრის 72 სტუდენტთან მხოლოდ 47 სტუდენტმა გააკეთა კომენტარი (გარანტირებული ანონიმურობის მიუხედავად), ამ სტუდენტების ძირითადმა ნაწილმა არ წარმოადგინა კრიტიკა, მათ გამოთქვეს შემდეგი კომენტარები და სურვილები:

სტუდენტების კომენტარები:

1. ჩემი დარგისთვის მნიშვნელოვან ენობრივ ელემენტებს ვიძენ- 35%,
2. კომენტარი არ მაქვს - 35%
3. არაფერს შევცვლიდი - 10%
4. უცხოურ ენას მეტი საათი დაეთმოს კვირაში - 50%
5. მეტი პრაქტიკა დარგობრივი უცხოენოვანი ტექსტებით - 60%
6. სასურველია მეტი ინფორმაცია სხვა ქვეყნების გამოცდილების შესახებ - 40%
7. სასურველია უცხოენოვანი ბიბლიოთეკის ხელმისაწვდომობა - 20%
8. უფრო მომთხოვნი სალექციო პროცესი - 20%
9. ტექნიკური ენა, ტერმინები, სპეციალიზებული თემები იყოს სალექციო აქტივობებში - 40%
10. უკეთესი თანამედროვე სახელმძღვანელოები, მეტი კომუნიკაცია და დაილოგი სემინარზე - 30%
11. ტექნიკური რესურსების გამოყენება 40%

კითხვარი სტუდენტებისთვის:

1. როგორ აფასებთ თქვენი უცხოურ ენის ცოდნას დარგობრივი ენის სწავლის მიზნით?
2. გაუმჯობესდა თუ არა თქვენი უცხოური ენის უნარ-ჩვევები საბაკალავრო საფეხურზე გავლილი ორი სემესტრის შემდეგ?

სტუდენტებმა არ დაასახელეს უცხოურ ენაზე უნარ-ჩვევების გარკვეულ დონეზე გაუმჯობესება.

- უცხოური ენის დისციპლინამ ახალი არაფერი შემძინა.

- უცხოური ენა, როგორც დისციპლინა საბაკალავრო საფეხურის დასრულებამდე უნდა იყოს პროგრამაში.

3. რა რესურსებს იყენებთ უცხოური ენის დამოუკიდებლად შესასწავლად?

- სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იყენებენ სახელმძღვანელოებს წასაკითხად, სავარჯიშოდ.

4. თქვენი აზრით დაგეხმარებათ დარგობრივი ელემენტები ეფექტურად ენის სწავლაში ?

სტუდენტი 1: ძალიან დამეხმარება, ბევრ დროს მოითხოვს, მაგრამ ვიცი რომ ს ძალიან კარგად გამოვიყენებ.

რა განსხვავებაა სკოლაში ნასწავლ უცხოურ ენასა და შემდეგ თქვენი შეხედულება საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის ახალ მასალაზე მუშაობასთან დაკავშირებით, სად გამოიყენებთ ნასწავლს?


სტუდენტი 1: ჩემი აზრით ეს არ განსხვავდება იგივეა ლექსიკის და გრამატიკის საკითხებია აქაც გაფასებენ მოსმენის და კითხვის უნარ- ჩვევებისთვის.

5.თვლით თუ არა დარგობრივი ენა მნიშვნელოვანია საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის შესასწავლად?


- საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის გარეშე სწავლა წარმოუდგენელია, მაგრამ რომ დავინტერესდეთ ალბათ ჩვენ პროფესიაზე და მის ფარგლებში უნდა გაკეთდეს აქცენტი.

მიღებული პასუხებით გამოვლინდა, რომ სტუდენტებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ ენის სწავლებისას დარგობრივი ენის ელემენტებისადმი სირთულეში კი დამატებითი რესურსების საკითხებია ნაგულისხმევი.


დიაგრამა 1: რესპოდენტების პასუხებიდან უნდა გაგვეგო დარგის შესახებ ინფორმაციის წყაროები:




დიაგრამა 2: დარგობრივი ენის სწავლება უნივერსიტეტში:




დიაგრამა 3: უცხოური ენის სალექციო კურსის შესახებ დამოკიდებულება:



დიაგრამა 4: უცხოური ენის სალექციო კურსის ფარგლებში დარგის არეალში მოწოდებული ინფორმაცია და დავალებები:



დიაგრამა 5: სტუდენტების აზრი დარგობრივი ენის სწავლების შესახებ:



სტუდენტების უმრავლესობა კმაყოფილია უცხოური ენის პედაგოგით და მისი სწავლების მეთოდებით, მაგრამ დაფიქსირდა მასალების სიმწირის არსებობა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უცხოური ენის პედაგოგებისა და პროგრამის ხელმძღვანელების ინტერვიუ

სამი უნივერსიტეტის საბაკალავრო საფეხურის უცხოური ენის პედაგოგებთან და ფაკულტეტების წარმომადგენლებთან ჩავატარეთ ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუ პირისპირ. ენის პედაგოგების მოსაზრებების გაცნობის მიზნით. გამოიყო შემდეგი საკითხები: საჭირო იყო სპეციფიკური, სიტუაციური შემთხვევის შესწავლა, კვლევის შემდგომი ინსტრუმენტის შერჩევისას თვისებრივ კითხვარზე (ღია კითხვებით) გავაკეთეთ არჩევანი, რაც დაგვეხმარა კომპლექსური საკითხების შესწავლაში. რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის გაცემის საშუალებას მიეცათ. ინტერვიუს კითხვები დებულებების მიხედვით დავაჯგუფეთ. გამოკითხვის მიზანი იყო თავად პედაგოგების და დარგის სპეციალისტების მოსაზრებების გაგება, დარგობრივი უცხოური ენის სწავლების მოდელის შესახებ. რესპონდენტებს უნდა ესაუბრათ ყველა იმ საკითხზე, რომელიც არსებული კვლევისთვის იყო რელევანტური. საკითხები შეეხებოდა უცხოური ენის დარგობრივი ენის შინაარსით სწავლების მიმდინარეობას, სასწავლო პროცესის ორგანიზებას, სასწავლო მასალას, მეთოდებსა და ხერხებს, უცხოური ენის სასწავლო პროცესის ხარისხს, სასწავლო გარემოს შეფასებას და სწავლის შედეგს.

სტრუქტურირებული და ნახევრადსტრუქტურირებული ინტერვიუს დროს, რესპონდენტები პასუხობდნენ ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვებს. ინტერვიუს პასუხებმა შედეგების უფრო იოლად შეჯამების საშუალება მოგვცა. საკითხები შემუშავდა კითხვარების საფუძველზე.

მიღებულ იქნა შემდეგი პასუხები:

1. როგორ აფასებთ თქვენ უნივერსიტეტში დარგობრივი უცხოური ენის სწავლების პროცესს?

გამოკითხულები აფასებდნენ საკუთარ უნივერსიტეტში უცხოური ენის სწავლების საკითხს დადებითად.

2. გაუმჯობესდება თუ არა სტუდენტების აკადემიური მოსწრება დარგობრივი უცხოური ენის სწავლების შეთავაზების შემდეგ საბაკალავრო საფეხურზე?

რესპოდენტთა უმრავლესობამ დაადასტურა საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლების დარგობრივად წარმართვის საჭიროების კავშირი, სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასთან მიმართებაში, გარკვეულ დონეზე გაუმჯობესებისთვის.

რ.1: დარგობრივი ენა, სტუდენტებს დაანახებს უცხო ენის პროფესიულად გამოყენების შესაძლებლობებს.

რ.2: უცხო ენის ხანგრძლივობა სემესტრის მიხედვით გასათვალისწინებელია. შესაძლებელია ზოგადი ენის სალექციო პროცესში დარგობრივი ელემენტების, როგორც დამატებითი დამხმარე საშუალების გამოყენება .

3. იყენებდით თუ არა დარგობრივ სამუშაო მასალას სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, მომავალი პროფესიის მიხედვით უცხოური ენის დარგობრივად შესასწავლად? რატომ (არა)?

რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ იყენებდნენ დამხმარე მასალას, მაგრამ დარგობრივი მიმართულებით და შინაარსით არა. სალექციო აქტივობა, უცხოურ ენაზე ავთენტური მასალების წასაკითხად, ვიდეომასალების საყურებლად, სიმღერების მოსასმენად ხორციელდება.

4. ვინ უნდა ასწავლოს დარგობრივი ენა ენის სპეციალისტმა, თუ შესაძლებელია დარგის სპეციალისტმა (დამატებითი უცხოური ენის ცოდნით)? რატომ (არა)?

რ.7 ახლა უკეთესად იცნობენ დარგის სპეციალისტები პროფესიულ დარგობრივ ენას და პრობლემას არ წარმოადგენს თუ მას დამატებითი პედაგოგიური უნარ-ჩვევებით დარგის სპეციალისტი ასწავლის.

რ.5: თუ არა მაშინ აუცილებელია დარგის სპეციალისტების ჩართულობა და უცხო ენის პედაგოგების გადამზადება, კონკრეტულად დარგობრივი უცხო ენის სწავლებისთვის საჭიროა მოკლევადიანი კურსები თვითონ პედაგოგებისთვის.

5. უფრო ეფექტური იქნება თუ არა დარგობრივი ენის სწავლა-სწავლება საბაკალავრო საფეხურზე ? რატომ (არა)?

რ.8: ეფექტური იქნება როგორც სტუდენტებისთვის ასევე ჩვენთვის პედაგოგებისთვის.

რ.5: ეფექტური იქნება როგორც ფაკულტეტისთვის ისე სტუდენტებისთვის.

რ.4: მოგონაა, რომ ბევრ დროს მოითხოვს, ახლა ვიცი, რომ ისეთი საშუალებები არსებობს, რომელიც შეიძლება ტრანსპორტში, მგზავრობის დროს, სახლის პირობებში გამოიყენონ სტუდენტებმა.

6. გამოცდილებასთან ერთად შეიცვალა თუ არა თქვენი შეხედულება უცხოური ენის სწავლებაზე ენის მიზნობრივად სწავლების თაობაზე? რატომ (არა)?

რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ მათი დამოკიდებულება დროთა განმავლობაში დადებითად იცვლება.

რ.1: რაც დრო გადის საჭირო ხდება პროფესიული უცხო ენა, მოთხოვნაც და ინტერესიც ამას ცხადყოფს.

რ.2: უცხო ენაზე წერა, კითხვა, მოსმენა და ბოლოს კომუნიკაცია, უშუალოდ საუბარი ნაკლებად სტრესული ხდება. გრამატიკული დავალებებიც კი უფრო სახალისო შეიძლება იყოს.

7. თქვენი შეხედულება უცხოური ენის გაკვეთილზე დარგობრივ ახალ მასალაზე მუშაობის სხვადასხვა ეტაპთან დაკავშირებით (პრეზენტაცია, განმტკიცება, შეფასება)?

რ.3: მე მგონი, ლექსიკისა და გრამატიკის პრეზენტაციისთვის არის სასარგებლო და ლექსიკური, გრამატიკული, მოსმენის და კითხვის უნარ-ჩვევების შესაფასებლად არის გამოსადეგი, ყველა ასპექტის და ეტაპისთვის არის ეფექტური.

8. თვლით თუ არა დარგობრივი უცხოური ენის სწავლას მნიშვნელოვან ფაქტორად ენის შესასწავლად? რატომ (არა)?

რესპოდენტების აზრით, ამ დროისთვის ენის შესწავლა ძნელი არ არის, მხოლოდ ერთმა რესპოდენტმა ჩათვალა, რომ დარგობრივი უცხოური ენა არც ისე მნიშვნელოვანია.

9. გქონდათ თუ არა ლექციის დროს პრობლემა აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებით სტუდენტებთან? თუ გქონდათ, დაასახელეთ ის.

რ.5 სერიოზული პრობლემა არ მქონია. ძირითადად ტექნიკური ხასიათის პრობლემები მაქვს და გვაქვს ხოლმე, ინტერნეტი არ ჰქონდა ჩემ რამდენიმე სტუდენტს და ამიტომ საშინაო დაველების შესრულებასთან ექმნებოდათ პრობლემები, რომლებსაც უფრო ხშირად ერთად ვძლევდით.

რ.8 სტუდენტებს არ აქვთ ხალისი ლექციაზე დასწრების დროს და ყოფილა შემთხვევა საერთოდ ახალი მასალა ვერ ამიხსინია.

10. დარგობრივი უცხოური ენის სწავლების, რომელ დადებით და უარყოფით მხარეებს გამოყოფთ?

რ.1 ჩემი აზრით დარგობრივი უცხო ენის სწავლა-სწავლების მთავარი უპირატესობა ენის მიზნობრივი პრაქტიკის შესაძლებლობაა. ის ფაქტი, რომ უცხო ენის გამოყენება მიზნობრივ სიტუაციაში შესაძლებლობაა, ჩემი აზრით საჭირო და დადებითი კუთხით უნდა განვიხილოთ, გარდა ამისა, ლექციებზე ახსნილი მასალა სწავლის პროცესს საინტერესოს ხდის.

რ.3 დარგობრივი ენის სწავლებას უარყოფითი მხარე გააჩნია იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს სათანადო ზოგადი უცხო ენის ცოდნა არ აქვს.

11. თქვენი გამოცდილებით, უცხოური ენის შესწავლისას რომელი აქტივობა ყველაზე ეფექტური?

რ.4 არსებობს მთელი რიგი აქტივობებისა ახლა ძალიან პოპულარულია აპლიკაციებისა, ვიდეო კოლაჟებით სტუდენტების დაინტერესება, ასევე ჯგუფური სამუშაოები არის ძალიან ეფექტური.

რესპოდენტთა პასუხების შეჯამების შემდეგ აღმოჩნდა, რომ სალექციო/სასემინარო პროცესში ყველაზე ხშირი მუშაობა გრამატიკული და ლექსიკური მასალის განმამტკიცებელ სავარჯიშოებზეა აგებული. უსდ-ების წარმომადგენლებს მოსწონთ ის აზრი, რომ მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ კმაყოფილდებოდნენ და მრავალფეროვან დამატებით მასალას (დარგობრივს) ამუშავებდნენ სტუდენტებთან ერთად.

12. ზოგადი უცხოური ენის სწავლისას სასწავლო პროცესი და მასალა კარგად ორგანიზებულია?

რ.1 მიმაჩნია, რომ სასწავლო მასალა კარგად არის ორგანიზებული და აქტივობებიც შედგენილია გეგმის მიხედვით, რაც სტუდენტებს ენის შესწავლაში ეხმარება.

13. რას ფიქრობთ საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლების შეტრიალებულ მოდულზე? (დარგობრივი ენის მასალის დამუშავებაზე და ლექციაზე მის პრაქტიკულ

გამოყენებაზე, სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის თემატურად დაჯგუფებაზე).

რ.2 საბაკალავრო საფეხურზე უცხო ენის შეტრიალებული სწავლება დადებითად შემიძლია შევაფასო, ეს მიდგომა საინტერესო და გადახალისებული იქნება, თუმცა პედაგოგების გადამზადება და მათი მზაობა აუცილებელი კომპონენტია.

რესპოდენტების ნაწილმა, ხსენებული მიდგომა საჭირო და შესაფერისად ჩათვალეს სტუდენტებისთვის. ნაწილს შეტრიალებული მოდულის შესახებ ბუნდოვანი წარმოდგენა შეექმნა.

14. შეაფასეთ უცხოური ენის სალექციო პროცესის დღევანდელი მდგომარეობა.

რ.6 სასწავლო გარემო პოზიტიურად და სასიამოვნოდ შემიძლია შევაფასო. ენების ცენტრის მხრიდან იგრძნობა მხარდაჭერისა და დახმარების მზაობა, სალექციო დრო პრაქტიკულ მუშაობასა და სახალისო აქტივობებს ეთმობა.

15. დაეხმარება სტუდენტებს დარგობრივი უცხოური ენის სწავლების მოდელი დარგის უკეთ გაცნობაში?

რესპონდენტთა უმეტესობამ აღნიშნა, რომ დარგობრივ სფეროში ღირებული ინფორმაცია უცხოურ ენაზე სტუდენტებს ნამდვილად დაეხმარება მიიღონ არსებული მასალების მეშვეობით საერთაშორისო სხვადასხვა ავთენტური ინფორმაცია, რაც მათი ინტერესის გაღვივების საწინდარია.

16. დაეხმარებათ სტუდენტებს დარგობრივი უცხოური ენის სწავლების მოდული ენის დამოუკიდებელი შესწავლის უნარების განვითარებაში?

რ.8 დარგობრივი უცხო ენის კურსი ენის ავტონომიურად შესწავლაში დაეხმარება სტუდენტებს. გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად მოუწევთ მასალის დამოუკიდებლად გაცნობა და სავარჯიშოების შესრულება.

17. ფიქრობთ, რომ უცხოური ენის (საფაკულტეტო ევროპული ენის) სწავლის შედეგი სილაბუსით გათვალისწინებულ შედეგს შეესაბამება?

რ.7 ხანდახან გადაჭარბებაც კი ხდება და გაცილებით მეტი მასალის ათვისება ხორციელდება, ვიდრე სილაბუსშია მითითებული.

რესპოდენტებმა აღნიშნეს, რომ სწავლის შედეგი სილაბუსით გათვალისწინებულ ცოდნის დონეს შეესაბამება, მხოლოდ ხაზი გაუსვეს ზოგადი უცხოური ენის მიღებულ ცოდნას.

ზოგადი უცხოური ენისა და დარგობრივი უცხოური ენის განხილვა პედაგოგების მხრიდან; ფაკულტეტის წარმომადგენლების მოლოდინის განხილვა

18. ისწავლება თუ არა საბაკალავრო საფეხურზე დარგობრივი უცხოური ენა?

რესპოდენტების უმრავლესობისგან მივიღეთ უარყოფითი პასუხი. მხოლოდ თსსუ და თსუ თანამშრომლებისგან, მივიღეთ პასუხი, რომ თუ ისწავლება ისწავლება მაღალ საფეხურზე როგორც არჩევითი საგანი.

19. არის თუ არა მოთხოვნა, სურვილი ან ინტერესი სტუდენტებისგან დარგობრივ ენასთან დაკავშირებით საბაკალავრო საფეხურზე ?

რ.5 აკადემიური მოსწრება იმდენად დაბალია და სტუდენტები სავლადებულო საგანს აღიქვამენ, როგორც კრედიტის მოსაპოვებელ საკითხს რომ არ შემინიშნავს, უფრო მეტი დაინტერესება იკვეთება უცხოური ლიტერატურის მიმართ, ვიდრე დარგობრივი ტექსტების მიმართ.

უმალესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უცხოური ენის პედაგოგებისა და პროგრამის ხელმძღვანელების ინტერვიუ (II ეტაპი)

1.ინტერვიუს შეკითხვა: რომელ საფეხურზეა მიზანშეწონილი უცხოური ენის სწავლებისა და სწავლისას დარგობრივი ენის ელემენტების შეტანა სტუდენტებისთვის?

უნივერსიტეტის პედაგოგის პასუხი:

- ჩემი აზრით, დარგობრივი ენა უნდა გამოიყენებოდეს, როგორც სააუდიტორიო მეცადინეობისას ასევე საშინაო დავალებებთან დაკავშირებითაც. გერმანული ენა თავისუფლად შეიძლება ვასწავლოთ დარგობრივი ენით ვერ გავმიჯნავ ზოგადი ენის ფაქტორს, დარგობრივი ენა უნდა ისწავლებიდეს ზოგადი უცხო ენის სწავლებისას, მაგრამ თუ როგორ უნდა შეიტანო როგორც პედაგოგმა დარგობრივი ენა ენობრივ ასპექტებთან და უნარ-ჩვევებთან დაკავშირებით, როდესაც სტუდენტების მიერ ნაკლებ გააზრებულია თვითონ დარგი, ეს გზა არის შესასწავლი. ხანდახან არის რომ სტუდენტს მოსვლისთანავე არ სურს იმ სპეციალობაზე სწავლა.

პროგრამის ხელმძღვანელის პასუხი:

- ვფიქრობ რომ შესაძლებელია ნებისმიერ დროს საბაკალავრო საფეხურზე, თუმცა ვაწყდებით გადამზადებისა და თანამშრომლობის პრობლემას, ამ შემთხვევაში ყველა დარგის სპეციალისტს ერთი ენის სპეციალისტთან უნდა თანამშრომლობდეს შემდეგ კი ინიციატივას და მიზანს საფაკულტეტოდ ვაცნობდეთ.

2.ინტერვიუს შეკითხვა: გაქვთ თუ არა უცხოური ენის საბაზისო ენის გარდა დარგობრივი ენის სწავლების გამოცდილება, გქონიათ თუ არა დარგობრივი ენის სწავლებისთვის ელემენტების შემუშავების სურვილი და საშუალება დარგის სპეციალისტებთან ერთად?

პედაგოგის პასუხი:

- საკუთარი სურვილით მაქვს ტრენინგი ტექნიკური ენის სწავლებისთვის გავლილი, სემინარებით და თვითშემეცნებით ვახერხებ გარკვეული დარგის ტექსტებისა და ინფორმაციის დამუშავებას.

3.ინტერვიუს შეკითხვა: არის თუ არა საკმარისი სასწავლო მასალა პედაგოგებისთვის, რომ სხვადასხვა დარგის სპეციალისტებს ენის კურსში დარგობრივი ენის ელემენტები შეუთავსონ და რა წყაროებია საჭირო ზემოაღნიშნულის განხორციელებისთვის?

პედაგოგის პასუხი :

- ჩვენ ვიყენებთ სასწავლო მასალების შემდეგ ტიპებს: გაზეთებს, ჟურნალებს, ელექტრონულ ჟურნალ-გაზეთებს და სტატიებს. სტუდენტებს ენის ცოდნა უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებისას, უკვე აქვთ. თუ სტუდენტს აქვს ერთიანი ეროვნული გამოცდების ფარგლებში ჩაბარებული სავალდებულო საგანი უცხო ენა, ნიშნავს, რომ მას აქვს საფუძველი ენის ფლობისა. შესაბამისად ჩვენ შეგვიძლია დარგობრივი მასალები სააუდიტორიო მეცადინეობის დროს გამოვიყენოთ. რაც შეეხება თანამშრომლობას, ამის გამოცდილება აქმდე არ მქონია, იმედი მაქვს მომავლაში ამ საკითხზე გამახვილდება ყურადღება და მართლაც გამოვა უცხოური ენა ინტერდისციპლინარული საბაკალავრო საფეხურზე.

4.ინტერვიუს შეკითხვა: როგორია პროგრამის შედგენის დროს უცხოური დისციპლინისადმი დამოკიდებულება, მოლოდინი და მიზანი?

ენების ცენტრის ხელმძღვანელის პასუხი:

- დარგობრივი ენის ელემენტების განხორციელების ხერხები ჯერ არ გვაქვს მკაფიოდ წარმოდგენილი, თუმცა ვფიქრობ დარგობრივი ენის მასალის სტუდენტებისთვის შეთავაზება, დამატებითი რესურსების გამოყენებით თავისუფლად შესაძლებელია. ამ დრომდე ჩვენ უცხოური ენის დისციპლინა ამ კუთხით არ განგვიხილია საბაკალავრო საფეხურზე, თუმცა ვთვლი სტუდენტების დაინტერესება ამ კუთხით შეიძლება.

პროგრამის ხელმძღვანელები დადებითად უყურებენ დარგობრივი ენის სწავლების ელემენტების ჩართვას სალექციო პროცესში.

5.ინტერვიუს შეკითხვა: აქვთ თუ არა უცხოური ენის პედაგოგებს ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრამდე დარგთან დაკავშირებული ინფორმაცია ან რაიმე სახის ტრენინგი გავლილი ?

ენების ცენტრის ხელმძღვანელის პასუხი:

- ჩვენი სილაბუსი ერთიანი სტანდარტებით არის შედგენილი. საბაკალავრო საფეხურის პირველკურსელ სტუდენტებს აქვთ უცხო ენის ცოდნის საშუალო ან მაღალი წინასწარი ცოდნა, ჩვენი მუშაობა გამიზნულია უნარების გასავითარებლად. ყურადღებას ვამახვილებთ კითხვის, მოსმენის, თარგმნის, წერისა და საუბრის უნარებზე. სალექციო პროცესის დროს პედაგოგებო იყენებენ ყველა ტიპის ტექსტებს, როგორც მეცნიერულს, ისე ზოგადი ენის შემსწავლელ სახელმძღვანელოებს, წარმოდგენილი ტექსტები შესაძლოა არ იყოს დარგობრივი/სპეციალიზებული ტექსტები (მაგალითად პირველ სემესტრში).

პასუხიდან გამომდინარე წარმოიშვა კითხვა შეუძლია თუ არა უცხოური ენის პედაგოგს მონაწილეობა მიიღოს დარგობრივ დისკუსიაში, რაზეც ენების ცენტრის ხელმძღვანელის მხრიდან მტკიცე პასუხი მივიღეთ:

- უპრობლემოდ.

ინტერვიუს დროს დადებითი დამოკიდებულება გამოვლინდა საბაკალავრო საფეხურზე დარგობრივი ენის სწავლების სტილთან დაკავშირებით, ტექნიკური კომუნიკაციის საშუალებებზე, მიზანზე ორიენტაციასა და უცხოური ენის პრაქტიკულ აქტუალობაზე.

6. ინტერვიუს შეკითხვა: რამდენად შესაძლებელია დარგობრივი ენის ელემენტების შეთავსება უცხოური ენის სწავლების დროს, ფიქრობთ თუ არა რომ დარგობრივი ენის ელემენტები ენის უკეთ სწავლას უწყობს ხელს? (უცხოური ენის პედაგოგებთან ინტერვიუს მიზანი იყო უცხოური ენის სწავლების დარგობრივი ენის სპეციფიკასთან შეთავსების საკითხი).

პედაგოგის პასუხი (სსუ):

- ჩვენი უნვერსიტეტი ამ ხრივ სრულად მობილიზებულია, გარდა საკუთარი მიზნებისა და სპეციფიური ტერმინოლოგიისა, დიდი რაოდენობით უცხოენოვანი სტუდენტების ნაკადი გვყავს, ეს დამატებითი მოტივაციაა ენის სპეციალისტებისთვის და ასევე ვალდებულებაში გადასული წესი.

პედაგოგის პასუხი (კ.უ.):

- ჩვენ უნივერსიტეტში უცხოური ენის სწავლებისას ზოგადად არ არის დარგობრივი ენის ელემენტები შეტანილი. აქცენტი ზოგადი ენის სწავლებაზეა, თუმცა სტუდენტებს შეუძლიათ მაგალითად: „ეკონომიკური უცხო ენა“ არიჩონ ეს მათ სასწავლო პროგრამით გათვალსიწინებულ საგნების ჩამონათვალშია და მას სპეციალური მოწვეული პდაგოგები ასწავლიან. ზემოაღნიშნულის პრაქტიკა საბაკალავრო საფეხურზე ნაკლებად, მეტად სამაგისტრო საფეხურზე გვაქვს.

აღსანიშნავია, რომ უმაღლეს სასწავლებლებში დარგის ენას არა ენის ფილოლოგი, არამედ პროფესიონალი დარგის სპეციალისტი ასწავლის. ეს ვითარებაა ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდულ ფაკულტეტზე, ჩვენი ინტერვიუს ფარგლებში მსგავსი ასპექტის გამოვლენა, კარგი მაგალითი გახდა ჩვენი კვლევისთვის.

7.ინტერვიუს შეკითხვა: შესაძლებელია თუ არა მეორე ენა დარგობრივი ელემენტებით არა მხოლოდ უცხოური ენის ფილოლოგმა/ პედაგოგმა, არამედ დარგის სპეციალისტმა ენობრივი მაღალი უნარებით ასწავლოს უცხოური ენა?

პროგრამის ხელმძღვანელის პასუხი:

- ჩვენი გამოცდილებით შესაძლებელია, აღსანიშნავია რომ უსდ-ებს არ გააჩნია დარგობრივი ენის სწავლების სავალდებულო საერთო საფაკულტეტო კონცეფცია, მიუხედავად ამისა საგნობრივი კუთხით კომპეტენციებისადმი ინტერესი დიდია. ზოგი ფიქრობს, რომ დარგის საელქციო კურსის ფარგლებში თავისუფლად შესაძლებელია დარგის ტერმინების ცოდნის გარეშე ტექნიკური ლექსიკის შეტანა. ზოგი თვლის, რომ დარგობრივი ენის ტერმინოლოგიისა ტექსტებისა და ინფორმაციის სწავლება მნიშვნელოვანია. უცხოური ენის სწავლება ერთმნიშვნელოვნად საბაკალავრო საფეხურზე მხოლოდ სპეციალიზირებული ტერმინოლოგიით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. თუ სპეციალისტი ფლობს ენას თავისუფლად შეუძლია დარგზე ორიენტაციით ასწავლოს. კავკასიის უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ისწავლება (არჩევითი საგნები) ბიზნეს გერმანული, ბიზნეს ინგლისური, თუმცა სალექციო კურსს რამდენიმე წელია უძღვება ფაკულტეტის კურსდამთავრებული პროფესიით ეკონომისტი, რომელიც უცხო ენის ლექციას

თითქმის დარგის გაკვეთილად, ენისა და საგნის ერთდროულად სწავლებად აერთიანებს.

8.ინტერვიუს შეკითხვა: როგორ ხორციელდება იურიდიული გემანულის სალექციო გეგმა?

პედაგოგის პასუხი(თსუ):

- თეორიული ცოდნისა და მისი გამოყენების 45 წუთიან სალექციო/სასემინარო პროცესში საკმარისი აქტივობების მეშვეობით, სამუშაოს შესრულების მიზანზე ორიენტაციით. სტუდენტებს ჯგუფებად ვყოფთ ჯგუფში საშუალო და მაღალი შედეგების დონის მქონე სტუდენტები ლექციის დაგეგმვისას რამდენიმე ამოცანით ხელმძღვანელობთ. ფოკუსს ვაკეთებთ კონკრეტულ სასწავლო მიზანზე, ვარჩევთ სასწავლო მასალას და ვიყენებთ არჩეულ მასალას - ამ ამოცანებისთვის ზოგადი ენის მასალა და ინფორმაცია ერთ კონტექსტშია ორიენტირებული. „სალექციო კურსის კონტექსტზე ორიენტაციისთვის სწავლების რეალისტურ და ეფექტურ პრინციპებს ვეყრდნობით, დღის წესრიგის დაგეგმვისას მთავარი აქცენტი კეთდება სტუდენტებზე, რაც ნიშნავს, რომ სალექციო პროცესი გეგმის მიღმა მოქნილი და მოდიფიცირებულია. პირველ წელს ტარდება გერმანული ენის ზოგადი კურსი, ხოლო მეორე წლიდან გერმანული ენა იძენს საგნობრივ ხასიათს, ძირითადად გერმანული სახელმძღვანელოებითა და შემდგომ საგნებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოებით.

9.ინტერვიუს შეკითხვა: რა სახის სირთულეებთან არის დაკავშირებული დარგობრივი ენის ელემენტები სწავლისა და სწავლების პროცესში?

პედაგოგის პასუხი (კ.უ.):

- ჩვენ გვაქვს ძირითად პროფესიული გამოცდილება დარგობრივი ენისა და დარგობრივი ენის სწავლების. თითოეული დარგისთვის ძირითადი სახელმძღვანელოს პრობლემას ვაწყდებით, თუმცა ერთდროულად ვიყენებთ რამდენიმე დამატებით რესურსს, როგორც გერმანულ, ასევე ინგლიურ ენაზე. სასურველია ზოგადენოვანი სწავლა, რადგან ხშირად სტუდენტებს არ აქვთ შესაფერისი დადებითი რეაქცია დარგობრივ ტექსტებზე და მასალებზე. ავთენტურ ტექსტებზე მუშაობისას

სტუდენტები ვერ ახერხებენ კონცენტრაციას უცხო ენაზე და მათთვის (საწყის ეტაპზე) რიგი სალექციო აქტივობა დაბრკოლებას წარმოადგენს. კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის რამდენიმე პროგრამაზე უცხო ენის პედაგოგი ასწავლის საქმიან უცხო ენას, თითქმის ექსკლუზიური სასწავლო მასალით, მაგრამ არა ერთი სახელმძღვანელოთი. ეკონომიკისა და სამართლის სტუდენტებისთვის უცხო ენაზე, ზოგადი ენის კურსი ორი სემესტრი ტარდება.

პედაგოგის პასუხი (თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი გერმანული ფილოლოგიის მიმართულება):

- საბაკალავრო საფეხურზე უცხო ენის სწავლებისას ვერ ვუწოდებთ დარგობრივი ენის გაკვეთილებს, რადგან სტუდენტებს თავიდანვე არ აქვთ წინასწარი ცოდნა საგნის ან უცხო ენის შესახებ, მჭიდრო დრო კი არ აძლევს საშუალებას სალექციო პროცესი ასე შორს წავიდეს და დავიწროვედეს.

პედაგოგის პასუხი (სსუ):

- ვასწავლით უცხო ენას ზოგადი ენის კურსის ფარგლებში, მოგვიანებით კი ხდება საგნობრივი ტერმინოლოგიისა და კონტექსტუალური შინაარსის კურსის გაგრძელება რისი წინაპირობაც უცხო ენის წინარე ცოდნაა. სტუდენტი თუ ფლობს საგანს მაშინ ის მოკლე დროში დაეუფლება დარგობრივი ენას.

ინტერვიუს დროს გამოვლინდა პედაგოგებისა და ფაკულტეტის წარმომადგენლების დადებითი დამოკიდებულება ენის სწავლებისას დარგობრივი ელემენტების გამოყენებისადმი. სირთულეები განსაკუთრებით ადამინური რესურსების სიმწირესთან დაკავშირებით და დროის სემესტრული გადანაწილების საკითხებთან დაკავშირებით შეიმჩნევა. ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უცხოური ენის პედაგოგები უცხოური ენის მოდულს, როგორც ზოგადი ენის სწავლების მოდულს განიხილავენ. ინტერვიუმ დაადასტურა ჩვენი ვარაუდები, დადებითი დამოკიდებულება გამოჩნდა დარგობრივი ენის სწავლების კატეგორიებთან როგორც არის, ტექნიკური კომუნიკაციის საშუალებები, მიზანზე ორიენტაცია, პრაქტიკული აქტუალობა. აღსანიშნავია, რომ კერძო უმაღლეს სასწავლებელში დარგობრივ ენას არა უცხოური ენის ფილოლოგი, არამედ დარგის სპეციალისტი ასწავლის, მსგავსი ვითარებაა, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, ჩვენი ინტერვიუს

ფარგლებში მსგავსი ასპექტის გამოვლენა, კარგი მაგალითი გახდა ჩვენი კვლევისთვის. უცხოური ენის პედაგოგებს ვთხოვეთ დაესახელებინათ სახელმძღვანელოები, რომლითაც ისინი ასწავლიდნენ. ყველაზე ხშიარად საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის საბაზო საფეხურის სახელმძღვანელოებია გამოყენებული.

დარგობრივი უცხოური ენის სწავლებასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე, თუ რომელ სემესტრში იწყება უცხოური ენის დარგობრივი ელემენტებით სწავლება, პასუხებიდან აღმოჩნდა, რომ ან საერთოდ არ ისწავლება და თუ კი ისწავლება დარგობრივი უცხოური ენა გამოყოფილი არჩევითი საგანია IV და V სემესტრის სტუდენტებისთვის (იმ შემთვევაში, თუ წინაპირობა უცხოური ენა (10 კრედიტი) გავლილი აქვთ სტუდენტებს).

ინტერვიუს პასუხებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ფაკულტეტის წარმომადგენლები და უცხოური ენის პედაგოგები საჭიროდ მიიჩნევენ დარგობრივი ენის სწავლებას. ფაკულტეტის წარმომადგენლები და ენის პედაგოგები თვლიან, რომ დარგობრივი შინაარსის უცხოური ენის სავარჯიშოების რაოდენობა, არ არის საკმარისი და ადამიანური რესურსის გადამზადებაა საჭირო. „ვთვლით, რომ ფაკულტეტის წარმომადგენლებსა და უცხო ენის პედაგოგებს შორის მჭიდრო თანამშრომლობაა საჭირო, რაც უცხო ენის სალექციო პროცესს მრავალეფროვანს გახდის, დარგობრივ შინაარსს შესძენს“. რესპოდენტების ნაწილი, თვლის, რომ საკმარისი რაოდენობითაა მოცემული ზოგადი უცხოური ენის სავარჯიშოები, ამას ასაბუთებენ, მათ მიერ გამოყენებული სახელმძღვანელოებით, რომლებსაც ისინი განიხილავენ მოსწავლეებთან სწავლის პროცესში. გამოკითხული პედაგოგები გამოთქვავენ სურვილს, რომ მოცემული იყოს სპეციალობასთან და მის სპეციფიკურ ენასთან დაკავშირებული მეტი სავარჯიშო და მეტი დრო დაეთმოს უცხოურ ენას. ინტერვიუს შედეგებმა, გვიჩვენა, რომ არ არის შეკრული მეთოდური ჯაჭვი, რადგან თუ პედაგოგი ასწავლის საბაკალავრო საფეხურის სტუდენტებს ზოგად უცხოურ ენას და შემდეგ იღებს გარკვეულ შედეგებს, არ ნიშნავს რომ სტუდენტებმა საბაკალავრო საფეხურზე შეისწავლეს უცხოური ენა მიზანმიმართულად.

შედეგების ანალიზი, დასკვნა და რეკომენდაციები (მოდელის შემუშავება)

შედეგების ანალიზი და დისკუსია

დარგობრივი ენის სწავლების თეორია ენის სწავლების თეორიის ნაწილია. ენის სწავლების თეორიისთვის ფუნდამენტურად გვესახება დებულება, რომ ყველაფერი, რაც ტრადიციული შეხედულებით ენის სწავლების მეთოდების ძირითად მახასიათებლებად ითვლება, არა მხოლოდ სიტუაციური მიდგომის და ენის კომპეტენციის ჩარჩოა, არამედ სოციალური საფუძველიც აქვს და ენის საჭიროებისამებრ სწავლა-სწავლებას ემსახურება. სწავლების პროცესში გასწავლებული მეთოდები სხვადასხვა ზეგავლენით იგება და სწავლების თანამედროვე მიდგომებისა და მეთოდების მოდელების პირნციპად მიიჩნევა. უცხოური ენის დარგობრივი ელემენტებით სწავლების სტილის შემუშავებისთვის დავისახეთ შემდეგი ამოცანები, უცხოენოვანი დარგობრივი ენის სწავლების მოდელის ანალიზი, საქართველოში სამ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უცხოური ენის პრაქტიკის ანალიზი და სტუდენტების მოლოდინების გაცნობა, რის საფუძველზეც რეკომენდაციები შევიმუშავეთ. ნაშრომში წარმოდგენილი მონაცემები ხელს შეუწყობს პროფესიული საჭიროებებისთვის უცხოური ენის სწავლებისა და სწავლის პრობლემების გაცნობიერებას, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უცხოური ენის დარგობრივი სპეციფიკის განვითარებასა და პრაქტიკის დანერგვას.

ამ მიზნების შესასრულებლად შემდეგი პრაქტიკული ამოცანების გადაჭრა გადავწყვიტეთ:

- დარგობრივი ენის სწავლების კვლევისთვის საჭირო ცნებების დაზუსტება;
- დარგობრივი ენის თეორიული მიდგომების განხილვა და შესატყვისი კონცეპტუალური ჩარჩოს ჩამოყალიბება;
- ზოგადი უცხოური ენის მოდელის დარგობრივ უცხო ენასთან მიმართება;
- დარგობრივი ენის სწავლების საკითხის საბაკალავრო საფეხურზე განხილვა;

დავახასიათეთ დარგობრივი უცხოური ენა გერმანული ენის მაგალითზე, ტექნიკური ენის მახასიათებლები და მისი განვითარება გერმანულენოვან ქვეყნებში. დარგობრივი ენის არეალში შევისწავლეთ სხვადასხვა თეორიები და დავამატეთ ტექნიკური ტექსტებისა და სახელმძღვანელოების განხილვის საკითხები; განვიხილეთ ლექსიკონებისა და უცხოური სიტყვების მნიშვნელობა ტექნიკურ ენაში. აღვწერეთ გერმანულენოვან ქვეყნებში შემუშავებული სახელმძღვანელოების განვითარებისა და გამოყენების გამოცდილება, პრაქტიკულ ნაწილში ყურადღება გავამახვილეთ დამხმარე მასალაზე, მის მოპოვებასა და დამუშავებაზე; წარმოვადგინეთ ლექსიკური ერთეულების განვითარების ტენდენციები, ყურადღება დავუთმეთ, გერმანულ და ქართულ ენებში დარგობრივ კონსტრუქციებს. ცალკე გამოვყავით გერმანულენოვან უნივერსტიტეტებში გავრცელებული მიდგომები. ასევე გავაანალიზეთ ენობრივი და გრამატიკული სირთულეები, რაც თავს იჩენს დარგობრივ ტექსტებზე მუშაობისას; ზოგადი უცხოური ენის პარალელურად, საბაზო ტერმინებიდან ვლინდება და ფორმირდება დარგობრივი ტერმინები, ლექსიკური ერთეულები, რომლებიც შემდგომში თავის ადგილს იკავებს ენაში: მედიცინის, ეკონომიკის, ბიზნესის და ურიდიული შინაარსით.

ჩანაწერებისა და კითხვარის განხილვისას კვლევისთვის საინტერესო საკითხები დავაჯგუფეთ და შევაჯამეთ. საბოლოო შედეგებს კი დასკვნისა და რეკომენდაციების სახით წარმოგიდგენთ.

დასკვნები

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის სწავლების არსებული პრაქტიკის შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ უსდ-ებში საბაკალავრო საფეხურზე დარგობრივი უცხოური ენის სწავლისა და სწავლების მიმართ სტუდენტებში, უცხოური ენის პედაგოგებსა და პროგრამის ხელმძღვანელებში დადებითი დამოკიდებულებაა.

უსდ-ები არ ფლობენ ინფორმაციას იმ ხერხებისა და საშუალებების შესახებ, რომლებიც უკავშირდება საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის დარგობრივი ელემენტებით სწავლებას პირველივე სემესტრში. ამის გამო, უცხოური ენა ისწავლება, როგორც ზოგადი უცხოური ენა.

საზღვარგარეთ მრავალი კვლევაა ჩატარებული, რომლებიც დარგობრივი ენის ეფექტიან სწავლებას ეხება (WeDaF 2014). გერმანულენოვანი კვლევები ადასტურებს, რომ დარგობრივი ენის სწავლებისას იზრდება სტუდენტების მიერ გერმანული ენის ფლობის კომპეტენცია. მსგავსი შედეგებია მიღებული ასევე ავსტრიასა და შვეიცარიაში. კვლევის მასშტაბის შეზღუდულობის მიუხედავად შესაძლებელია, რომ მიღებული შედეგები დარგობრივი უცხოური ენის განხილვისა და პრობლემების ანალიზის საფუძველზე განვაზოგადოთ.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ დარგობრივი ელემენტები წარმოადგენენ ზოგადი ენის ქვესისტემას, რომელიც არ ექვემდებარება როგორც ლიტერატურული, ისე ზოგადი ენის ნორმებს და საჭიროებს სპეციფიკურ მიდგომას. ჩვენი კვლევის მთავარი მიმართულება აყენებს საკითხს, თუ როგორ შევთავაზოთ სტუდენტებს უცხოური ენის სწავლება საბაკალავრო საფეხურზე. გარკვეული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, რომელთა დადგენა წარმოდგენილი თეორიული მასალის საფუძველზე მოვახდინეთ დარგობრივ ტექსტებთან კავშირის სტრატეგიებით, როგორცაა კითხვისა და ტექსტის წარმოების სტრატეგია და დისკუსიის წარმართვის ტექნიკის უნარები, სტუდენტებს საშუალება ეძლევათ სწავლა სხვადასხვა ქვეყნებში გააგრძელონ.

გამოკითხულ პედაგოგთა ნახევარზე მეტი უცხოური ენის სახელმძღვანელოებს განიხილავს სალექციო კურსის ფარგლებში ჩასატარებელი სამუშაოს მთავარ

ინსტრუმენტად. თუმცა პედაგოგთა ნაწილი სხვა მედია საშუალებებსაც იყენებს. ასეთ მიდგომას ორი მიზეზი აქვს - ზოგჯერ მედია საშუალებები ხელმისაწვდომი არ არის ან სტუდენტები არ არიან საწყის ეტაპზე საკმარისად უცხოურ ენაში გაწაფულები.

დარგობრივი ენის სწავლების კონტექსტი, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე პედაგოგებისთვის, არსებულ პირობებში, მრავალ სირთულეს უკავშირდება: უსდების მხრიდან არასაკმარისი მზაობა რესურსებისა და პედაგოგების გადამზადების კუთხით. რა თქმა უნდა, წარმოდგენილი ინტერვიუების თვისებრივი კვლევები განზოგადებისთვის არასაკმარისია. თუმცა მონაწილეების შერჩევის და კვლევის მოცულობის გამო კვლევის შედეგების განზოგადება გამართლებულად მიგვაჩნია.

აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ შედეგები რეპრეზენტატიულია და საბაკალავრო საფეხურზე დარგობრივი ენის სწავლების საერთო მდგომარეობის შესახებ მსჯელობის საშუალებას იძლევა.

დარგობრივი ენის სწავლების პროცესი მხოლოდ პრაქტიკული სტილითა და შინაარსით განსხვავდება ტრადიციული ენის კურსის სწავლა-სწავლებისაგან. დარგობრივი ენის სწავლება, გერმანულენოვან უნივერსიტეტებში, ენების ცენტრის პრაქტიკიდან გამომდინარე, უპირატესობას ანიჭებს სტუდენტის ინტერესებს დარგობრივი კუთხით. საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ დარგობრივი ენის სწავლისადმი ინტერესი იზრდება.

უმაღლესი სასწავლებლის საბაკალავრო საფეხურის სასწავლო გეგმაში დარგობრივი ენის საწვლების საკითხების შეტანა ხელს შეუწყობს უცხოური ენის უკეთ შესწავლასა და სტუდენტებისთვის უცხოური ენის მოდული სიახლე იქნება. გერმანული ენის მაგალითზე რეალიზებულმა სამუშაოებმა დარგობრივი ენის სწავლების შინაარსით, გამოავლინა დადებითი შედეგები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, როგორც პედაგოგიურ პრაქტიკაში, ისე სტუდენტების წარმატებაში. შედეგებიდან გამჟღავნდა, საბაკალავრო საფეხურზე პირველი სემესტრიდან დარგობრივი უცხოური ენის პროგრამაში ჩართვის უზრუნველყოფა მიზანშეწონილია. კვლევის საფუძველზე მიღებული დასკვნები დადებით როლს შეასრულებს საბაკალავრო საფეხურზე უცხოური ენის, როგორც სავალდებულო ევროპული ენის შემდგომ განვითარებასა და დახვეწაზე.

რეკომენდაციები

ჩვენს ნაშრომში განხილული ზოგადი უცხოური ენის მახასიათებლები, რომლებიც გარკვეულწილად უკავშირდება უცხოური ენის სწავლის პროცესს, საჭიროებს სათანადო კვალიფიკაციას დარგობრივი კუთხით. მიგვაჩნია, რომ დარგობრივი ენის სწავლებასთან დაკავშირებული მიდგომები უნდა შემუშავდეს, როგორც ენის სპეციალისტების, ისე დარგის სპეციალისტების ჩართულობით. ამ კუთხით უცხოური ენის საბაკალავრო საფეხურზე სწავლების ამოცანებისა და მიზნების პოტენციური შესრულების პროცესში, აუცილებელია სწორი ხერხების შერჩევა, რათა უცხოურ ენაზე მოცემულმა დამხმარე მასალამ, ხელი შეუწყოს სამომავლო შედეგებს. მნიშვნელოვანია უცხოური დარგობრივი ენის ტერმინების მშობლიურ ენაზე გადამოწმება და დარგის სპეციალისტთან, ენობრივი სიზუსტის დაცვა. უცხოური ენის მოდულში დარგობრივი ენის ელემენტების შემოღების მუშაობის პროცესში გასათვალისწინებელია ტექსტებისა და სახელმძღვანელოების სიღრმისეული გაცნობა. გარდა ამისა გამოიკვეთა საჭიროება ფაკულტეტის პროგრამის ხელმძღვანელებისა და ენების ცენტრის წარმომადგენლების მჭირდრო თანამშრომლობისა.

საქართველოში უცხოური ენის შემსწავლელი კვლევების უმეტესობა ჩატარებულია ენათმეცნიერების მიერ და მათი შემუშავებული გარკვეული რეკომენდაციები, გასათვალისწინებელია ენის სწავლებისას. გამომდინარე, იქიდან რომ, დარგობრივი ენის სწავლების საკითხები საქართველოში არასათანადოდაა შესწავლილი, იკვეთება ამ მიმართულებით ჩასატარებელი კვლევების აუცილებლობა;

საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დარგობრივი უცხოური ენის სწავლებასთან დაკავშირებული კვლევები ერთგვარ სიახლს წარმოადგენს, მაგრამ აუცილებელია კვლევებში წარმოდგენილი ცვლილებების სისტემატიზაცია და ახალი კანონზომიერებების შემოღება.

კვლევის შედეგები, განამტკიცებს აზრს, დარგობრივი უცხოური ენის სწავლების ქართულ რეალობაში ადაპტირებისთვის უპირატესობის შესახებ. ზოგადი უცხოური

ენის სწავლების ფორმებთან მიმართებაში. დარგობრივი ენა პროფესიისთვის მიზანმიმართული სასწავლო საშუალებაა, რომელიც ხელს შეუწყობს სტუდენტების პოზიტიური გარემოსა და თანაბარი სასწავლო პირობების შექმნას. დარგობრივი უცხოური ენის მოდულის საბაკალავრო საფეხურზე სწავლებისა და სწავლის მთავარი უპირატესობა სასწავლო სივრცის გაფართოებაა. უცხოური ენის სწავლების ამგვარი სტილი სტუდენტებს მრავალფეროვანი და სანდო მასალიდან არჩევანის გაკეთებისა და ენასთან პროფესიულად დაახლოების საშუალებას მისცემს. სალექციო პროცესი იმგვარად უნდა მოვაწყოთ, რომ სტუდენტებს სირთულედ არ მოეჩვენოთ. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასწავლო მასალისა და პროცესის ორგანიზება ისეთი ფაქტორების გათვალისწინებითაა საჭირო, როგორებიცაა სტუდენტთა მზაობა დარგობრივი ენის შესწავლისათვის და მათი მოლოდინი ენის ათვისებისას. დარგობრივი შინაარსის აქტივობები ისე უნდა შეირჩეს და განაწილდეს, რომ ნებისმიერი სტუდენტის ინტერესებს მოერგოს.

იმისათვის, რომ დარგობრივი ენის ელემენტები საბაკალავრო საფეხურზე პირველი სემესტრიდან ისწავლებოდეს და უცხოური ენის სწავლისა და სწავლების ხარისხი გაიზარდოს, სასურველია:


- უნივერსიტეტის პედაგოგებმა და პროგრამის ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ სტუდენტების (რომლებიც უცხოურ ენას, როგორც საფაკულტეტო დისციპლინას შეისწავლიან) პოტენციური მოლოდინები.
- დასამკვიდრებელია პროგრამის ხელმძღვანელებისა და უცხოური ენის პედაგოგების მჭიდრო თანამშრომლობა;
- სისტემატიზაციაში მოსაყვანია სათანადო დარგობრივი ენის ფარგლებში პირობების გამართულობა: უცხოური ენის მასწავლებლების გადამზადება დარგობრივი ენის განათლების კონტექსტში;
- საჭიროა საბაკალავრო კურიკულუმის ფორმატის გაფართოება უცხოური ენის დარგობრივი ენის ელემენტების კონცეფციის ქრილში, რაც სტუდენტებისთვის უცხოური ენის კომპეტენციის მიზნობრივ და ეფექტიან სწავლა-სწავლებას გულისხმობს.

ნაშრომში გამოკვეთილი რეკომენდაციები საშუალებას მოგვცემს მომავალ კვლევებში კიდევ უფრო დავხვეწოთ ენისა და დარგის სპეციალისტებთან ერთობლივი თანამშრომლობით, საბაკალავრო საფეხურზე დარგზე ორიენტირებული უცხოური ენის სწავლების სისტემატიზაცია. ამ ფორმის თანამშრომლობა თავის მხრივ ხელს შეუწყობს, საერთაშორისო საქმიანობის განხორციელებას, რომლის შესრულების წინაპირობა საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტების ჩართულობაა.

და ბოლოს ემპირიული და თვისებრივი კვლევებიდან მიღებული დასკვნები შეიძლება გახდეს დარგების მიხედვით, უცხოური ენის პედაგოგების დიდაქტიკური ტრენინგის საფუძველი. დარგობრივი ტექსტების დამუშავება და სპეციფიკური ტერმინების სწავლა შეიძლება იქნას განხილული, როგორც საუნივერსიტეტო დიდაქტიკური სემინარები, პედაგოგების გადამზადების კურსებზე, ცალკეული მოთხოვნებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე.

ჩატარებულმა თეორიულმა და კვლევითმა ნაწილმა საშუალება მოგვცა შეგვემუშავებინა პრაქტიკული დარგობრივი ენის სწავლების მოდელი საბაკალავრო საფეხურზე.

დიაგრამა 6:



გამოყენებული და მითითებული ლიტერატურის სია:

1. ალხაზიშვილი, არჩილ; რედ. ვახანია,ზ.,ე ენების სწავლება-თეორია და პრაქტიკა, (2009)
2. შავერდაშვილი, ეკატერინე, ფიცხელაური ნინო, რამიშვილი, (2014). უცხოური ენების სწავლების საფუძვლები. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. ლებანიძე, გ. 1997. „კომუნიკაციური ლინგვისტიკა ენა და კულტურა“ .
4. რამიშვილი გ. 1978. „ენის ენერგეტული თეორიის საკითხები“, გამომცემლობა განათლება.
5. Sippel, Vera A. (2003): Ganzheitliches Lernen im Rahmen der Simulation. Grundlagen – Erfahrungen – Anregungen, *Gießener Beiträge zur Fremdsprachendidaktik*. 2003.
6. DUDEN. 2012. *Redensarten* Mannheim, Wien, Zürich.
7. FLUCK, H. R. 1979. *Einführung in die Fachsprachen und Didaktik*. Heidelberg: DTP, S.
8. HOFFMANN, L. 1996. *Kommunikationsmittel Fachsprache. Eine Einführung*. Tübingen
9. Thom, Norbert (2007):Die Fallstudie als didaktisches Instrument, In: Thom, Norbert
10. Wenger, Andreas P. / Zaugg, Robert J. *Fälle zu Organisation und Personal. Didaktik. Fallstudien. Lösungen. Theoriebausteine*. Bern.
11. Buhlmann, Rosemarie / Fearn, Anneliese (1999): *Handbuch des Fachsprachenunterrichts*, Tübingen.
12. Dorsch, Monique (2003): *Wirtschaft. Fallstudien mit Lösungen*. Oldenburg.
13. Eisman, Volker (2001): *Wirtschaftskommunikation Deutsch. B 2*. Berlin, Mün-chen. \
14. Fearn, Anneliese / Levy-Hillerich, Dorothea (2009): *Kommunikation in der Wirtschaft. Lehr- und Arbeitsbuch*. Berlin.
15. Thorsten Roelcke, Zeitschriften Datdenbnk 2004).
16. Fischer, Johann (2007): Der Einsatz von Fallstudien im Fachsprachenunterricht. Eine
17. Brücke zwischen Sprachunterricht und fachlicher Ausbildung. In: Kiefer, Karl-Hubert /Fischer, Johann / Jung, Matthias / Roche, Jörg (Hrsg.)München.
18. Fritz Clemen Werner: Woerterelemente Fachausdruecke .(1997.)
19. Thorsten Roelcke „Fachpsrache“.(1997).

20. Heyd, Gertrud (1998): *Fachsprache Wirtschaftswissenschaften, Lehrbuch und Arbeitsbuch*.
21. Buhlmann, Rosemarie / Fearn, Anneliese (1999): *Handbuch des Fachsprachenunterrichts*, Tübingen.
22. Dorsch, Monique (2003): *Wirtschaft. Fallstudien mit Lösungen*. Oldenburg.
23. Eisman, Volker (2001): *Wirtschaftskommunikation Deutsch. B 2*. Berlin, München.
24. Fearn, Anneliese / Levy-Hillerich, Dorothea (2009): *Kommunikation in der Wirtschaft. Lehr- und Arbeitsbuch*. Berlin.
25. Fischer, Johann (2007): Der Einsatz von Fallstudien im Fachsprachenunterricht. Eine
26. Brücke zwischen Sprachunterricht und fachlicher Ausbildung. In: Kiefer, Karl-Hubert / Fischer, Johann / Jung, Matthias / Roche, Jörg (Hrsg.) München.
27. Heyd, Gertrud (1998): *Fachsprache Wirtschaftswissenschaften, Lehrbuch und Arbeitsbuch*. Wiesbaden.
28. Kiefer, Karl-Hubert (2008): Fallstudien zur Verknüpfung allgemein- und fachsprachlicher Elemente im Unterricht. Berufsdeutsch (Wirtschaftsdeutsch) für Lerner ohne betriebswirtschaftliche Vorkenntnisse. In: Chlosta, Christof / Leder, Gabriele / Krischer, Barbara „Auf neuen Wegen. Deutsch als Fremdsprache in Forschung und Praxis“. Göttingen.
29. Roelke, Thorsten (2005): *Fachsprachen*. Berlin.
30. Sippel, Vera A. (2003): Ganzheitliches Lernen im Rahmen der Simulation. Grundlagen – Erfahrungen – Anregungen, *Gießener Beiträge zur Fremdsprachendidaktik*. 2003.
31. Thom, Norbert (2007): Die Fallstudie als didaktisches Instrument, In: Thom, Norbert / Wenger, Andreas P. / Zaugg, Robert J. *Fälle zu Organisation und Personal. Didaktik. Fallstudien. Lösungen. Theoriebausteine*. Bern.
32. DUDEN. 2012, Wien, Zürich.
33. Thom, Norbert (2007): Die Fallstudie als didaktisches Instrument
34. Baumann, Klaus-Dieter (2003): Die Vermittlung einer fachkommunikativen Kompetenz als berufsrelevante Perspektive der universitären Fremdsprachenausbildung. In: Jung, Udo O. H./ Kolesnikova, Angelina (Hg.)

35. Fluck, Hans-Rüdiger (1992): Didaktik der Fachsprachen. Aufgaben und Arbeitsfelder, Konzepte und Perspektiven im Sprachbereich Deutsch. Tübingen: Gunter Narr Verlag.
36. 2018 / *Sammelwerksbeitrag* / *Veröffentlicht* / ID: 2921287
37. Das deutsche „Wirtschaftswunder“, Mythos, Legende oder ein Erinnerungsort - Die Relevanz für Deutsch als Fremd- und Zweitsprache?
Koreik.U (2018) In: Deutsch als Fremd- und Zweitsprache & Kulturwissenschaft, Zugänge zu sozialen Wirklichkeiten. Schiedermaier S (Ed).

დანართი 1

ენის კომპეტენციის დიფერენცირება:

A 1 უნარები: ტექსტის ელემენტებისა და მოკლე ტექსტის ლექსიკური გაგება, მარტივი სალაპარაკო ენის გამოყენება.

A2 უნარები მარტივი ტექსტების ლექსიკური გაგება, მარტივი ენობრივი გამონათქვამების გამოყენება, პრეფერენციების ჩამოყალიბება.

B1 უნარები: ტექნიკური ტექსტების გლობალური გაგება, სტატიების და განცხადებების გაცნობა და გააზრება ენის გამოყენებით სიტუაციებთან გამკლავება, მოკლე ტექსტების შექმნა, შეზღუდული, მაგრამ დამოუკიდებელი ვერბალიზაცია.

B2 უნარები: რთული ტექსტებისა და გამონათქვამების ზუსტი გაგება და თავისუფლად, მაგრამ არა უშეცდომოდ კომუნიკაცია ფართო აბსტრაქტულ თემებზე.

C1 უნარები : გრძელი რთული ტექსტების გაგება, რთული საკითხების მოქნილად და თავისუფლად ფორმულირება, სალაპარაკო და წერილობით პროცესებში და მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღება.

C2 უნარები: თითქმის შეუზღუდავი გაგება, ექსპრესიულობა და სპონტანურობა მოქნილი ნიუანსური კომუნიკაციის უნარი. (ევროპის საბჭოს, უცხო ენის კომპეტენცია ზოგადი გაგებით, გვ. 63).